გამოიცემა 1934 წლიდან

№299 (12670) 20 დეკემბერი შაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიგაში სამი ნაღმი ჩაიდო

## ტიტანების ბრძოლა:

მოურინიო vs ფერგიუსონი

კასილიასი vs ფერნანდო ტორესი

რანიერი ლონდონში ბრუნდება






ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წილისყრა » 6

# თუ ფეხბურთის განვითარება გვინდა, პირიქით უნდა იყოს

## სახელმწიფო ასე უფრო ძლიერი იქნება

ბუნდესლიგაში ახლა შესვენებაა და გელზენკირხენის „შალკეს" შუახაზელი ლევან კობიაშვილი შვებულებას თბილისში ატარებს. გუშინ ის რედაქციაში ვისტუმრეთ და მხოლოდ ქართული ფეხბურთის ავან-ჩავანზე ვესაუბრეთ.

კობიაშვილს ეროვნულ ნაკრებში 83 მატჩი უთამაშია და ვფიქრობთ, სიტყვა მართლაც ეთქმის. მაშ ასე, "ლელოს" კითხვებს ჩვენი ეროვნული გუნდის ვიცე-კაპიტანი პასუხობს.

- საქართველოს ნაკრები ვერასდროს აღწევს მნიშვნელოვან წარმატებას – რა არის ამის მიზეზი? როცა ეს კითხვა შარშან დაგისვი, გვიპასუხე, ყველა ერთად უნდა დავსხდეთ და ამაზე დავფიქრდეთო. როდესმე ყოფილა ასეთი საუბარი?

- სამწუხაროდ, არა. ერთად შეკრება ვერ მოვახერხეთ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ვისაც ქართულ ფეხბურთზე გული შესტკივა, ასეთი სურვილი ყველას ექნება. კარგი იქნება, თუ ის ხალხი, ვინც ქართულ ფეხბურთშია და თავისი სიტყვა ეთქმის, ერთად მოვიყრით თავს და ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ გამოვიდეთ კრიზისიდან. მთავარი ეროვნული ნაკრებია, სადაც ახლა ბევრი ფეხბურთელია ეროვნული ჩემპიონატიდან და მათი ნაკრებში კარგი თამაში უთუოდ წაადგება საქართველოს ჩემპიონატს.

- ნაკრები და ჩემპიონატი, ანუ სახურავიდან ქვემოთ – შენი პოზიციაც ასეთია? ასე უნდა გაკეთდეს საქმე?

» 4

# დღეს დიდი კრივია



ჰოლიფილდი ვალუევის წინააღმდეგ

პირდაპირი რეპორტაჟი SPORT 1-ის ეთერში 01:00

» 16

ხელბურთი

# ტრადიციული ფინალი

როგორც მოსალოდნელი იყო, მერიის თასზე სტუ-"შევარდენმა" და "თბილისმა" საკუთარ ჯგუფებში გაიმარჯვეს და დღეს ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდებიან. გუშინ სტუ-მ "სამტრედია" 50:14 დაამარცხა, "თბილისმა" კი ასევე დამაჯერებლად სძლია "რუსთავს" – 45:20.

დღევანდელი მატჩები 14 საათზე დაიწყება. მეხუთე ადგილისთვის ერთმანეთს "რუსთავი" და "ქუთაისი" შეხვდებიან, მესამეადგილოსანი "მამულისა" და "სამტრედიის" შეხვედრაში გამოვლინდება, ფინალის შესახებ კი უკვე გითხარით.

ლევან ჯანეზაშვილი

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

XVI ტურის წინათქმა

| 20.12. ბოლნისი, თ. სტეფანია. 14:00 | 21.12. ზუგდიდი, ცენტრალური. 14:00 | 21.12. გორი, თ. ბურჯანაძე. 14:00 |
|---|---|---|
| სიონი – გაგრა (Live) | მგლები – ლოკომოტივი | ვიტ ჯორჯია – ოლიმპი (Live) |
| არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი | არბიტრი: ა.კრიჭაშვილი | არბიტრი: ო. ხეცაძე |
| ასისტენტები: ზ. ხუციშვილი, თ. ხუჭუა; | ასისტენტები: ზვ. გურგენაძე, ი. უკლება; | ასისტენტები: ო. მოლოდინაშვილი, გ. ყრუაშვილი; |
| მეოთხე მსაჯი: ლ.კვარაცხელია | მეოთხე მსაჯი: ჯ.ბუიშვილი | მეოთხე მსაჯი: ა.ნონიკაშვილი |
| დისკვალიფიცირებულნი: ზაზა ჭელიძე (სიონი) | დისკვალიფიცირებულნი: ვლადიმერ ჯოჯუა (მგლები) | დისკვალიფიცირებულნი: დავით ხურცილავა (ვიტ ჯორჯია) |

## ახალი პრობლემა: ფული მუშასაც სჭირდება

ტურის მთავარი მატჩი, რა თქმა უნდა, „დინამოსა" და „ზესტაფონის" შეხვედრა უნდა ყოფილიყო, მაგრამ თოვლიანობის გამო, მატჩი გადაიდო – ასეთია ოფიციალური განმარტება.

თამაში ეროვნულ სტადიონზე უნდა გამართულიყო, რომელსაც ორი წლის წინ სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და საინტერესოა, თუ ამ არენაზე დეკემბერში თამაში შეუძლებელია, საერთოდ რა მოთხოვნებს აკმაყოფილებს? დიდი თოვლი და ყინვა ახლა არ არის და ცოტა არ იყოს უცნაურია, როგორ ვერ მოხერხდა მატჩის ეროვნული სტადიონის მოედანზე გამართვა. თუ თოვლის და ყინულის მოსაწმენდად მუშების ფული ვერ გამოინახა, ეგ უკვე სხვა საქმეა.

„დინამო" – „ზესტაფონის" გადადებით ტურს პენი მოაკლდა, თუმც ცენტრალური შეხვედრა მაინც შერჩა – ლიდერი „ვიტ ჯორჯია" რუსთავის „ოლიმპს" მასპინძლობს. მას შემდეგ, რაც „ოლიმპი" **ვარლამ კილასონიამ** ჩაიბარა, გუნდი გამოკეთდა და შედეგიც უკეთესი აქვს. წინა ტურში რუსთაველებმს სულაც „დინამო თბილისს" მოუგრიხეს კისერი (1:0) და ვიტჯორჯიელებთან მატჩს კარგ იშტაზე შეხვდებიან – მეორე წრეში „ოლიმპმა" ჯერჯერობით ყველა თამაში მოიგო.

**რამაზ მუმლაძის** გუნდს არ ეყოლება დისკვალიფიცირებული მარჯვენა მცველი **დავით ხუცილავა**, თუმცა არა გვგონია, ეს ძალიან დიდი დანაკლისი იყოს „ვიტ ჯორჯიისთვის".

თუ ცხრილს ჩაუკირკიტებთ, ბოლნისის „სიონს" ურიგო შანსი როდი აქვს, მესამე ადგილისთვის გაიბრძოლოს – ბოლნისელებს ისეთი შემადგენლობა ჰყავთ, ამაზე ფიქრი ცოდვად არ ჩაეთვლებათ. „სიონი" ,გაგრასთან" ცენტრალურ ნახევარმცველ **ზაზა ჭელიძეს** მოისაკლისებს, ვინც გუნდისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი მოთამაშეა. რაც შეეხება „გაგრას", მისმა მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ხაჩიძემ „ლელოს" ამასწინათ უთხრა, ჩემი გუნდიდან ფეხბურთელთა 80 პროცენტი გასაშვებიაო. გულახდილობისთვის ხაჩიძეს ქებას არ დავამადლით, ოღონდაც საკითხავია, „გაგრის" ფეხბურთელებს დამრიგებლის ასეთი განცხადება როგორ წაადგებათ – ან ფსიქოლოგიურად მოიშლებიან, ან ისე გაბრაზდებიან, რომ ბოლნისში მოედანს დაღრღნიან.

წინა ტურში „მგლებმა" 0:4 წააგო აუტსაიდერ „სპარტაკთან". **ბესიკ შეროზიას** უცნაური გუნდი ჰყავს, - შეუძლია, მოწინავე გუნდს გოჯი არ შეარჩინოს, ხოლო მაჩანჩალას ადვილად დაეჩაგვრინოს. ზუგდიდელთა მეტოქე „ლოკომოტივია". პირველ წრეში „მგლებმა" სტუმრად დაამარცხა **კიკნაძე-ზამთარაძის** სამწყსო (1:0), თამაშის შემდეგ კი მოედანზე გაწევ-გამოწევა წავიდა, ნერვიული მატჩი გამოდგა. იმ შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო **ვლადიმერ ჯოჯუა**, ვინც ხვალ „მგლებს" ვერ დაეხმარება დისკვალიფიკაციის გამო.

თოვლი და სიცივე კი მხოლოდ ეროვნული სტადიონის პრობლემა არ არის. ეროვნულ ჩემპიონატის მატჩებზე ისედაც კანტი-კუნტად მოსიარულე ხალხს ბედოვლათური კალენდრის გამო სიცივე არ მოაკლდება.

**დავით თავართქილაძე**



პირველი წრის ოლიმპი-ვიტ ჯორჯია უგოლოდ დასრულდა

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 7 |
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 6 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 6 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 6 |
| ოდიკაძე (დინამო) | 5 |
| მერებაშვილი (დინამო) | 5 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 5 |
| კოშკაძე (სიონი) | 5 |

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ვიტ ჯორჯია | 14 | 10 | 3 | 1 | 26-8 | 33 | 5 | 0 | 1 | 14-4 | 15 | 5 | 3 | 0 | 12-4 | 18 |
| 2. დინამო | 14 | 9 | 1 | 4 | 28-12 | 28 | 5 | 1 | 0 | 18-5 | 16 | 4 | 0 | 4 | 10-7 | 12 |
| 3. ზესტაფონი | 13 | 7 | 3 | 3 | 14-7 | 24 | 5 | 0 | 2 | 9-3 | 15 | 2 | 3 | 1 | 5-4 | 9 |
| 4. ოლიმპი | 13 | 5 | 6 | 2 | 13-7 | 21 | 3 | 4 | 0 | 7-1 | 13 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| 5. სიონი | 14 | 5 | 6 | 3 | 15-10 | 21 | 1 | 3 | 2 | 7-8 | 6 | 4 | 3 | 1 | 8-2 | 15 |
| 6. ლოკომოტივი | 13 | 6 | 0 | 7 | 16-15 | 18 | 3 | 0 | 4 | 5-5 | 9 | 3 | 0 | 3 | 11-10 | 9 |
| 7. მგლები | 14 | 5 | 2 | 7 | 15-20 | 17 | 4 | 0 | 3 | 10-6 | 12 | 1 | 2 | 4 | 5-14 | 5 |
| 8. მესხეთი | 14 | 4 | 4 | 6 | 12-19 | 16 | 2 | 3 | 3 | 8-10 | 9 | 2 | 1 | 3 | 4-9 | 7 |
| 9. გაგრა | 14 | 4 | 2 | 8 | 12-23 | 14 | 4 | 2 | 2 | 10-9 | 14 | 0 | 0 | 6 | 2-14 | 0 |
| 10. ბორჯომი | 14 | 2 | 5 | 7 | 14-29 | 11 | 1 | 3 | 2 | 6-8 | 6 | 1 | 2 | 5 | 8-21 | 5 |
| 11. სპარტაკი | 13 | 2 | 0 | 11 | 10-25 | 6 | 1 | 0 | 6 | 7-15 | 3 | 1 | 0 | 5 | 3-10 | 3 |

## ყველა გზა გორში მიდის

ამ უქმეებზე მე-16 ტურის შეხვედრები გაიმართება. ტურის ცენტრალური მატჩი კი გორში კვირას შედგება, სადაც „ვიტ ჯორჯია" „ოლიმპს" დაუპირისპირდება. მიმდინარე სეზონის პირველ წრეში ამ გუნდებს შორის რუსთავში გამართული შეხვედრა უგოლოდ დასრულდა. ვნახოთ, ამჯერად ვინ უფრო მარჯვე იქნება.

მეტოქე გუნდებიდან თითო გამორჩეული ფეხბურთელი შევარჩიეთ. მასპინძელთაგან მეკარე გრიგოლ ბედიაშვილი, სტუმართაგან კი ფორვარდი გი მეგრელაძე.

## გრიგოლ ბედიაშვილი: უნდა მოვიგოთ და ზამთრის ჩემპიონები გავხდებით



- „ოლიმპთან" მატჩისთვის ჩვეულებრივ ვემზადებით. ტრავმირებულები არ გვყავს, ერთადერთი დისკვალიფიკაციის გამო მცველი დავით ხურცილავა არ გვეყოლება.

**- ხურცილავას არყოფნა რამდენად დაგეტყობათ?**

- დათო საიმედო მცველია. თუმცა ჩვენს გუნდში არა ერთი კარგი მცველია. ასე რომ მისი სათანადოდ შეცვლა არ უნდა გაგვიჭირდეს.

**- მეტოქეს როგორ დაახასიათებდი?**

- რუსთავის „ოლიმპი" უკვე ყველა გუნდისთვის სოლიდური მეტოქეა. რუსთაველებმა წინა ტურში „დინამო" დაამარცხეს. როგორც იტყვიან, ჩვენი საქმეც გააკეთეს. „ოლიმპი" გამოცდილი, მაღალი კლასის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. შესაბამისად, არაფერს დათმობენ, მაგრამ ჩვენ ჩვენსას შევეცდებით.

**- შანსებს როგორ გაანაწილებდი?**

- მატჩის დაწყებამდე ანგარიში 0:0-ია და შესაბამისად, შანსებიც თანაბარია. ყველანაირად შევეცდებით შანსი ჩვენკენ გადავწონოთ.

**- მაინც რას მიიჩნევ „ოლიმპის" კოზირად?**

- რუსთაველებს ყველა სათამაშო რგოლში გამორჩეული ფეხბურთელები ჰყავთ. კარგად დაკომპლექტებული გუნდია. ამასთან, „ოლიმპს" წარმატებული სერია აქვს და ეს გუნდი, როგორც იტყვიან, მადაზეა მოსული. წარმატებული სერია კი ფეხბურთში ცოტას არ ნიშნავს.

**- „ოლიმპის" წინსვლას ბევრი მთავარ მწვრთნელ ვარლამ კილასონიას მიაწერს...**

- მეც ვეთანხმები ამ პოზიციას. ერთი ხანობა რუსთავშიც ვთამაშობდი და კილასონიასთანაც მიმუშავია. ის კარგი მწვრთნელია. ჩვენც ჩინებული მწვრთნელი გვყავს. „ვიტ ჯორჯიის" წარმატებული, სტაბილური ასპარეზობა მუმლაძის დამსახურებაა.

**- მეტოქე გუნდიდან ვის გამოარჩევდი?**

- რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფა გამიჭირდეება. ისე კი, მოწინააღმდეგის ბანაკში ერთი ჩემი მეგობარია - გიორგი ფეიქრიშვილი. რუსთავში ერთად ვთამაშობდით. ფეიქრიშვილი კარგი ფეხბურთელია და ყველა გუნდის კართან შეუძლია ხიფათის შექმნა.

**- თანაც კვირას მეტოქეები იქნებით. შენ მეკარე ხარ, ის კი ფორვარდი...**

- ალბათ მატჩის მსვლელობისას საფრთხეს ისიც შემიქმნის. 90 წუთის განმავლობაში მეტოქეები ვიქნებით...

**- გული რას გიგრძნობს, კვირა დღე ვისთვის უფრო იღბლიანი იქნება?**

- ამ კითხვაზე ვერაფერს გიპასუხებთ. მხოლოდ ერთს აღვნიშნავდი. მიმდინარე სეზონში წინა შეხვედრა რუსთავში გვქონდა და უგოლოდ დასრულდა. ახლა ჩვენ ვართ მასპინძლები და როგორც იტყვიან, ჩვენი ჯერია. ეს მატჩი ჩვენთვის ძალიან ბევრს წყვეტს...

**- რას გულისხმობ?**

- შემოდგომის ჩემპიონები ნოემბერში გავხდით, პირველი წრის შემდეგ. ახლა კი გვინდა „ზამთრის ჩემპიონები" გავხდეთ. მომდევნო წლიდან ისევ პირველი ადგილიდან უნდა გავაგრძელოთ ოქროს მედლებისთვის ბრძოლა.

**- ამ მატჩის მოსაგებად კლუბის ხელმძღვანელობა განსხვავებულ პრემიასაც ხომ არ გპირდებათ?**

- არა, მსგავსი არაფერი თქმულა. თავად ეს მატჩი ჩვენთვის დიდი მოტივაციაა. ასე რომ, დამატებითი სტიმულის საჭიროებას ვერ ვხედავ.

**- „ვიტ ჯორჯია" საშინაო მატჩებს გორში ატარებს. ამ არენაზე მასპინძლობა თქვენი გუნდისთვის რამდენად სასარგებლოა?**

- სასარგებლო რომ არ იყოს, მაშინ არც ვითამაშებდით. მოგეხსენებათ გორს უმაღლეს ლიგაში გუნდი აღარ ჰყავს და იქაურ გულშემატკივარს კვლავაც აქვს საშუალება უმაღლესი ლიგის მატჩები ნახოს. სხვათა შორის, „ვიტ ჯორჯიას" გორში უკვე ჰყავს თავისი ქომაგები და იქ თამაში ჩვენთვის სასურველია.

**- მაინც რამდენი გულშემატკივარი ესწრება გორში თქვენს მატჩებს?**

- გააჩნია... თუ ლიდერებს ვხვდებით, მეტი ხალხი მოდის. ისე კი, 500-ამდე გულშემატკივარი სტადიონზე თითქმის ყოველთვისაა.

**- მოედნის საფარი რამდენად გიწყობთ ხელს?**

- იდეალური ნამდვილად არ ეთქმის. სამწუხაროდ, საქართველოში იდეალური საფარი თითქმის არ არსებობს... ქართული ფეხბურთის საერთო მდგომარეობიდან გამომდინარე, გორში მოედნის საფარს არა უშავს.

**- ახლა სხვა თემაზე გკითხავ. ეროვნული ნაკრების თავკაცმა ექტორ კუპერმა ოქტომბერში სამშაბათის ვარჯიშზე გამოგიძახა. მას მერე კი არგენტინელის სიაში შენი გვარი აღარ გამოჩენილა. ეს რით ავხსნათ?**

- ვერაფერს გეტყვით...

**- არადა, იმ გამოძახების შემდეგ არანაკლებ საიმედოდ თამაშობ...**

- ჩემი თამაში სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა უნდა შეაფასონ. კუპერი კი თავად გადაწყვეტს, ვინ აარჩიოს. თუ გამომიძახებს, თავს არ შევირცხვენ.

» 3

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბ...ილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



« 2

## გია მეგრელაძე: ძნელი იქნება, მაგრამ უნდა მოვიგოთ

რუსთაველთა ფორვარდს, რომელიც მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი გამორჩეულია, ტრავმის გამო გარკვეული პერიოდი გაუცდა. თუმცა მეგრელაძე უკვე მწყობრშია და წინა ტურში „დინამოსთან“ დაძაბულ შეხვედრაში „ოლიმპმა“ სწორედ მის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო. საინტერესოა, თუ რა აზრისაა რუსთაველთა მეგოლე კვირის მატჩზე, მეტოქეზე, თავისი გუნდის ალმავლობაზე, მიზნებზე... ერთი სიტყვით, გია მეგრელაძეს სწორედ ამ და სხვა თემებზე გავესაუბრეთ.

- „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩისთვის ჩვეულებრივ ვემზადებით. თოვლის გამო „დინამოსა“ და „ზესტაფონის“ მატჩი გადაიდო. შესაბამისად, ჩვენი თამაში ტურის ცენტრალური შეხვედრაა, მთელი ყურადღება ამ მატჩისკენ იქნება მომართული და თავი არ უნდა შევირცხვინოთ.

**- ვინმე ხომ არ დაგაკლდებათ?**

- არა, ტრავმები და დისკვალიფიკაცია ამჯერად ხელს არ გვიშლის. ასე რომ, სრული საბრძოლო შემადგენლობით ვემზადებით.

**- მეტოქე ძლიერი გყავთ...**

- დიახ, ასეა. „ვიტ ჯორჯია“ ტყუილად არაა ცხრილის სათავეში. კარგად ვიცით, რომ რთული ბრძოლა გველის, მაგრამ ჩემი და თანაგუნდელების შესაძლებლობებიც კარგად ვიცი და იმედიანად ვარ განწყობილი.

**- ვეტერინართა გუნდის კოზირად რას მიიჩნევ?**

- ამ გუნდს არაერთი კოზირი აქვს. შეთამაშებული, მოძრავი და მებრძოლი გუნდია.

**- შანსებს როგორ შეაფასებდი?**

- მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად ვთამაშობთ, ვფიქრობ, შანსები თანაბარია, რადგან გორის სტადიონი არც მეტოქისთვის არის მშობლიური.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ეს მატჩი?**

- „დინამოსთან“ გამარჯვების შემდეგ ჩემპიონობის შანსი გაგვიჩნდა. ასე რომ, ეს მატჩიც ოქროს მედლებისთვის ბრძოლის გაგრძელებაა.

**- სიტყვამ მოიტანა და ბარემ „დინამოსთან“ მატჩიც გავიხსენოთ...**

- კარგი თამაში იყო. „დინამო“ მაინც „დინამოა“, მაგრამ ვაჯობეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. ეს გამარჯვება ჩვენთვის ქულათა მარაგის გაზრდასთან ერთად დიდი სტიმული იყო.

**- მაინც რის ხარჯზე მოიპოვეთ ის მნიშვნელოვანი სამი ქულა?**

- ალბათ, ჩვენ უფრო მონდომებულები ვიყავით... თუმცა იმას არ ვამტკიცებ „დინამო“ მონდომებული არ იყო. თამაშის გარდა ერთგვარი ფსიქოლოგიური ჭიდილიც მიდიოდა. ეს დაპირისპირება მოვიგეთ და სამი ქულაც ავიღეთ.

**- ალბათ დამეთანხმები, რომ მერებაშვილისა და ვაწაძის არყოფნით „დინამოს“ მნიშვნელოვანი ძალა აკლდა...**

- დიახ, მეტოქეს ესეც ეტყობოდა. ეს ორი ფეხბურთელი მართლაც დიდი ძალაა.

**- „დინამოსთან“ გატანილი ის მნიშვნელოვანი გოლი შენს პატარას მიუძღვენი?**

- კი, 7 დეკემბერს ქალიშვილი მარიამი შემეძინა, ზვიად სტურუასაც ახლახან შეეძინა ქალიშვილი. ის გოლი ჩემსა და ზვიადის ახალშობილს მივუძღვენი...

**- „ოლიმპმა“ ჩემპიონატი მძიმედ დაიწყო, ამჟამად მეხუთე საფეხურზეა...**

- პროგრესი სახეზეა. ჩვენ უკეთეს პოზიციაზე შეგვიძლია ალზევება და სწორედ ამისკენ მივისწრაფვით...

**- ეს პროგრესი რით ავხსნათ?**

- მონდომება, შრომისმოყვარეობა, ბოლომდე ბრძოლა... ამ ფაქტორებითაა განპირობებული. გარდა ამისა, ადრე ფატალურად არ გვიმართლებდა, ახლა კი იღბალი ჩვენთან მწყრალად არაა. პროგრესი მწვრთნელის, ვარლამ კილასონიას დამსახურებაცაა. სეზონის დასაწყისშიც არ გვაკლდა მონდომება, მაშინც ბოლომდე ვიბრძოდით, მაგრამ გაუმართლებლობასთან ერთად ტრავმებმაც შეგვაფერხა.

**- „ოქროსთვის“ ბრძოლაში მთავარ მეტოქედ ვის მიიჩნევ?**

- „ვიტ ჯორჯიას“ და „დინამოს“. ვფიქრობ, ეს გუნდები სხვებზე ერთი თავით მაღლა დგანან. გვინდა, წლის ბოლოსთვის სამეულში ვიყოთ. თუ „ვიტ ჯორჯიას“ მოვუგებთ, სწორედ მესამეზე ვიქნებით „ზესტაფონთან“ და შესაძლოა „სიონთან“ ერთად.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატი უწინდელზე უკეთესია. შენ რა აზრისა ხარ?**

- პირდაპირმა რეპორტაჟებმა და პირველობის ახალმა ფორმატმა ინტერესი მართლაც გაზარდა.

**- მალე სატრანსფერო პერიოდი დაიწყება. კლუბის შეცვლას ხომ არ აპირებ?**

- ჯერ არ ვიცი. იქამდე კიდევ ორი კვირაა.

**- შენზე ამბობენ, „დინამოში“ დაბრუნდებაო...**

- ახლა მხოლოდ „ვიტ ჯორჯიასა“ და „მგლებთან“ დარჩენილ თამაშებზე ვფიქრობ. თუ რამე უცხოური ვარიანტი გამოჩნდება, დავფიქრდები...

**- ტრავმის გამო გარკვეული პერიოდი გაგიცდა. ოპტიმალურ ფორმაში როდის იქნები?**

- წელს ორი მატჩიღა დაგვრჩა. ფორმის ალსადგენად ზამთრის მოსამზადებელ შეკრებას გამოვიყენებ. ასე რომ, გაისად უფრო უკეთ ვითამაშებ.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ კუპერს სამშაბათის ვარჯიშზე ერთხელ მაინც უნდა მიეწვიე.**

- ამას მე არ ვწყვეტ, თორემ არც ერთ „სამშაბათობას“ არ გავაცდენდი. ველოდი, რომ კუპერი გამომიძახებდა, მაგრამ ჯერჯერობით ჩემი მოლოდინი არ მართლდება. ვფიქრობ, ეროვნული ნაკრებისთვის მეც შემიძლია სარგებლის მოტანა, შანსი თუ მომეცემა, ამას დავამტკიცებ კიდეც.

**დავით ცაგაძე**

ზესტაფონი

# ზესტაფონმა წინამძღვრიშვილი გამოისყიდა

## მელქაძემ ივარჯიშა და კონტრაქტზე ფიქრობს

გია გეგუჩაძე მეორე წრეში „ზესტაფონის“ გაძლიერებას აპირებს. გუნდის სატრანსფერო ჩანაფიქრის შესახებ უამრავი ინფორმაცია ვრცელდება. ბუნებრივია, კლუბი ჩანაფიქრს ჯერ სრულად არ ამჟღავნებს. თუმცა, უკვე რამდენიმე საინტერესო ცვლილება გახდა ცნობილი.



გია გეგუჩაძე

### ლევან მელქაძე: მალე ყველაფერი გაირკვევა

ლევან მელქაძე ჯერ „ზესტაფონში“ ჩარიცხვის ფაქტს არ ადასტურებს:

- ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია, მხოლოდ გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. ინტერესი არსებობს, მაგრამ ჯერ გარკვეული საკითხებია შესათანხმებელი.

**- თუკი „ზესტაფონი“ გიწვევს, გასარკვევი პირადი პირობები იქნება, თორემ წელიწადზე მეტია, უგუნდოდ ხარ.**

- ერთ კვირაში ყველაფერი გადაწყდება, რა თქმა უნდა, თამაში მინდა, მომენატრა, მხოლოდ ვარჯიში ვის აკმაყოფილებს?

**- მართალია, რომ ყარაღანდის „შახტიორთან“ კონტრაქტი მხოლოდ ახლა დაგიმთავრდა?**

- დიახ, ასეა. 1 დეკემბერს თავისუფალი აგენტი გავხდი და დავისვენე. წესით, კონტრაქტი შარშან უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ყალბი დოკუმენტები შეადგინეს, თითქოს კონტრაქტი 2008 წლამდე მქონდა. „შახტიორის“ პრეზიდენტმა ძალიან უცნაური ამბები დაატრიალა. მე ამის გამო ვერსად მივდიოდი, თორემ უსაქმურობა კი არ მიხაროდა. ჩემზე მეტად არავის უნდა, გუნდში ჩავირიცხო და ნორმალურად, მშვიდად ვიყო.

### რატი წინამძღვრიშვილი: ყველაფერი გადაწყვეტილია

**თბილისის „ამერისა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა რატი წინამძღვრიშვილმა დაგვიდასტურა, რომ „ზესტაფონში“ გადადის:**

- „ზესტაფონში“ ჩემი გადასვლა გადაწყვეტილა. „ამერთან“ კონტრაქტი კიდევ წელიწადნახევრით მქონდა, მაგრამ „ზესტაფონმა“ ტრანსფერი გამოისყიდა. თუმცა სეზონის ბოლომდე გუნდს ვერ დავეხმარები.

**- ტრავმა კარგა ხნის წინ მიიღე და დღემდე რატომ ვერ მოირჩინე?**

- სანამ გადაწყდა, ვისთან ვიმკურნალებდი, დრო გავიდა. 21 დეკემბერს ბელგიაში ოპერაციას გამიკეთებენ. როგორც მითხრეს, ძლიერი სპეციალისტია, დელ პიერო და რონალდო ფეხზე დააყენა და იმედია, მეც მიშველის. ნებისმიერ შემთხვევაში, მაისამდე დაკარგულ მაქვს დრო.

ზუსტად ასეთ დროს არის სასიხარულო, „ზესტაფონს“ რომ არ დავავწყდი და ჩემი აყვანა რომ გადაწყვიტა.

### გია გეგუჩაძე: გრიგალაშვილი ისე მოვიკითხე

შესაძლო ტრანსფერებსა და დანაკარგებზე სასაუბროდ „ზესტაფონის“ მთავარ მწვრთნელ გია გეგუჩაძეს ვესაუბრეთ.

**- ბატონო გია, ვის იმატებთ და ვის არა? ჭორ-მართალში ისევ თქვენ უნდა გაგვარკვიოთ. დავიწყოთ შოთა გრიგალაშვილით, რომელიც თბილისის „დინამომ“ უკვე მერამდენად გაანათხოვრა, თქვენს დროს კი გუნდის ერთ-ერთ პერსპექტიულ მოთამაშედ მოიაზრებოდა.**

- გული უზომოდ მწყდება, შოთა დღეს ასეთ მდგომარეობაში რომ არის. ვიცი, რომ მას უდიდესი პოტენციალი გააჩნია, შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. სხვათა შორის, „მესხეთი“-“ზესტაფონის“ ამასწინანდელ მატჩში საუკეთესო იყო. თუმცა მის დამატებაზე არ გვისაუბრია, რადგან ის თბილისის „დინამოს“ ეკუთვნის, ბორჯომშიც იმიტომ ვესაუბრე, რომ მისნაირი მოთამაშე დავიწყებისთვის არ მემეტება, რომ ნიჭიერი ბიჭია და მაინტერესებდა მისი ამბავი.

**- არც დათო გიგაურის დამატებას აპირებთ?**

- არც მასთან მისაუბრია. მიხარია, რომ დათო კუპერმა სამჯერ „სამშაბათობაზე“ მიიწვია.

**- რაც შეეხება მელქაძეს?**

- წინასწარ შევთანხმდით, მოლაპარაკება გაგრძელდება და ვფიქრობ, მისი საკითხი დადებითად გადაწყდება. მელქაძემ რამდენიმე დღე ჩვენთან უკვე ივარჯიშა, ადგილზე რომ ენახა ვითარება. თუმცა ჯერ ტრანსფერი არაა გადაწყვეტილი.

**- რატი წინამძღვრიშვილმა დაგვიდასტურა, რომ „ზესტაფონში“ გადავიდა.**

- რატი საოპერაციოა, სერიოზული ტრავმა მიიღო. მისი ტრანსფერის გამოსყიდვაზე კი ვერაფერს გეტყვით. თუმცა ჩემთვის საკამათო არაა, რომ წინამძღვრიშვილი ქართული ფეხბურთისთვის საჭირო მოთამაშეა და „ზესტაფონი“ მას დაეხმარება, ოპერაციამ და რეაბილიტაციის პროცესმა წარმატებით რომ ჩაიაროს. ამ ბიჭის დაკარგვა არ შეიძლება.

**- რაც შეეხებათ „ზესტაფონის“ ვეტერანებს - იონანიძეზე ვისაუბროთ. მას კონტრაქტი 28 დეკემბერს უმთავრდება.**

- ნუ იჩქარებთ, სეზონი ჯერ არ დასრულებულა. იონანიძეზე ძალიან კარგი აზრის ვარ, კარგი ფეხბურთელი და პიროვნებაა. თუმცა ბოლომდე არ ვარ ჩამოყალიბებული, ვის მოვიყვან და ვის გავუშვებ.

**- დაბოლოს, მოსამზადებელ ეტაპს „ზესტაფონი“ სად გაივლის?**

- 4-დან 17 იანვრამდე ზესტაფონში ვივარჯიშებთ. მეორე ეტაპი კი - 18 იანვრიდან 2 თებერვლამდე, თურქეთში ქალაქ სიდეში. ვფიქრობთ, ექვსი საკონტროლო მატჩის გამართვას და მეტოქეებიც შევარჩიეთ, თუკი სხვა თამაშები არ დაგეგმეს, შევხვდებით ნალჩიკის „სპარტაკს“, ლვოვის „კარპატის“, კიევის „არსენალს“, ზაგრების „დინამოს“, ოსტრავის „ბანიკს“ და ბაქოს „ინტერს“. თუ არადა, სხვა მეტოქეებს მოვძებნით.

**მერაბ მამულაშვილი**

მესხეთი

# სომხიშვილმა გუნდი დატოვა



ახალციხის „მესხეთი“ უმძიმეს მდგომარეობაშია. შესაძლოა, გუნდი ზამთარში დაშლის საფრთხის წინაშე დადგეს. ამის ნიშნები უკვე გამოჩნდა. ახალციხის გუნდის დატოვება კაპიტანმა, **გიორგი სომხიშვილმა** გადაწყვიტა.

*„გული მწყდება, რომ წამოსვლა მიხდება, მაგრამ სხვა გზა არ დამრჩენია. მთელი საშემოდგომო ეტაპი, ფაქტობრივად, უფულოდ ვითამაშეთ. რამდენჯერმე დაგვირიგეს ხელფასის ნაწილი, მაგრამ ასე ძნელია ცხოვრება. აზრი აღარ აქვს. სეზონი, ფაქტობრივად, დასრულებულია და დარჩენა აღარ შემეძლო. „მესხეთში“ წინსვლის არანაირი პირობა არ არსებობს. სიმართლე გითხრათ, ვიცოდი, რომ ნაკრებში ჩემ მიმართ ინტერესი იყო, მაგრამ არ ამიყვანეს. ალბათ, ყველაფრის მიზეზი უფულო გუნდისადმი უნდობლობა იყო. როდესაც ნორმალურად ვერ ვარჯიშობ, მწვრთნელი ნაკლებად დაინტერესდება. „მესხეთი“ ბიჭებმა საკმაოდ ძლიერ გუნდად ჩამოვაყალიბეთ, მწვრთნელიც და პრეზიდენტიც გულიანი ხალხია, მაგრამ სახლიდან შორს გაჩერება აღარ შემეძლო“,* - გვითხრა სომხიშვილმა.

„მესხეთის“ კაპიტანს აზერბაიჯანსა და სომხეთში თამაშს სთავაზობენ, უფრო რეალური კი სომხეთში მიწვევა არისო, არც ეს დაუმალავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ ფეხბურთის განვითარება გვინდა, პირიქით უნდა იყოს



«1 - ეროვნული ჩემპიონატი შემთხვევით არ მიხსენებია – როცა ფეხბურთელს ნაკრებში ათამაშებენ, ეს აუცილებლად დადებითად იმოქმედებს მის გამოსვლაზე ეროვნულ ჩემპონატში, რაც შესაბამისად წაადგება ეროვნულ ჩემპიონატს. ყოველივე ეს იმის უფრო მეტ შესძლებლობას იძლევა, რომ საქართველოში გამოჩნდეს ისეთი ფეხბურთელი, რომელიც სანაკრებოდ ზოგ ლეგიონერზე უკეთესი იქნება.

**- კლაუს ტოპმიოლერი ამბობდა, საქართველოს ჩემპიონატში ეროვნული ნაკრებისთვის საინტერესო ფეხბურთელებს ვერ ვხედავო. ახლა სიტუაცია შეიცვალა, მაგრამ ხომ არ გეჩვენება, რომ ერთი უკიდურესობუდან მეორისკენ მივდივართ? როგორც უნდა იყოს, ალბათ, ტოპის მკაცრ თვალსაზრისშიც იყო სიმართლის მარცვალი...საქართველოს პირველობაზე ინფორმაცია გექნება შენი მეგობრებისგან და რა წარმოდგენა შეგექმნა ეროვნულ ჩემპიონატზე?**

- ჩემი მეგობრებისგან საქართველოს ჩემპიონტზე ბევრი რამ ვიცი, თუმც საკუთარი თვალით დანახული სულ სხვა არის. ტოპმიოლერის აზრს, შესაძლოა, ბევრი ეთანხმებოდეს, თუმცა ფაქტია, ნაკრებში ამ დროისთვის არც თუ ცოტა ფეხბურთელია ეროვნული ჩემპიონატიდან, რომლებიც უკვე ძირითადში არიან და ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ექტორ კუპერიც დადის და ეძებს სანაკრებო ფეხბურთელებს სხვადასხვა ქართულ გუნდში. ის, რომ ქართული გუნდის ფეხბურთელი არის ნაკრებში და არა რუსეთის თუ უკრაინის არცთუ კარგი გუნდების ლეგიონერები, ეროვნულ ჩემპიონატს ეს რაღაცას ნაღდად შემატებს. ცხადია, ამით იმის თქმა არ მსურს, რომ თუ უცხოეთში ვინმე უკეთ თამაშობს, ნაკრებში მისი ადგილი ეროვნული ჩემპიონატის ფეხბურთელმა დაიკავოს.

უქმეებზე არ მაქვს დრო იმისთვის, რომ საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს პირდაპირ ეთერში ვუყურო, სამაგიეროდ ორშაბათს ვუყურებ ტურის მიმოხილვას და ძალიან კარგია, ასეთი რამ ახლა საქართველოშიც რომ არის, ფეხბურთის განვითარებისთვის ეს აუცილებელია.

**- გასაგებია, მაგრამ გულშემატკივართა რაოდენობა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე კლებულობს – საქმე მაინც დაღმა მიდის...**

- სახელმწიფო უნდა დაეხმაროს საფეხბურთო კლუბებს, თუმც ძნელია იმის ზუსტად თქმა, ეს როგორ უნდა მოხდეს. საქართველოში რამდენიმე კლუბი კერძო მფლობელისაა, რამდენიმეს კი გამგეობა აფინანსებს, რაც ცუდია, - ზოგ გამგებელს თუ გუბერნატორს უყვარს ფეხბურთი, ზოგს – არა - არ შეიძლება, რომ ფეხბურთი ამის შემყურე იყოს. თანაც ისეთი ტენდენცია წავიდა, კერძო კლუბებს გაუჭირდათ, მგალითად, "ამერს", ზოგი საბიუჯეტო კლუბის საქმე კი უკეთესად წავიდა, არადა, თუ საქართველოში ფეხბურთის განვითარება გვინდა, პირიქით უნდა იყოს. სახელმწიფოს დახმარებით კერძო კლუბებს შეღავათები უნდა ჰქონდეთ, რათა აიყვანონ გამოცდილი, კარგი ფეხბურთელები, რომელთა გვერდით ახალგაზრდები გაიზრდებიან, რომლებისგანაც ისწავლიან – თუ გუნდს ასეთი ფეხბურთელები არ ეყოლება, ახალგაზრდებს მნიშვნელოვანი წინსვლა არ ექნებათ, არ შეიძლება, რომ გუნდში ყველა თითქმის თანაბარი ფეხბურთელი იყოს. მოკლედ, უფულოდ წარმატებები არ გვექნება.

**- მხოლოდ ფული არ უნდა იყოს პრობლემა, ფულს სწორად გამოყენებაც უნდა – როგორ ფიქრობ, ქართული ფეხბურთი ამითაც ჩამორჩენილია?**

- იმ ხალხის სიმცირეა, ვინც იცის ეს საქმე. "შალკეს" სტადიონზე სამოცი ათასი კაცის ნაცვლად ათასი რომ დადიოდეს, "გაზპრომი" არ გახდებოდა ჩვენი სპონსორი. "გაზპრომმა" შექმნა დამატებითი სამსახური "შალკესთვის" და მისი ეს რგოლი ზრუნავს მარკეტინგზე – ეწყობა სხვადასხვა აქცია, ხანდახან "შალკე" ქვედა ლიგების გუნდებთანაც კი თამაშობს ამხანაგურ მატჩებს, რომელზეც ოცდაათითასამდე გულშემატკივარი მოდის – ყველაფერი ეს არის რეკლამა და მარკეტინგი. საქართველო კი ისეთი ქვეყანაა, ფეხბურთის გარდა ბევრი პრობლემა რომ აქვს. სწორი მენეჯმენტის გარეშე ფეხბურთი ვერ განვითარდება.

ფეხბურთელის კარიერას რომ დავასრულებ, ვეცდები, ისევ გამოვადგე ქართულ ფეხბურთს. ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს, უნდა შეუწყონ იმ ხალხს ხელი, ვინც თავის საქმე კარგად იცის, სახელმწიფო ასე უფრო ძლიერი იქნება ყველა სფეროში.

**- არა ერთისგან გამიგონია, თუ ცნობილ ქართველ ფეხბურთელებს ქართული ფეხბურთის დახმარება სურთ, თვითონ რატომ არ ქმნიან ან არ ყიდულობენ საფეხბურთო კლუბებსო...**

- სანამ ფეხბურთელი ვარ, ამას ვერ გავაკეთებ. მერეც ფეხბურთში მინდა ყოფნა, უფეხბურთოდ არ შემიძლია, აგერ დღეს "ლოკომოტივთან" ერთად ვივარჯიშე. რა გამოცდილებაც მაქვს, ქართულ ფეხბურთს მინდა მოვახმარო, მაგრამ ხელშეწყობაც უნდა იყოს – სწორედ ამას ვგულისხმობდი წინა კითხვის პასუხში.

**- "ლოკომოტივი" ახსენე და იქ მოთამაშე ლევან ცქიტიშვილზეც უნდა გკითხო – უცნაურად არ გეჩვენება, ეროვნული ჩემპიონატიდან სხვებს რომ იძახებს ნაკრებში და ცქიტიშვილს არა?**

- მჯერა, რომ მას ნაკრებში დააბრუნებენ, ის ძალიან სერიოზულად ეკიდება საქმეს, მონდომებულია, ფეხბურთით ცხოვრობს, ხოლო თუ რა შესაძლებლობების ფეხბურთელია ცქიტიშვილს, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი.

**- კვიპროსთთან მატჩის (1:1) შემდეგ გიგა გეგუჩაძემ თქვა, კობიაშვილს გოლი რომ არ გაეტანა, მის თამაშს მაღალ შეფასებას ვერ მივცემდიო. შენ კი განაცხადე, პრესაში ასეთი ლაპარაკი რა საჭიროა, ჯობია უშუალოდ ჩვენ დაგველაპარაკონო. სიმართლე გითხრა, გაგვიკვირდა, რომ ასეთ მსუბუქ კრიტიკაზე გულმოსული დარჩი, სპეციელისტის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმა ხომ ჩვეულებრივი რამეა...**

- გეგუჩაძესთან ურთიერთობაში არანაირი პრობლემა არ მაქვს, კრიტიკა მართლაც ჩვეულებრივი რამეა, გერმანიაში ისე გავუკრიტიკებივართ მეც და ჩემი გუნდიც, რომ საქართველოსთან ეს რა მოსატანია? მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ კვიპროსის მერე რამდენიმე დღეში ბულგარეთთან გვქონდა თამაში და ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე კრიტიკას შეეძლო ძალიან ცუდად ემოქმედა. გეგუჩაძის გარდა ჩვენი ნაკრები და მისი ფეხბურთელები ნაკრების ყოფილმა მოთამაშეებმაც გააკრიტიკეს... პრესაში გამოთქმული კრიტიკა ფეხბურთის ნაწილია, ოღონდაც კრიტიკას თავისი დრო და ასაკი სჭირდება, რომ მიეჩვიო.

**- კარგია თუ ცუდი, საქართველოს ნაკრები ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული გუნდი – ეთანხმები ასეთ შეხედულებას?**

- საქართველოს ნაკრები მართლაც არ არის ჩამოყალიბებული გუნდი. როცა ფეხბურთელები წლობით თამაშობენ ერთად, ეს ქმნის ჩამოყალიბებულ გუნდს. თუ დავითვლით, საქართველოს ნაკრებში რამდენმა ფეხბურთელმა ითამაშა ბოლო ორ წელიწადში, ჩამოყალიბებული გუნდი ვერანაირად ვერ ვიქნებით.

**- როგორ ფიქრობ, რომელ შესარცევ ციკლში ჰყავდა საქართველოს ნაკრების საუკეთესო გუნდი, როცა მართლა შეიძლებოდა ფინალურ ეტაპზე გასვლა, მაგრამ ეს მომენტი ხელიდან გავუშვით?**

- როცა ნაკრებს ფეხბურთელთა ისეთი ბირთვი ჰყავდა, წლობით ერთად რომ მოდიოდნენ, თბილისის "დინამოში" – ქინქლაძე, ჯამარაული, არველაძეები, შელია... ასეთ ბირთვს ემატებოდნენ ისეთი ფეხბურთელები, თემურ ქეცბაია და კახა ცხადაძე რომ იყვნენ. ფეხბუთელები ერთად რომ მოდიან, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

**- ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი იმედი, ლევან ყენია. როგორ მიდის მისი ადაპტაცია "შალკეში", როგორ ატყობ, როდის იქნება ის ახლოს "შალკეს' ძირითად შემადგენლობასთან?**

- წარმომიდგენია საკუთარი თავი მის ადგილზე და კარგად ვხვდები, რომ ყენიათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მეც იქ ვარ. ის გელზენკირხენში ცხოვრობს, მაგრამ ხშირად დიუსელდორფში მოდის და ჩემს სახლში რჩება. "შალკეში", რა თქმა უნდა, ყველანაირად კარგი პირობებია, მაგრამ ამის გარდა ათასი რაღაცააა, რაც საჭიროა ყოველდღიურ ცხოვრებაში. კოჭის ტრავმა რომ არა, დარწმუნებული ვარ, "შალკეს" ბოლო შეხვედრებში მას აუცილებლად ათამაშებდნენ. ყენია ამ სეზონში არც თუ ცოტა მატჩს ითამაშებს ბუნდესლიგაში, ის ხომ უკვე "შალკეს" პირველი გუნდის ისეთივე ფეხბურთელია, როგორც დანარჩენები.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერი

# სკონტოში აღარ დავბრუნდები

## ელიავა დინამოში დარჩენას არ გამორიცხავს

**ზაალ ელიავას თბილისის „დინამოსთან" არენდა მალე უმთავრდება. რა მოხდება ამის შემდეგ, ჯერაც უცნობია. თავად ფეხბურთელი გაურკვევლობაშია. 23 წლის მცველი თავის გეგმებზე გვესაუბრება.**



**- ზაალ, „დინამოში" არენდის ვადა მთავრდება - რჩები თუ ლატვიაში ბრუნდები?**

- ჯერ თავადაც არაფერი ვიცი. წესით, 7 იანვრამდე ყველაფერი უნდა გაირკვეს.

**- „დინამოს" მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ თქვა, რომ „სკონტოსთან" ხელშეკრულების გასაგრძელებლად, შენი სურვილია საჭირო.**

- „დინამო" არაა ის გუნდი, რომელსაც გაექცევი, მაგრამ აქაური ჩემპიონატი არ მიზიდავს. აქ თამაში ძნელია - რა თქმა უნდა, უცხოეთში წასვლა მირჩევნია.

ლატვიიდანაც მხოლოდ „სკონტოს" მენეჯერი მიხეილ ძოძუაშვილი მიკავშირდება, სხვებთან ურთიერთობას კი მოვრჩი. „სკონტოში" დაბრუნებას გამოვრიცხავ, იმიტომ, რომ ლატვიელები ჩემთან ცუდად მოიქცნენ. თუ გახსოვთ, წელს პერმის „ამკარში" გამსინჯეს. თავიდან რიგელებს უთხრეს, რომ მიტოვებდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. დავბრუნდი და აღარ მათამაშებდნენ, მთავარ მწვრთნელს, პოლ ეშუორტს ამის გამო შევეპასუხე და ამითვალწუნა.

**- „დინამოში" დარჩენაზე ისე გაურკვევლად საუბრობ, უცხოეთიდან წინადადებას უნდა ელოდე.**

- ჯერ კონკრეტულად არაფრის თქმა არ შემიძლია. ისე, მაისამდე „დინამოში" დარჩენასაც არ გამოვრიცხავ, თუკი სურვილი გუნდსაც ექნება.

**- შენზე ერთი ხანობა დიდ იმედებს ამყარებდნენ, არადა, კუპერმა ბოლო ორ „სამშაბათობაზეც" აღარ მიგიწვია.**

- კუპერის დროს, რეალურად თავის გამოჩენის შანსი არც მქონია. ერთი იტალიასთან ვითამაშე და მაშინაც წელი მეტკინა. ლატვიიდან ჩამოსვლის შემდეგ, ფორმის აღდგენას ვცდილობ და ეტყობა, ჯერ არ ვარ სასურველ მდგომარეობაში. თუმცა 23 წლის ვარ და ჯერ ყველაფერი წინ მაქვს.

ან როგორ მიმიწვევდა, სამი კვირა „დინამოშიც" არ ვვარჯიშობდი. ზუგდიდში თამაშის დროს მუხლი მეტკინა და ვმკურნალობდი.

**- მუხლის ტკივილები აღარ გაწუხებს?**

- არა, უკვე კარგად ვარ და ნორმალურად ვვარჯიშობ.

**- „სკონტოში" გადასვლა შეცდომა არ იყო, როდესაც არანაკლებ გუნდებში გიწვევდნენ?**

- არ იყო შეცდომა. ეს ბოლო დროს ამერია საქმეები, თორემ მანამდე კარგად ვიყავი, მენდობოდნენ და მათამაშებდნენ.

**- 23 წლის ასაკისთვის მეტის მიღწევა არ შეგეძლო?**

- ალბათ, შემეძლო, მაგრამ ტრავმებმა ძალიან დამალალატა. ჯერ კიდევ არაა დაგვიანებული და იმედი მაქვს , რაღაცას მივაღწევ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ნუკრი მანჩხავასთან

# კიდევ ერთი წლით კაუნასში

**„კაუნასის" ერთ-ერთი ლიდერი ნუკრი მანჩხავა საქართველოში ისვენებდა, როდესაც ექტორ რაულ კუპერმა „სამშაბათობაზე" გამოიძახა. ბუნებრივია, გაუხარდა - ლიტვაში ერთ-ერთი გამორჩეული მარცხენა ნახევარმცველი დიდი ხანია გულშემატკივრის ინტერესს იწვევდა, მაგრამ ნაკრების მწვრთნელები თვლიდნენ, რომ ლიტვაში ძლიერი ქართველი ვერ მოხვდებოდა.**

**არადა, დრომ ლიტვური ფეხბურთის პროგრესი გამოაჩინა - ამ ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა ჩვენი ნაკრები ადგილობრივ ჩემპიონატში მოთამაშეებით ორჯერ დაამარცხა.**

**- ნუკრი, ბოლო დროს „კაუნასის" პრეზიდენტ რომანოვს ფინანსური პრობლემები შეექმნა. „მტზ-რიპოში", რომელიც ასევე მისი კლუბია, ხელფასებს ველარ იხდის. კრიზისი „კაუნასს" არ შეხებია?**

- ჩვენთან ყველაფერი ჩვეულებრივადაა, დავალიანება და დაგვიანება არ ყოფილა. „კაუნასში" კიდევ ერთი წელი ვრჩები. გუნდში ჩემით კმაყოფილი არიან. არ ვიცი, კრიზისის გამო, ხვალ „კაუნასში" რა მოხდება, მაგრამ ახლა ვრჩები და ლიტველებს შეკრებაზეც მივყვები.

რა თქმა უნდა, ევროპაში წასვლის სურვილი მაქვს, მაგრამ დღემდე კონკრეტული წინადადება არ მქონია, აქეთ-იქით სირბილს კი ისევ „კაუნასში" მშვიდ გარემოში ვარჯიში მირჩევნია.

არადა, სულ იძახდნენ, რომ რაღაც წინადადებები იყო, მაგრამ არ მიშვებდნენ და სულ რაღაც მიზეზებს იგონებდნენ. საერთოდ, გუნდები მაშინ აქტიურდებიან, როდესაც იციან, რომ თავისუფალი აგენტი გახდი. მე კი არ მეუბნებოდნენ, კლუბს ვინ და როდის დაუკავშირდა.

**- ბალტიის ლიგის შესახებ ვსაუბროთ - საინტერესო ტურნირია თუ გუნდები მას ახალგაზრდების გამოსაცდელად იყენებენ?**

- საინტერესო ტურნირია, რადგან მეზობლებს ყოველთვის აქვთ სურვილი დაამტკიცონ, რომ ერთმანეთზე ძლიერები არიან. ესტონეთს ბალტიისპირეთში ყველაზე სუსტი საფეხბურთო ლიგა აქვს. ასე რომ, გამარჯვებისთვის სულ ლიტვა და ლატვია იბრძვიან. შარშან „ვესტსპილსმა" მოიგო, წელს კი ჩვენ ფინალში „სკონტოს" 2:1 რიგაში მოვუგეთ. ეს ლიტვის ფეხბურთის დონეზე მეტყველებს. საინტერესო ტურნირია და საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთია.

**- საქართველოს ნაკრები ლიტვამ წინა ციკლში ორჯერ დაამარცხა. ამის შემდეგ ერთი წელია აქედან ფეხბურთელი არ წაუყვანიათ – ქართველების მიმართ პატივისცემა გაუქრათ?**

- დაგვამარცხეს, მაგრამ თვითონაც არ ელოდნენ ასეთ წარმატებას. იციან, რომ ეს დროებითი წარმატებაა, ქართველების ნიჭს ვერც ეს დამარცხებები დააკნინებს. ამათ ჩვენზე მეტი პოტენციალი არ გააჩნიათ. გვაფასებენ და ქართულ ფეხბურთს პატივისცემით უყურებენ. იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ქართველებს აღარ ენდობიან.

**- „სამშაბათობაზე" გამოძახება ნაკრებში მიწვევის წინაპირობას ჰგავდა.**

- მე კი ვთვლი, რომ ერთი ვარჯიშით მოთამაშის პოტენციალზე მსჯელობა და საუკეთესოთა შერჩევა შეუძლებელია. ძნელია გამოიტანო სრულყოფილი აზრი, ვინ რა დონისაა. ფეხბურთელი, უპირველესად, საკონტროლო თამაშში უნდა ნახო.

თუმცა ისიც კარგია, აქამდე დავიწყებული მოთამაშეები რომ გაგვიხსენეს. ამით ნაკრებში მოხვედრის იმედი დაგვიბრუნდა. ბოლოსდაბოლოს, ვარჯიშით იწყება გაცნობა. ალბათ, "სამშაბათს" გამოძახებული ლეგიონერებიდან რამდენიმეს მაინც მიიწვევს.

**- ამ ვარჯიშში შენთვის რაიმე უცხო ელემენტი დაინახე?**

- ეს იყო ჩვეულებრივი ტაქტიკური ვარჯიში, განსხვავებული იყო დეტალები. მაგალითად, დაცვის და შეტევის დროს გადაადგილებები. მთლიანობაში, საინტერესო ვარჯიში ჩაგვიტარა.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დემიანენკომ, ადამიას ჩემთან წავიყვანო

მოგეხსენებათ, ბაქოს „ნეფთჩისთან" გამოთხოვების შემდეგ **გიორგი ადამია** ჯერჯერობით კვლავაც უკლუბოდაა. შეგახსენებთ, რომ ქართველი ფორვარდის სახელი უცხოურმა წყაროებმა რუმინულ „ოცელულს" და აზერბაიჯანულ კლუბებს „ბაკის", „ყარაბაღს", სტანდარდსა" და „ოლიმპიკს" დაუკავშირეს. ბოლოს თავად ფეხბურთელმა განაცხადა, რომ შესაძლოა, კარიერა რუსეთში ან უკრაინაში გააგრძელოს. გუშინ ადამია უცხოურმა ვებგვერდებმა კიდევ ერთხელ ახსენეს. როგორც ირკვევა, გიორგი ადამია ბაქოს „ნეფთჩის" ყოფილ თავკაც **ანატოლი დემიანენკოს** დღემდე ახსოვს და მას პრობლემის მოგვარებაში დახმარებასაც ჰპირდება.

*„ამჟამად 3-4 უკრაინულ კლუბთან ვაწარმოებ მოლაპარაკებებს და მალე ახალ გუნდს ჩავიბარებ. „ნეფთჩიში" გატარებულ პერიოდსა და ამ გუნდის ფეხბურთელებს ახლაც კარგად ვიხსენებ. როგორც გავიგე, „ნეფთჩის" ზოგი ფეხბურთელი აღარ უნდა, მათ შორის გიორგი ადამიაც. ამ ქართველი ფორვარდის შესაძლებლობები კარგად ვიცი. მალე ახალ გუნდს ჩავიბარებ და თუ ადამია ისევ უკლუბოდ იქნება, მაშინ ჩემს გუნდში წავიყვან"*, - აზერბაიჯანულ პრესასთან საუბარში აღნიშნა უკრაინელმა **დემიანენკომ**.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოურ პრესაში

ინტერვიუ კახა კალაძესთან

# აბრამოვიჩს დიდი მადლობა, რომ ჩელსიში არ ამიყვანა

## ზაფხულში საქართველოში მილანის ფეხბურთელები ჩამოვლენ?



**„სოვეტსკი სპორტის“ ყოველკვირეული გამოცემის 16-22 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძესთან. გაზეთის კორესპონდენტი დმიტრი აბერანოვი მილანში სასტუმრო „ოთხი სეზონის“ რესტორანში გაესაუბრა ჩვენებურს.**

**- აქ ხშირად დადიხართ? დავიჯერო უფრო გემრიელად ამზადებენ, ვიდრე თქვენს რესტორანში?**

- რას ამბობთ, ჩემს რესტორანში უგემრიელეს კერძებს ამზადებენ, მე იქ ხშირი სტუმარი ვარ, აქ კი უბრალოდ ყოველთვის სიმშვიდეა.

**- თქვენს რესტორანში ხშირი სტუმრობა ძვირი გიჯდებათ?**

- არ ვიცი, ანგარიშს ყოველთვის თვის ბოლოს ვასწორებ.

**- რატომ გადაწყვიტეთ საკუთარი რესტორნის გახსნა?**

- თავიდან მოგებაზე არც კი მიფიქრია, რესტორნის გახსნა მსურდა, რომ სადმე მიმეღო მეგობრები, სტუმრები. კომპანიონთან ერთად გამოვისყიდეთ სახელწოდება „ჯანინო“, ასე ეწოდებოდა მილანის ერთ-ერთ უძველეს რესტორანს, და საქმეს ხელი მოვკიდეთ. არც კი მეგონა, თუ ასე განვითარდებოდა მოვლენები...

**- ასე, როგორ?**

- არ მინდა ვიტრაბახო, მაგრამ ჩემი რესტორანი მილანში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია. იქ ძალიან სასიამოვნო გარემოა. ჩვენთან დადიან მილანის გამოჩენილი მცხოვრებლები, მოდელები, მსახიობები, ტელეწამყვანები, მენეჯერები, კლუბების პრეზიდენტები და თავად ფეხბურთელები – „მილანისაც“ და „ინტერისაც“.

**- თქვენთვის ეს პრესტიჟი უფრო თუ ბიზნესი?**

- ორივე, დღეისთვის რესტორანს ძალიან კარგი შემოსავალი აქვს.

**- ვიცით, რომ იქ ქართული ღვინოები იყიდება, მაგრამ არ არის ქართული კერძები...**

- იტალიური სამზარეულო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. ქართული სამზარეულოსთვის კი საჭიროა შესაფერისი მზარეულების ჩამოყვანა, სპეციფიკური პროდუქტების მოძებნა. ქართული კერძები ძალიან კი მიყვარს, მაგრამ სწრაფად მასუქებს.

**- მართალია, თითქოს „ჯანინოში“ დაიდო კონტრაქტი რონალდოსთან?**

- დიახ. ჩვენთან ხშირად იჩარხება სერიოზული ტრანსფერები. ჩვენი კლუბის ვიცე-პრეზიდენტი გალიანი ლამის ყოველ საღამოს სტუმრობს.

**- რესტორნის გარდა კიევში სასტუმროს და ჟურნალის მეპატრონე ბრძანდებით...**

- საქველმოქმედო ფონდიც დავაარსე. ამ ფონდის საშუალებით ქართველ ხალხს ვეხმარები, რითაც შემიძლია. ჩვენს ქვეყანაში ბევრი გაჭირვებულია, ვისაც პურის ფულის შოვნის პრობლემა აქვს, ბავშვები ვერ ახერხებენ საყვარელ სპორტის სახეობაზე სიარულს...

**- როდის ასწრებთ ამდენ რამეს, ვარჯიშებს შორის ზიხართ და ფიქრობთ, როდის გახსნათ ახალი ბანკი?**

- რა თქმა უნდა, ასე არაა. გამიმართლა, რომ ჩემ ირგვლივ ძალიან კარგი ხალხი შეიკრიბა, თავის საქმის ნამდვილი პროფესიონალები. პირადად თითქმის არაფრის კეთება მიწევს, ვმონაწილეობ მხოლოდ პროექტების შედგენაში. რატომ ვაკეთებ ამ ყველაფერს? უბრალოდ ცხოვრებას რეალურად ვუყურებ, ერთხელაც ბუცების ლურსმანზე დაკიდება მომიწევს, გაჩნდება თავისუფალი დროც.

**- შეგეძლოთ მწვრთნელობა გეცადათ...**

- არავითარ შემთხვევაში. ეს საჩემო საქმე არაა – ბიზნესით და ქველმოქმედებით დავკავდები.

**- კალაძე ეკლესიას აშენებსო, მართალია?**

- დიახ, მშობლიურ სამტრედიაში, ზაფხულისთვის დავამთავრებ. ძმის ხსოვნის საპატივცემულოდ.

**- ბიზნესის გარდა თქვენი გატაცება რა არის?**

- ავტომანქანები. კოლექციონერი არა ვარ, მაგრამ რამდენიმე მანქანა ყოველთვის მაქვს, ხშირად ვცვლი ხოლმე.

**- მანქანების სიყვარულის გამო ერთხელ ვალერი ლობანოვსკისთან მოგსვლიათ უსიამოვნო ინციდენტი...**

- მხიარული ისტორია იყო, „დინამოს“ ბაზაზე ჩემი „ფერარით“ მივედი და მაშინვე მითხრეს ლობანოვსკი გეძახისო. „შენ რა, ფეხბურთისთვის თავის დანებებას აპირებ“, გაკვირვებისგან რაღაც წავილუღლუღე, „მაშინ, ჯერ ფეხბურთზე უნდა იფიქრო და მერე მანქანებზე“, - მითხრა მწვრთნელმა. ეს ფრაზა ყოველთვის მემახსოვრება.

**- ლობანოვსკისთან პირველი შეხვედრა?**

- ის შეხვედრაც. მამასთან ერთად მივედი. მას ძალიან გაუკვირდა, როცა მაღალი და ძლიერი აღნაგობის აღმოვჩნდი, სულ სხვას ელოდა. პირველივე დღეს მითხრა, რომ კარგი ფეხბურთელი დავდგებოდი. ლობანოვსკის დამსახურებაა ყველაფერი, რასაც ფეხბურთში მივაღწიე. 18 წლის ბიჭი მივედი მასთან იტალიაში კი უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი წავედი.

**- პოლიტიკას ვერ ავცდებით, რას ფიქრობთ, შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ?**

- არა, დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკის გამო უბრალო ადამიანები არ უნდა დაზარალდნენ. არადა, ძალიან ბევრი დაიღუპა. ბევრი ბჭობს, თუ ვინ დაიწყო ეს ომი, რა მნიშვნელობა აქვს? ომმა მტყუან-მართალი არ იცის. გარეთ 2008 წელი სრულდება ჩვენ კი ისევ ერთმანეთს ვესვრით.

**- კახა, იქნებ პოლიტიკოსობაზე იფიქროთ და ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ პრეზიდენტობაზე იყაროთ კენჭი?**

- არა, პოლიტიკა მძიმე და ჭუჭყიანი თამაშია, საჩემო არაა.

**- თქვენ ხომ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადამიანი ხართ?**

- ამით ძალიან ვამაყობ, ხალხის სიყვარული დიდი ქონება, ფული კი უბრალო ქაღალდია ამასთან შედარებით. როცა რამეს ვაკეთებ, პირველი სწორედ იმას ვფიქრობ, რას იტყვიან ჩემი თანამემამულეები. პრეზიდენტობაზე ახლა ნამდვილად არ ვფიქრობ, მაგრამ, ვინ იცის, რა იქნება 10-15 წლის მერე?

**- წლეულს ჩემპიონთა ლიგაში თქვენი თანამემამულე თემურ ქეცბაიას გაწვრთნილმა „ანორთოსისმა“ ლამის ფურორი მოახდინა...**

- ძალიან მიხარია თემურის წარმატებები. ერთად ნაკრებში დიდ ხანს გვითამაშია და ის ძალიან კარგი პიროვნებაა. შედეგთან ერთად ძალიან მოულოდნელი იყო კვიპროსული გუნდის კარგი თამაშიც.

**- თქვენ უკვე რვა წელია მილანში“ ხართ. ყოფილი საბჭოეთიდან ერთადერთი ხართ, ვინც ასეთი დონის გუნდში ამდენ ხანს სტაბილურად თამაშობს...**

- ვიცი, შევჩენკო რომ არ წასულიყო რეკორდი მისი იქნებოდა. მსურს, რაც შეიძლება დიდ ხანს ვითამაშო აქ. იტალიაში მე ყველაფერი მომწონს.

**- არადა, ერთხელ კინაღამ დატოვეთ „მილანი“...**

- და დიდ შეცდომასაც დავუშვებდი... თუმცა მე შევჩენკოსგან განსხვავებული სიტუაცია მქონდა – რთული ტრავმის შემდეგ დავბრუნდი, მაგრამ მწვრთნელი არ მათამაშებდა. ვიფიქრე, რომ კლუბის გამოცვლის დრო იყო. კიდევ კარგი „ჩელსიში“ ჩემი ტრანსფერი ჩაიშალა.

**- რატომ ვერ გადახვედით ლონდონში?**

- არ ვიცი. მოსკოვში რომან აბრამოვიჩთან ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. იტალიაში დავბრუნდი და კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი კონტრაქტი შემომთავაზა. უარი ვუთხარი, ადამიანთან უკვე ყველაფერი შევათანხმე და ვერ ვუღალატებ მეთქი. ამასობაში დამირეკეს „ჩელსიდან“ და მამცნეს, რომ ჩემ მაგივრად სხვა აიყვანეს. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავვარდი.

**- როგორ შეურიგდით „მილანის“ ბოსებს?**

- ძალიან ადამიანურად მოეკიდნენ ჩემს შემთხვევას, რისთვისაც მადლობელი ვარ. შეეძლოთ ეთქვათ – წადი სადაც გინდაო, გზა ხსნილიაო. გალიანიმ დამირეკა და მითხრა, რომ ახალი კონტრაქტის საკითხი ისევ ძალაში იყო. თქვენი საშუალებით მინდა რომან აბრამოვიჩს მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ არ წამიყვანა თავის გუნდში.

**- რონალდინიოსთან ერთ კლუბში თამაშზე რას იტყვით?**

- ის ნამდვილი სუპერვარსკვლავია. თავიდან ვერ გრძნობდა ახალ გუნდში თავს კარგად, თუმცა ახლა ბრაზილიელი უმატებს და უმატებს. ყველამ იცის, რა შეუძლია რონალდინიოს ბურთით, მაგრამ ის მაინც ხშირად გვაოცებს.

**- ახლა კიდევ დევიდ ბექჰემს ელით, ალბათ კიდევ უფრო დიდი რეზონანსია მოსალოდნელი.**

- მე ასე არ ვიტყოდი. ინგლისელი რამდენიმე თვით ჩამოდის. ეს ჩვეული მარკეტინგული გათვლაა. შეიძლება რამდენჯერმე ათამაშონ, სულ ეს არის.

**- ახალ წელს რა სადღეგრძელოს დალევთ?**

- მშვიდობის სადღეგრძელოს. ჩვენი ხალხისთვის მშვიდობა ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ქორწილის გადახდას საქართველოში ხომ არ გეგმავთ?**

- საომარი სიტუაციის გამო წლეულს ამისგან თავი შევიკავეთ, თუ ყველაფერი კარგად იქნება, ზაფხულში სამშობლოში მართლაც გვექნება ქორწილი.

**- „მილანის“ ფეხბურთელებს თუ დაპატიჟებთ?**

- რა თქმა უნდა! მაგრამ, ალბათ, ბევრი ჩამოსვლას ვერ შეძლებს მოუცლელობის გამო.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ლეგიონერი



**ამირან სანაია** და ვახტანგ ფანცხავა 19 წლისანები არიან, საფრანგეთის პირველი დივიზიონის „ლე მანის“ გუნდში თამაშობენ და პირველ გუნდში გადასასვლელად ემზადებიან. სანაია მანამდე „ზესტაფონში“ თამაშობდა, ფანცხავა - „გაგრაში“.

თქმა რად უნდა, ევროპაში თამაში ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია – კარგი მოედნები, შესანიშნავი სიტუაცია, მოსამზადებლად ყველანაირი პირობები – ყოველივე ეს წინსვლისთვის ჩინებული შანსია.

„ლე მანს“ გიორგი მაკარიძემაც მიაშურა, ვინც კლაუს ტიპმიოლერის მწვრთნელობისას ეროვნული ნაკრების კარშიც კი იდგა. „ლე მანამდე“ მაკარიძე „დორტმუნდში“ ჩავიდა გასინჯვაზე, თუმცა იქიდან თბილისში რომ დაბრუნდა, ვესტფალიელების პასუხს არ დაელოდა და საფრანგეთს მიაშურა.

ლე მანში ამირან სანაიას რომ დავურეკეთ, მაკარიძეზეც ვკითხეთ...

# ჩვენ ყველაზე ახალგაზრდები ვართ

## მაკარიძე ლე მანიდან პარიზში წავიდა

**- რა ტურნირში გამოდის „ლე მანის“ მეორე გუნდი, სადაც შენ და ვახტანგ ფანცახავა თამაშობთ?**

- პირველი დივიზიონის გუნდების დუბლშემადგენლობის ჩემპიონატში. საკმაოდ სერიოზული ტურნირია, ხალხი დადის თამაშებზე და ბილეთებიც იყიდება. ახალგაზრდა ფეხბურთელების გარდა აქ ისინიც თამაშობენ, პირველ გუნდში სათამაშო პრაქტიკა რომ აკლიათ. ამ ჩემპიონატში მოთამაშე გუნდებს ასე მოიხსენიებენ: „ლე მანი“ B, „მარსელი“ B და ასე შემდეგ.

**- რა პოზიციაზე გიწევს თამაში? როგორია წარმატებები?**

- მარცხენა მცველად ვთამაშობ, ადრე ტრავმირებული მუხლი ისევ ამტკივდა და ამის გამო ოთხი თამაში გამოვტოვე. ახლა მე-12 ადგილზე ვართ, ზამთრის შესვენებამდე ერთი თამაში დაგვრჩა. შვებულება კი პირველ იანვარს გვიმთავრდება.

**- ძველი ტრავმა გაგიმიზეზდა?**

- ლე მანში ერთი წლის წინ ჩამოვედი და ისეთი ტრავმა მივიღე, ხუთი თვე არ მივარჯიშია, ახლა კი ყველაფერი ნორმალურადაა, ტკივილმა გაიარა.

**- ფანცხავას როგორ წაუვიდა თამაში? რამდენი გოლის გატანა მოახერხა?**

- ამას წინათ მასაც მუხლი დაუშავდა. სულ ორი გოლი გაიტანა, თუმცა ხელისშემშლელი მიზეზიც ჰქონდა.

**- ტრავმას გულისხმობ?**

- არა მხოლოდ. ვახო დაოჯახდა და მეუღლის საფრანგეთში წამოყვანა რომ დააპირა, სავიზო პრობლემებმა იჩინა თავი, რის გამოც რამდენჯერმე მოუწია თბილისში გამომგაზავრება. მოკლედ, ფანცხავამ საკმაოდ ბევრი თამაში გამოტოვა და მხოლოდ ორი გოლი რომ აქვს გატანილი, ამის ბრალია. ჩვენი გუნდის მეორე თავდამსხმელმაც ორი გოლი შეაგდო, საერთოდ კი საგოლე მომენტების ვერგამოყენება ჩვენი უმთავრესი ნაკლია – ნახევარმცველების კარგი თამაშის წყალობით ბევრ მომენტს ვქმნით, მაგრამ მერე აქეთ გაგვიტანენ ერთი გოლს და თამაშიც წაგებულია.

**- ზოგადად, რა სიტუაციაა „ლე მანში“, როგორ შეეწყვეთ მანდაურ სიტუაციას შენ და ფანცხავა?**

- ყველაფერი ნორმალურადაა, მწვრთნელებისგან დიდ ნდობას ვგრძნობთ, კლუბის ხელმძღვანელობაც კარგად არის განწყობილი ჩვენ მიმართ, როგორც კი აქ ჩამოვედით, მე და ვახოს ცალ-ცალკე გამოგვიყვეს ბინები. აქ იმისთვის მოგვიყვანეს, რომ მალე „ლე მანის“ პირველ გუნდში უნდა ვითამაშოთ, ყველანაირი პირობაა წინსვლისთვის და დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული.

**- ძალიან გაგიჭირდა ფრანგულ ფეხბურთთან შეგუება?**

- თავიდან მართლაც გამიჭირდა, აქ მაღალი ტემპია, დიდია ფიზიკური დატვირთვაა და თუ საფრანგეთში გინდა თამაში, ძალიან ძლიერი უნდა იყო. საქართველოდან საფრანგეთში რომ ჩახვალ, სათანადო კონდიციაში უცბად ვერ იქნები.

**- „ლე მანში“ მივიდა გიორგი მაკარიძეც...**

- ჰო, მაგრამ მას ჩვენთან არ უვარჯიშია, როგორც შევიტყვე, საუბარი ჰქონდა კლუბის ხელმძღვანელობასთან და ზუსტად არ ვიცი, რა უთხრეს, სავარაუდოდ, მაკარიძის საკითხი ახალი წლის მერე გადაწყდება. ის ახლა პარიზშია.

**- „ლე მანის“ პირველ გუნდში შენი გადასვლის პერსპექტივაზე რას გვეტყვი?**

- პირველ გუნდში უკვე ვითამაშე ერთი ამხანაგური მატჩი საფრანგეთის მეორე დივიზიონის ერთ-ერთ გუნდთან, შეცვლაზე შევედი და 35 წუთი მომიწია მოედანზე ყოფნამ. მომდევნო სეზონიდან კი პირველი გუნდის ფეხბურთელი უნდა გავხდე – ეს კლუბის გეგმებში შედის და თუ ისევ ტრავმამ არ შემიშალა ხელი, ყველაფერი კარგად იქნება.

**- „ლე მანში“ შარშან ნოემბერში მოხვედი – კონტრაქტი სადამდე გაქვს?**

- კიდევ ორი წელი უნდა ვიყო „ლე მანში“.

**- ფრანგულად უკვე კარგად ლაპარაკობ?**

- რთული ენაა და მასწავლებელი ავიყვანე, რომელიც კვირაში სამჯერ დადის ჩემთან სახლში. „ლე მანშიც“ უხარიათ, რომ ფრანგულ ენაში მნიშვნელოვანი წარმატებები მაქვს.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში წინა შესარჩევში ითამაშე და ასაკი ისეთი გაქვს, მომდევნო ციკლშიც შეგიძლია თამაში. ჩამორჩენა ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებში მნიშვნელოვანია, მაგრამ საქართველოო 21-წლამდელთა ნაკრებში არც თუ ცოტა ხართ ისეთები, ევროპის კარგ საფეხბურთო ქვეყნებში რომ თამაშობთ. მაშ, რისი ბრალი უნდა იყოს ასეთი ჩამორჩენა?**

- შეადარეთ სად თამაშობენ ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები და სად - ჩვენები. ჩვენს ნაკრებში არიან ევროპულ გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელები, მაგრამ ოთხი თუ ხუთი კაცი ამინდს ვერ შექმნის, ფეხბურთში ერთი კაციც რომ მოგაკლდეს, ესეც ბევრს ნიშნავს.

**- ერთი წელი „ლე მანში“ - ეს საკმარისო დროა, რომ შენს ასაკში საერთო ევროპულ დონემდე მიხვიდე?**

- კი, ეს საკმარისია, „ლე მანში“ უკვე ორი შეკრება გავიარე და ამან კარგი შედეგი გამოიღო. მომდევნო ეტაპი პირველ გუნდში გადასვლაა. საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, ესპანეთი და იტალია – ამ ქვეყნების უმაღლესი ლიგებიდან „ლე მანი“ ყველაზე ახალგაზრდული გუნდია – კლუბის სპეციფიკაც ხელს მიწყობს პირველ გუნდში მოსახვედრად.

დავით **თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა


ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. წილისყრის გამოხმაურება

# ორი დიდი დუელი

## რეალი VS ლივერპული, ფერგიუსონი VS მოურინიო

ბუშინ ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფის კენჭისყრა გაიმართა. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ გუნდები ძალიან საინტერესოდ დაწყვილდნენ. აი, მათი ჩამონათვალიც:

რეალი-ლივერპული
ატლეტიკო-პორტუ
ჩელსი-იუვენტუსი
სპორტინგი-ბაიერნი
ლიონი-ბარსელონა
არსენალი-რომა
ვილიარეალი-პანათინაიკოსი
მანჩესტერი-ინტერი

დაგვეთანხმებით, რომ განსაკუთრებულ ინტერესს რამდენიმე შეხვედრა იწვევს. დასამალი არ არის, რომ ამ ეტაპზე ყველაზე დიდ ინტრიგას „ჩელსი"-"იუვენტუსის", „რეალი"-"ლივერპულისა" და „მანჩესტერი"-"ინტერის" წყვილები იწვევს. უდავოა, წინ ძალიან დრამატული საფეხბურთო სპექტაკლები გველის...

სანამ უშუალოდ წყვილებზე გადავალთ, ერთ საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით. როგორც ირკვევა, წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ერთბაშად 160 მილიონი დოლარით გაისქელებს ჯიბეს. ბაზრის კვლევა ინგლისელმა მიმომხილველებმა ჩაატარეს და ამ საქმეში ქოვენთრის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის პროფესორი საიმონ ჩედვიკი დაიხმარეს. ამავე კვლევას თუ დავუჯერებთ, ფინალისტ კლუბსაც დიდი თანხა, დაახლოებით 100 მილიონი დოლარი შეხვდება.

გუნდებმა, რომლებმაც 1/8 ფინალში გააღწიეს, უკვე სოლიდური თანხა შემატეს ბიუჯეტს. საუბარია დაახლოებით 56 მილიონ დოლარზე, რომელიც მათ მატჩების ტრანსლაციების, სპონსორებისა და გაყიდული ბილეთების ხარჯზე ერგოთ. მიმდინარე გათამაშების მოგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მოგეხსენებათ მსოფლიოში ფინანსური კრიზისი მძვინვარებს. ამ ფონზე 160 მილიონი დოლარი ღმერთისაგან ბოძებული საჩუქარია.

ახლა კი დაპირებული გამოხმაურება. ვნახოთ, ვინ როგორი განწყობით შეხვდა წილისყრის შედეგებს. როგორც აღვნიშნეთ, მერვედფინალი არა ერთ საინტერესო დაპირისპირებას გვპირდება.

ესპანური კლუბების მესვეურები ყველა სხვა გუნდის წარმომადგენელთა მსგავსად ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრის შედეგებს მოუთმენლად ელოდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირენეელთაგან ყველაზე მეტად მადრიდის „რეალს" არ გაუმართლა. დედაქალაქელები „ლივერპულს" შეხვდებიან. თანაც განმეორებით შეხვედრას „ენფილდ როუდზე" გამართავენ. **ხუანდე რამოსი**, კენჭისყრით უკმაყოფილოა, თუმცა სამეფო კლუბის თავკაცი წუწუნისთვის დროის დაკარგვას არ აპირებს. აი, რა განუცხადა მან ჟურნალისტებს: „ფლეი ოფში იოლი მოწინააღმდეგე არ არსებობს. ყველა შეხვედრა რთული და დაძაბული იქნება, მაგრამ „ლივერპულის" სახით ჩვენ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე შეგვხვდა. გულწრფელად გეტყვით, კენჭისყრის შედეგით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ არა მგონია, რაფა ბენიტესი კმაყოფილი იყოს. რა თქმა უნდა, არც მას სურდა, რომ სამეფო კლუბს დაპირისპირებოდა. ბენიტესი „რეალს" ძალიან კარგად იცნობს, სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან ჩვენს გუნდს არა მარტო ბენიტესი, არამედ მთელი მსოფლიო იცნობს. გულშემატკივრებს ნურაფრის შეეშინდებათ. დამშვიდდით, მეც მშვენივრად ვიცნობ „ლივერპულს". ინგლისური გუნდი ბენიტესის გემოვნებაზეა მორგებული. საკმაოდ დიდ ინფორმაციას ვფლობ, ამიტომ ჩემს კოლეგას სიურპრიზის მოწყობა ძალიან გაუჭირდება. მათ არაჩვეულებრივი ფეხბურთელები ჰყავთ: ფერნანდო ტორესი, რეინა, კარაგერი, ჩაბი ალონსო... დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა გვმართებს. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება და მეოთხედფინალში გავალთ. რამდენადაც ვიცი, სამეფო კლუბს მერვედფინალური დაბრკოლება დიდი ხანია, არ გადაულახავს. ამიტომ, ასმაგად მნიშვნელოვანია, რომ ამ ავბედით ტრადიციას წერტილი დავუსვათ და ყველაზე პრესტიჟული ევროტიტულისთვის ბრძოლა გავაგრძელოთ. ერთი სიტყვით, კენჭისყრით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, უაღრესად ოპტიმისტურ განწყობაზე გახლავართ."

ოპტიმიზმის გარეშე ხარისხიანად ვერც ერთ საქმეს გააკეთებ, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად საფუძვლიანია ეს ოპტიმიზმი. სტატისტიკურ მონაცემებს თუ თვალს გადავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ ოპტიმიზმისთვის **რაფა ბენიტესს** გაცილებით მეტი საბაბი აქვს. საქმე ის არის, რომ „ლივერპულისა" და „რეალის" მწვრთნელები სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში შვიდჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. შესაძლოა, ვინმეს დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ ბენიტესმა შვიდიდან ექვსი შეხვედრა მოიგო. ხუანდემ კი მხოლოდ ერთ თამაშში გამარჯვება შეძლო. ალბათ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სენიორ რამოსი ამ კომპლექსიდან გათავისუფლდეს და გუნდი ლაღად ათამაშოს. თავად ბენიტესი კი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი მეოთხედფინალში უშელავათო ბრძოლის ფასად გააღწევს: „კენჭისყრამ ძალიან ძლიერი მეტოქე გვარგუნა. „რეალს" რამდენი პრობლემაც არ უნდა ჰქონდეს, მაინც „რეალი" იქნება. ამ გუნდის დამარცხება განსაკუთრებულ მონდომებასა და ძალისხმევას მოითხოვს. დარწმუნებული ვარ, რომ მერვედფინალს საუცხოოდ მომზადებული შევხვდებით და გულშემატკივრებს მომდევნო ეტაპზე გასვლით გავახარებთ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მაქსიმალურად კარგ ფორმაში ვიყოთ. წინ დიდი დროა, მაგრამ მზადება აქედანვე უნდა დავიწყოთ..."

„ატლეტიკოს" „პორტუსთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. ერთი შეხედვით, მადრიდელებს ძალიან გაუმართლათ, მაგრამ პრეზიდენტი **ენრიკე სერესო** ასე არ ფიქრობს: „ჩემი აზრით, ურთულესი დუელი გველის. ძალიან კარგად უნდა მოვემზადოთ და შესაძლებლობების მაქსიმუმი გავიღოთ. მე არ ვიზიარებ იმ ჟურნალისტების მოსაზრებას, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იოლი მეტოქე გვერგო. „პორტუ" ისეთივე მოწინააღმდეგეა, როგორიც „მანჩესტერი", „ინტერი" ან „იუვენტუსი". ფლეი ოფში იოლი მეტოქე უბრალოდ არ არსებობს. ვფიქრობ, ძალიან მძიმე დაპირისპირება გველის. პორტუგალიელებს უდიდესი გამოცდილება აქვთ. რამდენიმე წლის წინ მათ ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვეს. მართალია, მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. „პორტუ" ძალიან გამოცდილი გუნდია. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. „ატლეტიკოს" ფეხბურთელების ნიჭი და ამოუწურავი შესაძლებლობები იმედს მაძლევს, რომ გავიმარჯვებთ და მეოთხედფინალში გავალთ."

ბუნებრივია, ოპტიმიზმი პორტუგალიელთა მთავარ მწვრთნელს, **ჟოსუალდო ფერეირასაც** არ აკლია: „კენჭისყრის შედეგის რევიზია დიდი უაზრობაა. ეს ის შემთხვევაა, როცა შენ ვერაფერს შეცვლი და განგების გადაწყვეტილება უკომენტაროდ უნდა მიიღო. ჩემი აზრით, კენჭისყრას ცუდი შედეგი ჩვენთვის არ მოუტანია. „ატლეტიკო" რა თქმა უნდა, ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ მასთან ბრძოლა, რა თქმა უნდა, თავისუფლად შეიძლება. ამისათვის ბევრი მუშაობა და სწორი ანალიზია საჭირო. შევეცდები, ესპანელებს სიურპრიზი მოვუმზადო და მეოთხედფინალის საგზურს დავესაკუთრო..."

მიმომხილველების შეფასებით ყველაზე იოლი მოწინააღმდეგე „ვილიარეალს" შეხვდა. "პანათინაიკოსი" არ არის იმ დონის კოლექტივი, რომლისგანაც ყველაზე დიდ წინააღმდეგობას უნდა ველოდოთ, თუმცა ბერძნების თავკაცი **თენ კატე** კმაყოფილია. მისი თქმით, „ვილიარეალი" გრანდთა კატეგორიას არ განეკუთვნება: „ესპანელებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ კენჭისყრამ ძალიან გამახარა. დასამალი არ არის, რომ ევროპული ფეხბურთის გრანდებთან გაცილებით ნაკლები შანსი გვექნებოდა. ახლა კი შანსები მეტ-ნაკლებად თანაბარია. ობიექტური მიზეზების გამო ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მეოთხედფინალამდე, რაც შეიძლება, ნაკლები ტრავმით მივაღწიოთ. „პანათინაიკოსს" არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელები შეიძინოს, შესაბამისად, მართლაც უმნიშვნელოვანესია, რომ ძირითადი შემადგენლობა ფორმაში იყოს. თუ იღბალი ზურგს არ შეგვაქცევს, მომდევნო ეტაპზე გასვლის საკმაოდ კარგი შანსი გვექნება".

**მანუელ პელეგრინიმ** უფრო თავშეკავებულად ისაუბრა: "პანათინაიკოსი" ფლეი ოფის აუტსაიდერად მიიჩნევა, მაგრამ მე ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვიზიარებ. ფლეი ოფში ყველა გუნდი ძლიერი და სახიფათოა. ამიტომ, დაუშვებელია, რომ მეტოქე ჯეროვნად არ დავაფასოთ და არხეინად ვიცხოვროთ. პასუხისმგებლობისა და თავგანწირვის გარეშე წინსვლა გამორიცხულია. ასე რომ, ყველას ძალიან ვთხოვ, „ვილიარეალს" ფავორიტად ნუ გამოაცხადებენ. ფავორიტის სტატუსი სიკეთეს არ მოგვიტანს."

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ კენჭისყრის შედეგმა ყველაზე დიდი სასოწარკვეთილება „ლიონის" მესვეურებს მოუტანა. ახლა ფრანგული კლუბის სპორტული დირექტორის **ბერნარ ლაკომბის** განცხადებას გაგაცნობთ და დასკვნები თავად გამოიტანეთ: „სრული სერიოზულობით ვაცხადებ, რომ ყველაზე რთული მეტოქე შეგვხვდა. არ ვიცი, მწვრთნელები რას ფიქრობენ, მათთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ ჩემი აზრით, „ბარსელონის" ორმატჩიან დუელში დამარცხება და მომდევნო ეტაპზე გასვლა შეუძლებელია. წინასწარ ფარ-ხმლის დაყრა არ შეიძლება, მაგრამ მე რეალისტი ადამიანი ვარ და ვალდებული გახლავართ, მოვლენები რეალურად და ობიექტურად შევაფასო. „ბარსა" დღეს ევროპის საუკეთესო კლუბია და მასთან გამარჯვება სასწაულის გარეშე გამორიცხულია. ისღა დაგვრჩენია, სასწაულის იმედად ვიყოთ..."

**არსენ ვენგერი** ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრის შემდეგ მხოლოდ მერვედფინალზე საუბრით არ შემოიფარგლა და გაცილებით შორსმიმავალ გეგმებზე ისაუბრა: „ჩვენი მიზანი ფინალში გასვლა და გამარჯვებაა. 2006 წელს ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა, მაგრამ ახლა ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ტიტული დავისაკუთროთ. ამიტომ, ჩვენთვის „რომასთან" დუელში მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს და მას გამარჯვება ჰქვია. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა ანგარიშით გავიმარჯვებთ. მთავარია, მოვიგოთ. მიუხედავად იმისა, რომ „რომა" მშვენიერ ფორმაშია, ღრმად მწამს, რომ „არსენალს" ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების უნარი შესწევს".

**ლუჩანო სპალეტი:** „რთული მეტოქე შეგვხვდა. „არსენალს" არაჩვეულებრივი ფეხბურთელები ჰყავს. გამარჯვება ჩვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციასა და ძალისხმევას მოითხოვს. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თებერვლის ბოლოს რომელი გუნდი როგორ ფორმაში იქნება. პრაქტიკულად შეუძლებელია, მთელი სეზონი ერთ დონეზე ჩაატარო, ამიტომ როგორმე უნდა შევძლოთ და მერვედფინალს კარგი ფორმით შევხვდეთ"...

**ლუიშ ფელიპე სკოლარი** „იუვენტუსს" ღირსეულ მეტოქეს უწოდებს და აცხადებს, რომ შანსები აბსოლუტურად თანაბარია: „იუვე" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და ძლიერი კლუბია. მას უდიდესი ტრადიციები აქვს. არ დაგიმალავთ, მერვედფინალში სხვა გუნდს ვისურვებდი, მაგრამ რა გაეწყობა. ახლა სულ სხვა რამეზე უნდა ვიფიქროთ, კერძოდ იმაზე, თუ როგორი ტაქტიკა დავუპირისპიროთ „ბებერ ქალბატონს". შანსები 50/50-ია. ბევრი რამ იღბალზე იქნება დამოკიდებული. იმედია, ბედი არ გაგვწირავს და მეოთხედფინალში გავალთ"...

თებერვლის ბოლოს საფეხბურთო საზოგადოება დიდი დუელის მომსწრე გახდება. **სერ ალექს ფერგიუსონი ჟოზე მოურინოს** დაუპირისპირდება. „მანჩესტერის" ლეგენდარული მწვრთნელი კენჭისყრის შემდეგ ისტორიაში გადაიჭრა და მცირე ექსკურსი შემოგვთავაზა: „ინტერს" 1999 წელს შევხვდით და მაშინ ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვეთ. იმედია, ისტორია კიდევ ერთხელ განმეორდება და ისევ ფინალში გავალთ. ჩემპიონთა თასის ზედიზედ მეორედ მოგება საოცრება იქნება. „ინტერს" უდიდესი მწვრთნელი ჰყავს. მოურინიო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. ეს ფაქტი გულშემატკივრებს დიდ სანახაობას ჰპირდება. შანსებზე საუბარი არ მინდა. ჯობია, მოვიცადოთ და მოვლენათა განვითარებას დავე[illegible]ოთ..."

მოურინიო როგორც ყოველთვის ამჯერადაც სიტყვაძუნწი იყო და ძალიან მოკლე კომენტარი გააკეთა: „მანჩესტერი" ძლიერი მოწინააღმდეგეა, რომელთანაც ხუმრობა არ შეიძლება. „ინტერი" არაფრის დათმობას არ აპირებს. ჩვენ ფინალში გასვლა გვინდა."

**ილია ნიკოლაიშვილი**



მანჩესტერი-ინტერი. ჟოზე მოურინიო ძველ ნაცნობს სერ ალექს ფერგიუსონს ამჯერად ევროპულ სარბიელზე დაუპირისპირდება



რეალი-ლივერპული. რაფა ბენიტესსა და ხუანდე რამოსს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ, თუმცა ამჯერად მეგობრობის გვერდზე გადადება მოუწევთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XVI ტურის წინ

# რაულის გარეშე?

## გონსალეს ბლანკოს გრიპი აქვს და მისი თამაში საეჭვოა



რაულ გონსალესს დასვენება ემუქრება

| დღეს | |
|---|---|
| რეალი-ვალენსია | 23:00 |
| ესპანიოლი-ატლეტიკო | 01:00 |
| **ხვალ** | |
| მალიორკა-სევილია | 20:00 |
| ოსასუნა-ხეტაფე | 20:00 |
| დეპორტივო-რეკრეატივო | 20:00 |
| ნუმანსია-ვალიადოლიდი | 20:00 |
| რასინგი-მალაგა | 20:00 |
| სპორტინგი-ალმერია | 20:00 |
| ვილიარეალი-ბარსელონა | 22:00 |
| ბეტისი-ბილბაო | 00:00 |

„რეალს" ისეთი დრო დაუდგა, რომ ქულების დაკარგვის უფლება აღარ აქვს. მოგეხსენებათ, ელ კლასიკოში დამარცხების გამო სამეფო კლუბს „ბარსელონამ" 12 ქულით გაუსწრო. მართალია, წინ კიდევ 22 ტურია, მაგრამ უდავოა, რომ ჰანდიკაპის ამოსაქაჩად **ხუანდე რამოსის** გუნდს მაქსიმალური კონცენტრაცია და მობილიზება მართებს. წარმატებულ თამაშს ძლიერი შემადგენლობა სჭირდება. შემადგენლობის თვალსაზრისით კი დედაქალაქელებს სერიოზული პრობლემები აქვთ. ყველა გულშემატკივარმა იცის, რომ „რეალს" ძალიან ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავს. წინა ტურში ხუანდე რამოსმა **ვესლი სნეიდერი** ტრავმის მიუხედავად, ძირითადში დააყენა, მაგრამ რისკმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ვესლიმ ღირებული ვერაფერი გააკეთა, სამაგიეროდ ტრავმა გაირთულა და მთელი კვირა ექიმების გარემოცვაში გაატარა. მისი თამაში, ფაქტობრივად, 100 პროცენტით გამორიცხა. **არიენ რობენის** გაუთავებელ ტრავმებს დიდი ხანია მივეჩვიეთ. ჰოლანდიელს გულშემატკივრებმა "მინის რობენი" შეარქვეს. კაცმა რომ თქვას, არიენი მართლაც მინასავით სათუთი და ფაქიზია. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას ბარძაყის კუნთი ასტკივდა და ვარჯიშის დასრულება ვერ შეძლო. გამორიცხული არ არის, ხუანდე რამოსს მის სამსახურზეც უარის თქმა მოუხდეს. გაჭირვებულს ქვა აღმართში დაენიაო, სამეფო კლუბზე ყოფილა ნათქვამი. მადრიდელებს თითქოს ტრავმები არ ეყოფოდათ, ახლა **რაული** ჩაწვა ლოგინში. კაპიტანს გრიპი შეეყარა და ბოლო ვარჯიშები გამოტოვა. მას გუშინაც მაღალი სიცხე ჰქონდა. ამის გათვალისწინებით, პრაქტიკულად წარმოუდგენელია, რომ გონსალეს ბლანკომ მოედანზე გასვლა და „ვალენსიასთან" ბრძოლა შეძლოს. არაოფიციალური ინფორმაციით, ხუანდე რამოსი რაულის ნაცვლად **პალანკას** ათამაშებს. ესპანური გრანდის ახალი მთავარი მწვრთნელი ელ კლასიკოში კანტერელის თამაშით იმდენად მოიხიბლა, რომ ის სათადარიგო გუნდიდან ძირითადში გადმოიყვანა და პირობა მისცა, რომ შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს ხშირად მისცემს ხოლმე. მოკლედ, იმ შემთხვევაში, თუ რაული გრიპისგან ვერ განიკურნება, ხუანდე თავდასხმას პალანკასა და **იგუაინის** ტანდემს ჩააბარებს. სენიორ რამოსს გარკვეული კორექტივების შეტანა დაცვის ხაზშიც მოუწევს. როგორც იცით, **გაბრიელ ჰაინცე** და **პეპე** ტრავმირებული არიან. „ვალენსიასთან" სამეფო კლუბს, ალბათ, **სერხიო რამოსიც** ვერ დაეხმარება. ახალგაზრდა მცველმა „ბარსელონასთან" მატჩში ყვითელი ბარათი მიიღო. ეს მისი მეხუთე გაფრთხილება გახლდათ, როს გამოც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. „რეალის" მესვეურებმა სადისციპლინო კომიტეტში აპელაცია შეიტანეს. კომიტეტის პასუხი დღეს გახდება ცნობილი, თუმცა სერხიო რამოსმა ყვითელი ბარათი **ლეო მესის** წინააღმდეგ ჩადენილი საშინელი უხეშობისთვის დაიმსახურა და ძნელი წარმოსადგენია, რომ მას დისკვალიფიკაცია მოუხსნან. ამიტომ, მწვრთნელს სევილიელი მცველის შეცვლაზე ზრუნვა მოუწევს. საქმეში ჩახედული ხალხის თქმით, დაცვის ხაზი **სალგადოს, მეტცელდერის, კანავაროსა** და **მარსელოს** ოთხეულით დაკომპლექტდება.

„ვალენსია" სამეფო კლუბთან სათამაშოდ მთელი სერიოზულობით ემზადებოდა. ხუანდე რამოსისგან განსხვავებით, **უნაი ემერის** საკადრო პრობლემები დაბრკოლებებს არ უქმნის. საპასუხისმგებლო დაპირისპირების წინ „ვალენსიას" უკლებლივ ყველა ფორვარდი დაუბრინდა. მათ შორის **ნიკოლა ჟიგიჩი** და **დავიდ სილვა**. „ღამურების" თავკაცმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე სიხარულით განაცხადა, რომ ტრავმამოშუშებულ მოთამაშეებთან მუშაობამ დიდი სიამოვნება მიანიჭა: *„უკვე დიდი ხანია, ასეთ ფართო შემადგენლობასთან მუშაობის საშუალება არ მქონია. მადლობა ღმერთს, ბიჭები გამოჯანმრთელდნენ და მომავალ შეხვედრას ოპტიმიზმით ელიან. ძალიან ძნელი წარმოსადგენია, სამეფო კლუბმა „სანტიაგო ბერნაბეუზე" ზედიზედ მეორე თამაში წააგოს, მაგრამ ჩვენ სტატისტიკა და ალბათობა რა გვაინტერესებს. მთავარია, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ და გავიმარჯვოთ. დარწმუნებული ვარ, სამი ქულის მოპოვების მშვენიერ შანსებს ვფლობთ."*

სენიორ ემერიმ დედაქალაქში ასეთი შემადგენლობა წაიყვანა: **რენანი, გაიტა, მიგელი, ალბიოლი, მარჩენა, დელ ორნო, მადურო, ბარახა, ალბელდა, ფერნანდესი, ვისენტე, მატა, ხოაკინი, მიჩელი, ჟიგიჩი, მორიენტესი, სილვა, ვილია.**

შეაჩნევდით, რომ შემადგენლობაში **პაბლო ფერნანდესის, ალექსისისა** და **ედუს** გვარები არ ფიგურირებს. ამ სამ მოთამაშეს მიკრო ტრავმები აწუხებს და სენიორ ემერიმ გარისკვა არ ისურვა. **კურო ტორესი** და **უგო ვიანა** კი მწვრთნელის ტაქტიკური ჩანაფიქრის გამო დარჩნენ სახლში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბარსელონას" მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გასვლითი შეხვედრის გამართვა მოუწევს. მიუხედავად იმისა, რომ „ვილიარეალი" ისეთივე დამაჯერებლობით ვერ თამაშობს, როგორც სეზონის დასაწყისში ასპარეზობდა, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. **მანუელ პელეგრინის** ბიჭები კატალონიელებს იოლად არაფერს დაუთმობენ. კლასიკოში „ბარსას" რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ მიკრო ტრავმა მიიღო. **კარლეს პუიოლმა** და **იაია ტურემ** გასულ კვირაში რამდენიმე ვარჯიში გამოტოვეს, თუმცა ახლა ისინი კარგად გრძნობენ თავს. სავარაუდოა, რომ **პეპ გვარდიოლა** მათ ძირითად შემადგენლობაში დააყენებს. აი, **რაფა მარკესს** კი მოედანზე გასვლის შანსი ფაქტობრივად, არ დარჩა. მექსიკელმა მცველმა მეგობრების მსგავსად „რეალთან" მატჩში მიიღო ტრავმა და პარასკევამდე ერთი ვარჯიშის ჩატარებაც ვერ შეძლო. პარასკევს კი ფიზმომზადების სპეციალისტების მეთვალყურეობით ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. კატალონიური გიგანტის ექიმების თქმით, მარკესის ბედი მხოლოდ ხვალ შეიძლება გაირკვეს. როგორც გითხარით, რაფას თამაშის შანსი თითქმის არ გააჩნია. სხვა ფეხბურთელებს რაც შეეხება, ისინი ძალიან კარგად გრძნობენ თავს და იმედს გამოთქვამენ, რომ მორიგ გამარჯვებას მოიპოვებენ და ჩემპიონობის შანსს გაიუმჯობესებენ. „ვილიარეალი" „ბარსას" ერთ-ერთი უშუალო კონკურენტია, ამიტომ ამ შეხვედრის მოგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სხვათა შორის, **ანდრეს ინიესტამ** ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ პირველად ივარჯიშა. ექიმებმა მარკესის მსგავსად, ინიესტასაც აუკრძალეს მთელი დატვირთვით ვარჯიში. მან ნელ-ნელა უნდა აღიდგინოს ფორმა. სავარაუდოა, რომ „ბარსელონის" მთავარი მწვრთნელი არ გარისკავს და ანდრესს საკვირაო შეხვედრაში არ ათამაშებს.

„ესპანიოლთან" დაპირისპირების წინ **ხავიერ აგირეს ტომას უიფალუში** გამოაკლდა. ჩეხ მცველს შეხვდრის გამოტოვება საჩოთირო მიზეზის გამო მოუწევს. მას მწვავე დიარია აქვს და დეჰიდრატაციის საფრთხე ემუქრება. მიუხედავად იმისა, რომ უიფალუშს ექიმებმა გადასხმები გაუკეთეს, ის მაინც დიდი რაოდენობით სითხეს კარგავს. სენიორ აგირეს გადაწყვეტილებით, **ანხელ ბერნაბე, მიგელ კუევასი** და **ალვარო დომინგესი** განაცხადში ვერ მოხვდნენ. მექსიკელი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ისინი შორს არიან სასურველი კონდიციებისგან და ბევრი ვარჯიში სჭირდებათ. ესპანელი ჟურნალისტების ვარაუდით, აგირე ძირითად შემადგენლობაში ამ ფეხბურთელებს დააყენებს: **ლეო ფრანკო, პერეა, პაბლო, ჰეიტინგა, პერნია, ასუნსაო, მანიშე, მაქსი, სიმაო, ფორლანი, აგუერო.**

„სამპდორიასთან" განცდილი წარუმატებლობისა და უეფას თასიდან გამოვარდნის მიუხედავად, **მანოლო ხიმენესის** კარიერას საფრთხე არ ემუქრება. „სევილიის" ხელმძღვანელობა მთავარ მწვრთნელს ნდობას უცხადებს და თანადგომას ჰპირდება. ამის გათვალისწინებით, ახალგაზრდა სპეციალისტს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ მოთამაშეები „მალიორკას" დასამარცხებლად მშვიდად მოამზადოს. სენიორ ხიმენესს სერიოზული საკადრო პრობლემები არ აქვს. შესაძლოა, მას მხოლოდ **ფრედერიკ კანუტე** დააკლდეს. აფრიკელ ფორვარდს კოჭი ტკივა და ჯერჯერობით თვითონაც არ იცის, მოახერხებს თუ არა მოედანზე გასვლასა და თამაშს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 15 | 12 | 2 | 1 | 46-9 | 38 |
| 2. ვალენსია | 15 | 9 | 3 | 3 | 30-19 | 30 |
| 3. სევილია | 15 | 9 | 3 | 3 | 23-14 | 30 |
| 4. ვილიარეალი | 15 | 8 | 5 | 2 | 26-19 | 29 |
| 5. ატლეტიკო | 15 | 8 | 3 | 4 | 35-21 | 27 |
| 6. რეალი | 15 | 8 | 2 | 5 | 33-26 | 26 |
| 7. დეპორტივო | 15 | 7 | 3 | 5 | 16-17 | 24 |
| 8. ვალიადოლიდი | 15 | 7 | 2 | 6 | 22-20 | 23 |
| 9. მალაგა | 15 | 6 | 3 | 6 | 23-25 | 21 |
| 10. ხეტაფე | 15 | 5 | 6 | 4 | 21-20 | 21 |
| 11. ბეტისი | 15 | 5 | 3 | 7 | 21-21 | 18 |
| 12. სპორტინგი | 15 | 6 | 0 | 9 | 23-35 | 18 |
| 13. რასინგი | 15 | 4 | 5 | 6 | 17-21 | 17 |
| 14. ალმერია | 15 | 4 | 4 | 7 | 16-24 | 16 |
| 15. ბილბაო | 15 | 4 | 4 | 7 | 19-24 | 16 |
| 16. ნუმანსია | 15 | 4 | 2 | 9 | 17-30 | 14 |
| 17. მალიორკა | 15 | 3 | 4 | 8 | 17-29 | 13 |
| 18. რეკრეატივო | 15 | 3 | 4 | 8 | 10-22 | 13 |
| 19. ესპანიოლი | 15 | 3 | 4 | 8 | 12-22 | 13 |
| 20. ოსასუნა | 15 | 1 | 6 | 8 | 11-20 | 9 |



ფერნანდო ტორესს კიდევ ერთი კვირა გაუცდება, ის არსენალთან ვერ ითამაშებს

ინგლისი. პრემიერლიგა. XVIII ტურის წინ

# არსენალი მესამე გრანდის დამწუხრებას აპირებს

## ლივერპულსაც ზუსტად იგივე გეგმები აქვს...

| დღეს | |
|---|---|
| ბლეკბერნი-სტოკ სიტი | 19:00 |
| ბოლტონი-პორტსმუთი | 19:00 |
| ფულჰემი-მიდლსბრო | 19:00 |
| ჰალ სიტი-სანდერლენდი | 19:00 |
| ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 21:30 |
| **ხვალ** | |
| ვესტ ბრომვ.-მანჩესტერ სიტი | 17:30 |
| ნიუკასლი-ტოტენჰემი | 19:00 |
| არსენალი-ლივერპული | 20:00 |
| **ზეგ** | |
| ევერტონი-ჩელსი | 24:00 |

ტურის უმთავრესი თამაში, რასაკვირველია, "ემირიტს სთედიუმზე" გაიმართება. "არსენალი" "ლივერპულს" მიიღებს. "მეთოფეები" არასტაბილურად ასპარეზობენ. ისინი უთვალავ დაუგეგმავ ქულებს კარგავენ, მაგრამ რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ინგლისურ გრანდებთან ყოველთვის ღირსეულად გამოდიან. "მეთოფეებმა" უკვე დაამარცხეს "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ჩელსი". მიმომხილველთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ახლა "ლივერპულის" ჯერია.

ამ შთამბეჭდავ გამარჯვებებს ჩრდილს აყენებს წაგებები "ფულჰემთან", "ჰალ სიტისთან", "სტოკ სიტისთან", "მანჩესტერ სიტისა" და "ასტონ ვილასთან". შედეგად, "არსენალი" დღევანდელ მეტოქეს, რომელიც ამავე დროს პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერია, რვა ქულით ჩამორჩება. "ლივერპულის" ლიდერობა შემთხვევითი არ გახლავთ. "მეთოფეების" მსგავსად, მათაც დაამარცხეს "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ჩელსი".

"არსენალს" გარკვეული საკადრო პრობლემები აქვს. **სამირ ნასრიმ** კოჭის ტრავმა მოიშუშა და შესაძლოა, ძირითადში ითამაშოს. საეჭვოა **კოლო ტურეს** ასპარეზობა, რომელსაც წვივის კუნთი აქვს დაჭიმული. მუხლი აწუხებს დანიელ თავდამსხმელ **ნიკლას ბენდტნერს**. **თეო უოლკოტს**, მოგეხსენებათ, მხარის ტრავმა აქვს, ხოლო **ტომაშ როსიცკიმ** მუხლის ტრავმა ვერა და ვერ მოიშუშა.

უპრობლემოდ ვერც ლივერპულელები გადარჩნენ. **ფერნანდო ტორესი** შინ დარჩა. მას მინიმუმ კიდევ ერთი კვირა გაუცდება. სამმატჩიანი პაუზის შემდეგ, შესაძლოა, მარჯვენა მცველი **ფაბიო აურელიო** დაბრუნდეს.

მერსისაიდელებს "არსენალის" სტადიონზე ზედიზედ ცხრა შეხვედრა არ აქვთ მოგებული. მათი ბოლო წარმატება 2000 წლის 13 თებერვლით თარიღდება. **ტიტი კამარას** ერთაერთი გოლით, "ლივერპულმა" მეთოფეებს მინიმალური ანგარიშით სძლია. ცხრა წელია, ამ გუნდების დაპირისპირებაში სტუმარი გუნდი ვერ იმარჯვებს. სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, "ლივერპულმა" სამი ქულის მოპოვება დღესაც ვერ უნდა მოახერხოს.

"ჩელსი" "ევერტონს" ორშაბათს ესტუმრება. "არისტოკრატებს" უჩვეულო უილბლობა დასჩემდათ: "სტემფორდ ბრიჯზე" ჩატარებული ბოლო ხუთი თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. ამიტომ კმაყოფილი უნდა იყვნენ, რომ მეტოქის მოედანზე თამაში უწევთ. ევერტონელებს წამყვანი თავდამსხმელები - **ვიქტორ ანიჩებე** და **ლუის საა** აკლიათ. მხოლოდ თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე გადაწყდება, ითამაშებენ თუ არა ისინი. თუ ვერა, მთავარი მწვრთნელი **დევიდ მოიესი** ნახევარმცველ **ტიმ კაჰილს** შეტევაში გადასვლას დაავალებს.

"ჩელსის" ცენტრალური მცველი **რიკარდო კარვალიო** მუხლის მძიმე ტრავმისაგან განიკურნა, მაგრამ ის მხოლოდ შობის წინა დღეს შეძლებს თამაშს. 24 დეკემბერს ლონდონელები "ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" შეხვდებიან. დაშავებულები არიან **მიკაელ ესიენი** და **ფრანკო დი სანტო**. საეჭვოა **ფლორან მალუდას** ასპარეზობა. მას ბარძაყის კუნთი აწუხებს.

ამ ტურში შედგება "ბლექბერნის" ახალი თავკაცის, **სემ ელერდაისის** დებიუტი. "ვარდების" მოუგებელი სერია 11 მატჩს შეადგენს. მათი მეტოქე "სტოკ სიტია". ელერდაისს შეუძლია, გამარჯვებით დაიწყოს. "ვესტ ჰემი", რომელმაც გასულ უქმეებზე "ჩელსის" ერთი ქულა აართვა, ამჯერად ასტონ ვილის დამწუხრებას შეეცდება. გამარჯვების შემთხვევაში, ბირმინგემელები მესამე ადგილზე გადავლენ.

"მანჩესტერ სიტი", რომელსაც ბოლო რვა შეხვედრაში ერთადერთი მოგება აქვს, "ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" ესტუმრება. "რასინგთან" უეფას თასის მატჩისას (1:3) რობინიოს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. ამიტომ მისი თამაში საეჭვოა.

"ნიუკასლი" ფერზე მოსულ "ტოტენჰემს" მიიღებს. **ობა მარტინსს** საზარდულის ტრავმა აწუხებს. მან შესაძლოა, ვერ ითამაშოს. **ჯო კინეარს** კიდევ ორი წამყვანი ფეხბურთელი, **ჯოი ბარტონი** და **ალან სმიტი** აკლია. პრობლემები აქვთ "მამლებსაც". საეჭვოა **ლედლი კინგის, აარონ ლენონის, ლუკა მოდრიჩისა** და **ჯონათან ვუდგეიტის** ასპარეზობა.

**შალვა ბიბილაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 17 | 11 | 5 | 1 | 26-11 | 38 |
| 2. ჩელსი | 17 | 11 | 4 | 2 | 36-7 | 37 |
| 3. მანჩესტერ იუნ. | 16 | 9 | 5 | 2 | 27-10 | 32 |
| 4. ასტონ ვილა | 17 | 9 | 4 | 4 | 29-20 | 31 |
| 5. არსენალი | 17 | 9 | 3 | 5 | 29-20 | 30 |
| 6. ჰალ სიტი | 17 | 7 | 6 | 4 | 26-27 | 27 |
| 7. ევერტონი | 17 | 7 | 4 | 6 | 23-25 | 25 |
| 8. პორტსმუთი | 17 | 6 | 5 | 6 | 19-26 | 23 |
| 9. ვიგანი | 17 | 6 | 4 | 7 | 21-20 | 22 |
| 10. ფულჰემი | 16 | 5 | 6 | 5 | 13-12 | 21 |
| 11. ბოლტონი | 17 | 6 | 2 | 9 | 20-23 | 20 |
| 12. მიდლსბრო | 17 | 5 | 5 | 7 | 17-24 | 20 |
| 13. სტოკ სიტი | 17 | 5 | 5 | 7 | 17-27 | 20 |
| 14. ნიუკასლი | 17 | 4 | 7 | 6 | 22-24 | 19 |
| 15. ტოტენჰემი | 17 | 5 | 4 | 8 | 19-21 | 19 |
| 16. ვესტ ჰემი | 17 | 5 | 4 | 8 | 18-25 | 19 |
| 17. მანჩესტერ სიტი | 17 | 5 | 3 | 9 | 30-25 | 18 |
| 18. სანდერლენდი | 17 | 5 | 3 | 9 | 17-25 | 18 |
| 19. ბლექბერნი | 17 | 3 | 4 | 10 | 17-34 | 13 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 17 | 3 | 3 | 11 | 12-32 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XVII ტურის წინ

# წლის უკანასკნელი ინტრიგა

## ...და ანჩელოტის რევოლუცია ნახევარდაცვაში



კარლო ანჩელოტი მილანის ნახევარდაცვაში რევოლუციურ ცვლილებებს აპირებს

| დღეს | |
|---|---|
| ლაციო-პალერმო | 21.00 |
| სიენა-ინტერი | 23.30 |

| ხვალ | |
|---|---|
| ატალანტა-იუვენტუსი | 18.00 |
| კალიარი-რეჯინა | 18.00 |
| კატანია-რომა | 18.00 |
| კიევო-ჯენოა | 18.00 |
| ლეჩე-ბოლონია | 18.00 |
| სამპდორია-ფიორენტინა | 18.00 |
| ტორინო-ნაპოლი | 18.00 |
| მილანი-უდინეზე | 23.30 |

ამ უქმეებზე სერია A 2008 წლის კალენდარს დახურავს და 10 იანვრამდე დაგვემშვიდობება. მე-17 ტური წლეულს გუნდებისთვის ბოლო გამოცდაა და ბუნებრივია, არავის სურს შობის წინ გუნება-განწყობილება გაიფუჭოს. ყველაფერი ეს გვაძლევს იმედს, რომ წლის ბოლო შეხვედრები საინტერესო და დრამატულ ბრძოლაში წარიმართება. ტური ტრადიციულად შაბათის ორი მატჩით აიღებს სტარტს. ორივე ძალიან საინტერესოდ მოჩანს: "ლაციო"–"პალერმო" და "სიენა"–"ინტერი". რომაული პაექრობით დავიწყოთ.

"ლაციომ" წინა ტურში პატარა სასწაული მოახდინა და უდინეში ქულას გამოჰკრა ხელი. ალბათ გახსოვთ, **დელიო როსის** გუნდი "ფრიულიზე" 0:3-ს აგებდა, ნაანტრაქტევს კი სამი უპასუხო ბურთი მიართვა მეტოქეს და მარცხსაც გადაურჩა. ეგ კი არა, ცოტა უფრო დაკვირვებით რომ ეთამაშათ რომაელებს შეტევაში, ვინ იცის, იქნებ სამი ქულაც აელოთ. ასეა თუ ისე, "ლაციომ" მთლიანობაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა და თავის შერცხვენას არც "პალერმოსთან" აპირებს. როსი კვლავ სამფორვარდიან ტაქტიკას დაეყრდნობა და თავდასხმაში: **როკი-პანდევი-სარატეს** ტრიოს დააყენებს. ნახევარდაცვაში **ლედესმა, დაბო** და **ბროკი** დადგებიან. კითხვის ნიშნის ქვეშ იყო მეკარე **კარისოს** თამაში, ვინაც ერთ-ერთ ვარჯიშზე მიკრო ტრავმა მიიღო. ექიმების განმარტებით, საშიში არაფერია და კიპერს "პალერმოს" წინააღმდეგ თამაშის საშუალება აუცილებლად მიეცემა.

წლის მაჟორულ ნოტაზე დასრულება სურთ სიცილიელებსაც. "პალერმომ" სეზონის პირველი ნახევარი არასტაბილურად განვლო და ეს სატურნირო ცხრილიდანაც ჩანს, მე-9 ადგილი. არადა, გუნდმა რამდენიმე დიდებული გამარჯვება გამოჭედა. საკმარისია გავიხსენოთ ტურინში "იუვეს" ძლევა და სიცილიაში "მილანის" განადგურება. **დავიდე ბალარდინის** მთავარი თავსატკივარი **კაროციერის** ტრავმაა. ეს ფეხბურთელი დაცვის ნამდვილი ბურჯია და სა-პაროს-ს შეტევების გამკლავებაში გუნდს დიდად წაადგებოდა. სამაგიეროდ, სრულ მზადყოფნაშია **ლევან მჭედლიძე** და თავის შანსს ელის. ქართველი თავდამსხმელი სათადარიგოთა შორის იქნება და ვნახოთ, იქნებ 2008 წლის უკანასკნელ პაექრობაში ბალარდინიმ მას თავის გამოჩენის საშუალება მისცეს. სტუმართა თავდასხმას **ფაბრიციო მიკოლისა** და **ედისონ კავანის** ტანდემი დააკომპლექტებს, მწყობრში არიან წამყვანი შუახაზელებიც: **ნოჩერინო, ლივერანი, სიმპლისიო** და **ბრეშიანო**. ერთი სიტყვით, წინ საინტერესო მატჩია, რომელშიც, იმედია, ლევან მჭედლიძეც მიიღებს მონაწილეობას.

დღეს, კიდევ ერთი შეხვედრა შედგება. როგორც თავშივე აღვნიშნეთ, "სიენა" "ინტერს" მიიღებს. ტოსკანური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ჯამპაოლომ** ლიდერთან პაექრობის წინ შემდეგი განაცხადა: *"2008 წელს "ინტერთან" მატჩით ვხურავთ, რაც მთლად სასიამოვნო არ არის. ბუნებრივია, გვსურს, შობას გამარჯვებულნი შევხვდეთ, სამი ქულის მოპოვება კი "ნერაძურისთან" ურთულესი საქმეა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენსას შევეცდებით და აუცილებლად მოგებაზე ვითამაშებთ, ტიფოზები მუდამ მხარში გვიდგანან, არ აქვს მნიშვნელობა, როგორ ვასპარეზობთ და მათ საშობაო საჩუქარი ნამდვილად ეკუთვნით".* როგორც ხედავთ, მასპინძლები გამარჯვებისთვის ემზადებიან და ყველაზე მეტად **მასიმო მაკარონესი** ეიმედებათ. "სიენას" ლიდერი კარგ ფორმაშია და ვინძლო, ეს "ინტერთანაც" დაამტკიცოს.

"ნერაძურიში" კი დიდი ტრავმიანობაა. თავად განსაჯეთ, დაშავებულნი არიან: **რივასი, ვიეირა, კრუსი, მატერაცი, ობინა, ტოლდო**. დავამატოთ ამას დისკვალიფიცირებული **სტანკოვიჩი** და გუნდიდან მოკვეთილი **ადრიანო**. მიუხედავად ამისა, "ინტერის" ერთადერთი მიზანი გამარჯვება იქნება და ამაში ორი აზრი არ არსებობს. **ჟოზე მოურინიო** 4-3-1-2 ტაქტიკით ითამაშებს და თავდასხმაში **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **მარიო ბალოტელის** ტანდემს დააყენებს. როგორც იტალიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, გამთამაშებელი **ხიმენესი** იქნება, ნახევარდაცვაში კი ერთ ხაზზე **სალი მუნტარი, ესტებან კამბიასო** და **ხავიერ ძანეტი** განლაგდებიან. მატერაცის არყოფნაში დაცვის ცენტრს **სამუელი** და **კორდობა** გაამაგრებენ, ფლანგებზე კი **მაქსველი** და **მაიკონი** გაირჯებიან. მოურინიოს სურს, შობა-ახალ წელს ექვსქულიანი ფორით შეხვდეს, ამის შესახებ განაცხადა კიდეც და ვნახოთ, მიაღწევს თუ არა სანადელს.

კვირის მატჩებიდან შეგვიძლია "ატალანტა"–"იუვენტუსისა" და "მილანი"–"უდინეზეს" დაპირისპირებები გამოვარჩიოთ. ჯერ ბერგამოულ ჯახს შევეხოთ. "ატალანტა" მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენაა, ლომბარდიელები ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე ძალიან პასიურები იყვნენ, ფაქტობრივად, შევსება არ მიუღიათ და ასეთ შედეგს ნამდვილად არავინ ელოდა. მეშვიდე ადგილი და 24 მოგროვებული ქულა, მართლაც ალსანიშნავია. ბერგამოში თამაში "იუვესაც" ძალიან გაუჭირდება. **კლაუდიო რანიერიმ** წინა ტურში შესანიშნავი გამარჯვება გამოჭედა, "მილანი" ბეჭებზე გააკრა და ნამდვილად არ აქვს სურვილი, სეზონი "ატალანტასთან" დაკარგული ქულებით დაასრულოს. "ვეკია სენიორას" ტრავმირებული ფეხბურთელების მხრივ "ინტერზე" უარესი მდგომარეობა აქვს. ისლა დაგვრჩენია, იმ ფეხბურთელთა გვარები ჩამოვთვალოთ, რომლებიც ლაზარეთში იმყოფებიან: **ანდრადე, ძებინა, ტრეზეგე, ბუფონი, კნეჟევიჩი, პოულსენი, ტიაგო, კამორანეზი, ნედვედი, გრიგერა, იაკუინტა**. სია მართლაც შთამბეჭდავია და რაოდენ გასაკვირია, რომ ასეთი პრობლემების ფონზე "იუვე" ასე დიდებულად გამოიყურება.

რანიერი კვლავ **4-4-2** სისტემას დაეყრდნობა და თავდასხმაში **ალესანდრო დელ პიეროსა** და **კარვალიო ამაურის** დუეტს გაამწესებს. მათ უკან **სისოკო, მარკიზიო, მარკიონი** და **დე ჩელიე** გაირჯებიან. დაცვაში **მოლინაროს, კიელინის, ლეგროტალიეს** და **სალიჰამიჯიჩს** ვიხილავთ. კარში ჯერჯერობით **ალექს მანინგერი** დგას. ამდენი ტრავმირებულის ფონზე, "იუვეს" სათადარიგო სკამი უცხო გვარებით შეივსება. ახალგაზრდული გუნდიდან რანიერიმ **იაგო, ეკდალი** და **არიადუ** დააწინაურა. ეს გვარები თქვენთვის არაფრის მთქმელია, თუმცა ნათლად ასახავს "იუვეში" არსებულ რთულ საკადრო ვითარებას. ისე კი, სენიორ კლაუდიოს ზამთრის შესვენებამ სულზე მოუსწრო. იანვრისთვის რამდენიმე ფეხბურთელი, **ჯიჯი ბუფონის** თამადობით, სრულიად გამოჯანმრთელდება.

ტური "მილანი"–"უდინეზეს" პაექრობით დასრულდება. "როსონერიმ" უკვე საკმარისზე მეტი ქულა დაკარგა და წაფორხილების უფლება აღარ აქვს, ასე შეაფასა **ადრიანო გალიანიმ** მატჩის წინ არსებული სიტუაცია. მართლაც, "მილანი" სატურნირო ცხრილში უკვე მეოთხე პოზიციაზეა და "ინტერს" მთელი ცხრა ქულით ჩამორჩება. შავ-წითლებმა ბოლოდროინდელ წარუმატებელ თამაშებს უეფას თასზე "ვოლფსბურთან" ნათამაშები ფრეც დაურთეს და ამით კიდევ ერთხელ დაგვანახვეს, რომ გუნდში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ამაზე **კარლო ანჩელოტის** სიტყვებიც მოწმობს: *"ცალკე აღებული თითოეული ფეხბურთელი ძალიან მონდომებულია, მაგრამ ერთობლიობაში არაფერი გამოგვდის. აშკარაა, რომ ცვლილებებს უნდა მივმართოთ და შემადგენლობა გადავახალისოთ. გარკვეული ძვრები უახლოეს შეხვედრაში იქნება, დანარჩენს კი მომავალი წლიდან იხილავთ. ამ კუთხით უმნიშვნელოვანესი იქნება ზამთრის მოსამზადებელი ეტაპი".*

კარლეტო ცვლილებებზე ალაპარაკდა და ჟურნალისტებს გასაანალიზებელი თემა ჩაუგდო. სიურპრიზებს ანჩელოტი ამ კვირაშივე შემოგვთავაზებს. სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობაში ვიხილავთ ურუგვაელ ნახევარმცველებს, **კარდასიოს** და **ვიუდესს**. პირველი მარცხენა ფლანგზე დაიკავებს ადგილს, მეორე კი ცენტრში **ემერსონს** შეუწყვილდება. ბარემ ვთქვათ, რომ მარჯვენა ნახევარმცველად **კლარენს ზეედორფი** გაირჯება. ახალგაზრდა ურუგვაელების თამაში მართლაც დიდ ინტერესს იწვევს და ვნახოთ, რა გამოვა ამ ექსპერიმენტისგან. ოთხი შუახაზელის წინ **რონალდინიო** იმოქმედებს, ცენტრფორვარდად კი **ალეშანდრე პატო** დადგება. დაცვის ცენტრში **პაოლო მალდინი** და **კახა კალაძე** გაირჯებიან, ფლანგებზე კი **მარეკ იანკულოვსკი** და **ჯუზეპე ფავალი**. დანაკლისი კარლეტოსაც დიდი აქვს. ტრავმირებულები: **დანიელე ბონერა, მარკო ბორიელო, ალესანდრო ნესტა, ჯენარო გატუზო, მატიო ფლამინი, ფილიპ სენდეროსი, ანდრეა პირლო** და **კაკა**. დავამატოთ ორი დისკვალიფიცირებული: **ჯანლუკა ძამბროტა** და **მასიმო ამბროზინი**. ანჩელოტის საქმეს ისიც ურთულებს, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ოპტიმალური ფორმისგან შორსაა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, "მილანმა" უსიკვდილოდ უნდა გაიმარჯვოს და ბოლო დროს დათმობილი პოზიციები ნაწილობრივ მაინც აღიდგინოს.

სულ ბოლოს, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მე-17 ტურით სერია A საშობაო შესვენებაზე გადის – პირველობა 10 იანვარს განახლდება.

**ლაშა ნიკლაური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 16 | 12 | 3 | 1 | 29-10 | 39 |
| 2. იუვენტუსი | 16 | 10 | 3 | 3 | 27-12 | 33 |
| 3. ნაპოლი | 16 | 9 | 3 | 4 | 25-15 | 30 |
| 4. მილანი | 16 | 9 | 3 | 4 | 23-17 | 30 |
| 5. ფიორენტინა | 16 | 9 | 2 | 5 | 24-14 | 29 |
| 6. ჯენოა | 16 | 7 | 5 | 4 | 23-17 | 26 |
| 7. ატალანტა | 16 | 7 | 3 | 6 | 20-16 | 24 |
| 8. ლაციო | 16 | 7 | 3 | 6 | 25-22 | 24 |
| 9. პალერმო | 16 | 7 | 2 | 7 | 21-20 | 23 |
| 10. რომა | 15 | 7 | 2 | 6 | 19-20 | 23 |
| 11. უდინეზე | 16 | 6 | 4 | 6 | 24-21 | 22 |
| 12. კატანია | 16 | 6 | 4 | 6 | 15-18 | 22 |
| 13. კალიარი | 16 | 6 | 2 | 8 | 18-20 | 20 |
| 14. სამპდორია | 15 | 5 | 4 | 6 | 15-17 | 19 |
| 15. სიენა | 16 | 5 | 4 | 7 | 12-16 | 19 |
| 16. ბოლონია | 16 | 3 | 5 | 8 | 19-27 | 14 |
| 17. ლეჩე | 16 | 2 | 7 | 7 | 14-24 | 13 |
| 18. ტორინო | 16 | 3 | 3 | 10 | 17-29 | 12 |
| 19. რეჯინა | 16 | 3 | 3 | 10 | 14-32 | 12 |
| 20. კიევო | 16 | 2 | 3 | 11 | 9-25 | 9 |



უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური

# 1/16 ფინალის მარგალიტი: ვერდერი–მილანი


რასინგი-მანჩესტერ სიტი. გონსალო კოშტასა და რობინიოს ორთაბრძოლა. ესპანელებმა ინგლისელები დაამარცხეს, მაგრამ მაინც ჯგუფში ჩარჩნენ

## A ჯგუფი

**პსჟ–ტვენტე 4:0**

**პსჟ:** ლანდრო, არმანი, ზ. კამარა (62. შანტომი), სახო, სეარა, სესენონი (62. ოარო), კლემანი, ბურილიონი, პანკრატი (72. ჟიული), კეჟმანი, ლუინდულა.

**ტვენტე:** ბოშკერი, რ. სტამი (71. ველენბერგი), ვიელარეტი, დუგლასი, ბრააფჰეიდი, ბრამა, ტიოტე, იანსენი (76. პერესი), არნაუტოვიჩი, ჰუისეგემსი, დენებოომი.

**გოლები:** 1:0 ლუინდულა (8), 2:0 სესენონი (24), 3:0 კეჟმანი (84), 4:0 ლუინდულა (86)

**გაფრთხილება:** 0-3

**მაყურებელი:** 25 000

**რასინგი–მანჩესტერ სიტი 3:1**

**რასინგი:** კოლტორტი, ვალერა, გარაი, სესარ ნავასი, მარკანო, მუნიტისი, კოლსა (77. ლასენი), ლუქსენი, ოსკარ სერანო, ჩიტე, ჯონათანი (83. ხუანხო).

**სიტი:** კ. შმაიხელი, საბალეტა, რიჩარდსი, ბენ ჰაიმი, გარიდო, ჰამანი, ჟელსონ ფერნანდესი, ვასელი, ელანო (61. კომპანი), რობინიო (46. ირლანდი), ევანსი (76. კაისედო).

**გოლები:** 1:0 ჯონათანი (18), 2:0 ოსკარ სერანო (30), 3:0 ვალერა (55), 3:1 კაისედო (90)

**გაფრთხილება:** 4-5

**მაყურებელი:** 17 000

**სამწუხაროდ, ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** „შალკე“ ჯგუფში ჩარჩა. პსჟ-მ და „რასინგმა“ თავიანთი მატჩები მოიგეს და ფრანგულმა კლუბმა ესპანურ გუნდს ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა. ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „შალკეს“ უმძიმესი დროება უდგას. როგორც ბუნდესლიგაში, ისე ევროტურნირებზეც, ქართველების გერმანულმა კლუბმა ეს სეზონი ფაქტობრივად უკვე ჩააგდო.

პსჟ „ტვენტესთან“ მატჩში, რომელსაც პლეი ოფში თამაში ფაქტობრივად განაღდებული ჰქონდა, უკვე მერვე წუთზე დაწინაურდა. ანგარიში **ლუინდულამ** გახსნა, რომელმაც ამ შეხვედრაში საბოლოოდ დუბლი შეასრულა. ამასობაში, „შალკესთვის“ საუბედუროდ „რასინგიც“ მალევე დაწინაურდა „მანჩესტერ სიტისთან“ შეხვედრაში და აღსანიშნავია, რომ ბოლო ტურს ინგლისელებისთვის არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. სტარტიდან 30 წუთის შემდეგ ესპანელები „სიტის“ **პერეირასა** და **სერანოს** გოლებით 2:0-ს უგებდნენ. ამიტომაც, შესვენებისთვის უკვე ცხადი გახლდათ, რომ პსჟ-სა და „რასინგს“ შორის ბურთების უკეთესი შეფარდებისთვის მიდიოდა ბრძოლა, რადგან ეს გუნდები ქულების თანაბარ რაოდენობას აგროვებდნენ და მთავარი იყო, ვინ უფრო მეტს გაიტანდა ან ნაკლებს გაუშვებდა. ფინიში მეტად თვალსასეირო გამოვიდა. პსჟ-მ 86-ე წუთზე „ტვენტეს“ მეოთხე გოლი გაუტანა (ლუინდულა), „სიტიმ“ კი „რასინგს“ მეოთხე გოლი არ გაატანინა და მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე აქეთ გაუტანა. ესპანელებმა ოდენ 3:1 მოიგეს და პლეი ოფისკენ პარიზულ კლუბს დაულოცეს გზა.

„შალკეზე“ კი, რომელმაც ბოლო ადგილი დაიკავა, ის უნდა ვთქვათ, რომ ამ გუნდში რაღაც ძირეული ცვლილებაა საჭირო. ფაქტია, რომ გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელები ბოლო წლებში (მას მერე, რაც რუდი ასაუერი პენსიაში გავიდა), მუდმივად მცდარ გადაწყვეტილებებს იღებენ....

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ სიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 2. ტვენტე | 4 | 2 | 0 | 2 | 5-8 | 6 |
| 3. პსჟ | 4 | 1 | 2 | 1 | 7-5 | 5 |
| 4. რასინგი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 5. შალკე | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |

## B ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი–ჰერტა 4:0**

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი, მიხ. ჟევლაკოვი, პაპადოპულოსი, დომი, გალეტი (75. პანტოსი), პაცაცოგლუ, ბელუში (84. დ. კოვაჩევიჩი), დუდუ, ჯორჯევიჩი (60. ლეტო), დიოგო.

**ჰერტა:** დრობნი, ფონ ბერგენი (69. დომოვჩისკი), ა. ფრიდრიხი, კაკა, მ. შტაინი, ნიკუ (88. ლუსიო), დარდაი, ლუშტენბერგერი, სესერო სანტოსი, რაფაელი, პანტელიჩი (75. ჩერმიტი).

**გოლები:** 1:0 დუდუ (54), 2:0 გალეტი (67-პენ), 3:0 ტოროსიდისი (86), 4:0 დიოგო (88)

**გაფრთხილება:** 3-1

**მაყურებელი:** 30 000

**ბენფიკა–მეტალისტი 0:1**

**ბენფიკა:** მორეირა, მაქსიმილიანო პერეირა, სიდნეი, მიგელ ვიქტორი, დავიდ ლუისი, ბასტოსი (56. ბალბოა), იებდა, ბინია, ურეტავისკაია, ო. კარდოსო, ნუნუ გომეში (70. დე მარია).

**მეტალისტი:** გორიანოვი, ბორდიინი, მაიდანა, ობრადოვიჩი, განჩარჩიკი, სლუსარი, ედმარი, ტრიშოვიჩი (65. რიკუნი), გეიე, ჯექსონ კოელიუ (80. კონიუშენკო), ფომინი (46. დევიჩი).

**გოლი:** 0:1 რიკუნი (85)

**გაფრთხილება:** 4-2

**მაყურებელი:** 10 000

ბერლინის „ჰერტას“ ბოლო ტურის წინ „შალკეზე“ უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა. მართალია, ბერლინელებს სამი მატჩიდან არც ერთი არ ჰქონდათ მოგებული, მაგრამ ბოლო ტურში „ოლიმპიაკოსს“ სტუმრობდნენ და რომ ემარჯვათ, 1/16 ფინალში გავიდოდნენ. თანაც, „ჰერტამ“ ბუნდესლიგის პირველი წრე იმდენად კარგად ჩაატარა, რომ ექსპერტების გარკვეული ნაწილი **ლუსიენ ფავრის** გუნდს წარმატებას უწინასწარმეტყველებდა. აღსანიშნავია, რომ საბერძნეთში ბერლინელებს საგოლე შანსები უხვად მიეცათ, მაგრამ ამაზე საუბარი სასაცილოა იმ ფონზე, რომ „ოლიმპიაკოსმა“ გერმანული კლუბი ძალიან შეარცხვინა – 4:0. პირველ ტაიმში ბერლინელთა დაწინაურება **დარდაისა** და **პანტელიჩს** შეეძლოთ, თუმცა არც ბერძნები იყვნენ უქმად. „ოლიმპიაკოსმა“ „ჰერტას“ დარბევა 54-ე წუთიდან დაიწყო, როცა **დუდუმ** ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. გაშვებული გოლის შემდეგ გერმანელები კიდევ უფრო გაიხსნენ, მაგრამ ამით უარესი შედეგი მიიღეს. ერთ-ერთი კონტრიერიშის დროს **ფონ ბერგენმა** საკუთარ საჯარიმოში დუდუ დასცა და დაინიშნა პენალტი, რომელიც **გალეტიმ** აქცია გოლად. ამის შემდეგ ბერლინული კლუბი უკვე ძალიან აიჭრა, რასაც ბერძენთა კიდევ ორი გოლი მოჰყვა – ჯერ **ტოროსიდისმა** იხეირა, საბოლოო წერტილი კი **დიოგომ** დასვა. აი, ასე გამოეთხოვა „ჰერტა“ უეფას თასს ლისაბონის „ბენფიკასთან“ ერთად. პორტუგალიური კლუბი უშანსოდ გახლდათ და ალბათ ამიტომ, „ბენფიკას“ ფეხბურთელებმა არც ხარკოვის „მეტალისტთან“ მატჩში მოიკლეს თავი და საკუთარ მოედანზე 0:1 დამარცხდნენ. პლეი ოფში „ოლიმპიაკოსთან“ ერთად, სწორედ „მეტალისტმა“ და „გალათასარაიმ“ გააღწიეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალისტი | 4 | 3 | 1 | 0 | 3-0 | 10 |
| 2. გალათასარაი | 4 | 3 | 0 | 1 | 4-1 | 9 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-3 | 6 |
| 4. ჰერტა | 4 | 0 | 2 | 2 | 1-6 | 2 |
| 5. ბენფიკა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |

## C ჯგუფი

**სამპდორია–სევილია 1:0**

**სამპდორია:** კასტელაცი, კამპანიარო, გასტალდელო, ლუკინი (62. ბოტინელი), პადალინო, ჯ. დელვეკიო, სამარკო, ფრანჩესკინი, პიერი (46. ციგლერი), ბელუჩი (90+1. სტანკევიჩუსი), კასანო.

**სევილია:** პალოპი, სკილაჩი, ფასიო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, კონკო (55. მოსკერა), მარესკა (79. რომარიკი), ხესუს ნავასი, ადრიანო (67. დიეგო კაპელი), რენატო, ლუიშ ფაბიანო.

**გოლი:** 1:0 ბოტინელი (74)

**გაფრთხილება:** 3-2

**მაყურებელი:** 15 000

**შტუტგარტი–სტანდარდი 3:0**

**შტუტგარტი:** ლემანი, ტაში, ლანიგი, მარიკა, ჰიტცლშპერგერი, ბოკა, დელპიერი, ჰილბერტი (70. ბულარუზი), ხედირა (77. პარდო), გომესი (82. კაკაუ), ტრაში.

**სტანდარდი:** არაგონი, გორო, ონიევუ, ვ. დალმა (66. კარსელა-გონსალესი), დეფური, მბოკანი (77. ნიკეზი), დე კამარგო (74. მანგალა), მულემო, სარი, ვიტცელი, იოვანოვიჩი.

**გოლები:** 1:0 ხედირა (5), 2:0 ჰილბერტი (49), 3:0 მარიკა (72)

**გაფრთხილება:** 1-0

**მაყურებელი:** 20 000

„შტუტგარტმა“ ამოცანას თავი ძალიან კარგად გაართვა. „სტანდარტთან“ მატჩში შვაბები უკვე მეხუთე წუთზე დაწინაურდნენ – გოლი **სამი ხედირამ** გაიტანა, ფეხბურთელმა, რომელმაც ბუნდესლიგის პირველი ხრის ბოლო ტურში „ბაიერნს“ დუბლი შეუსრულა. **მარკუს ბაბელის** შეგირდებს გატანილი გოლის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ შეტევები, მაგრამ დანარჩენი გოლები მეორე ტაიმში ვიხილეთ. 49-ე წუთზე **რობერტო ჰილბერტმა** სხვაობა ორამდე გაზარდა, 72-ე წუთზე კი რუმინელმა ფორვარდმა **ჩიპრიან მარიკამ** მესამედ დალაშქრა ლიეჟელთა კარი. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ ბელგიელებს ამ მატჩის წინ 1/16 ფინალში თამაში მაინც განაღდებული ჰქონდათ და როგორც ხედავთ, „მერსედეს ბენც არენაზე“ თავი აღარ მოუკლავთ.

ჯგუფის მეორე მატჩი გაცილებით საინტერესო და დაძაბული გამოვიდა. აქ ერთმანეთს გენუის „სამპდორია“ და „სევილია“ ხვდებოდნენ. იტალიურ კლუბს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდა, გალისიელებს კი ფრეც ჰყოფნიდათ. ვერ ვიტყვით, რომ იტალიელებმა ესპანელები დაჩაგრეს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ „სამპდორიამ“ უფრო დისციპლინირებული ტაქტიკის ხარჯზე მინიმალური სხვაობით, იტალიურ სტილში, 1:0 მოიგო. ეს ერთადერთი გოლი 75-ე წუთზე, შეცვლაზე 9 წუთის შესულმა **ჯონათან პაბლო ბოტინელიმ** გაიტანა. ამ გამარჯვებით გენუელებმა „სევილია“ ჯგუფში ჩატოვეს, „შტუტგარტს“ კი ქულებით გაუთანაბრდნენ, თუმცა ბურთების უარესი შეფარდების გამო მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდნენ. მაგრამ „სამპდორიაში“ ამაზე არავის უფიქრია – **ანტონიო კასანომ** და კომპანიამ პლეი ოფში გასვლა იზეიმეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარტი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| 2. შტუტგარტი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 3. სამპდორია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-5 | 7 |
| 4. სევილია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-2 | 6 |
| 5. პარტიზანი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |

## D ჯგუფი

**ნიიმეგენი–უდინეზე 2:0**

**ნიიეგენი:** ბაბოში, დანი ფერნანდესი, ვისგერჰოფი, ზომერი, ელ-აკჩაუი, სიბუმი, შონე, ლ. დავიდსი, ნტიბაზონკიზა (46. კოლინზ ჯონი), ვან ბროკერინგი (90. ჰანსენი), ბუაუზანი.

**უდინეზე:** ბელარდი, ნეფი, კოდა, ფელიპე (22. გიოქჰან ინლერი), პასკუალე, დომიცი, ობოდო, ისლა (62. ლუკოვიჩი), მოტა (70. დ'აგოსტინო), სანჩესი, ფლორესი.

**გოლები:** 1:0 კოლინზ ჯონი (74), 2:0 ვან ბროკერინგი (78)

**გაფრთხილება:** 2-4

**მაყურებელი:** 12 500

**ტოტენჰემი–სპარტაკი 2:2**

**ტოტენჰემი:** გომეში, გიუნტერი, ზოკორა, დოუსონი, ჟილბერტო (46. ლენონი), ბენტლი, ჰადლსტოუნი, ო'ჰარა, ბეილი, მოდრიჩი, ფ. კემპბელი.

**სპარტაკი:** პლეტიკოშა, პარშივლიუკი, მალიკ ფათჰი, ჟირანეკი, კლემენტე როდრიგესი, შიშკინი (86. ბაჟენოვი), კოვალჩიუკი, რიჟკოვი (61. გრიგორიევი), მალოიანი, ძიუბა, საენკო.

**გოლები:** 0:1 ძიუბა (23), 0:2 ძიუბა (33), 1:2 მოდრიჩი (68), 2:2 ჰადლსტოუნი (74)

**გაფრთხილება:** 0-0

**მაყურებელი:** 35 000

ამ ჯგუფში მდგომარეობა ძალიან დაძაბული იყო. „ტოტენჰემს“ მოსკოვის „სპარტაკთან“ 2:2 ეყო იმისათვის, რომ მომდევნო ეტაპზე გასულიყო, რაც „სპარტაკისთვის“ საკმარისი არ აღმოჩნდა. პარალელურ შეხვედრაში კი, „ნიიმეგენმა“ „უდინეზე“ 2:0 დაამარცხა და მოსკოვური კლუბი უკან მოიტოვა. იტალიელებს „თავი ქუდში ჰქონდათ“ და „ნიიმეგენთან“ ძალები დაზოგეს, რითაც რუსეთის სახალხო კლუბმა იზარალა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უდინეზე | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 2. ტოტენჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-4 | 7 |
| 3. ნიიმეგენი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 4. სპარტაკი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 5. დინამო | 4 | 1 | 0 | 3 | 4-9 | 3 |

გოტფრიდ **ლენცი**

### უეფას თასი

**1/16 ფინალი**

**წილისყრა**

პსჟ-ვოლფსბურგი
კოპენჰაგენი-მანჩესტერ სიტი
ნიიმეგენი-ჰამბურგი
სამპდორია-მეტალისტი
ბრაგა-სტანდარტი
ასტონ ვილა-ცსკა
ლეხი-უდინეზე
ოლიმპიაკოსი-სტ. ეტიენი
ფიორენტინა-აიაქსი
ოლბორგი-დეპორტივო
ბორდო-გალათასარაი
დინამო (კ)-ვალენსია
ზენიტი-შტუტგარტი
მარსელი-ტვენტე
შახტარი-ტოტენჰემი
ვერდერი-მილანი

**1/8 ფინალი**

ვერდერი/მილანი - ოლიმპიაკოსი/სტ. ეტიენი
ასტონ ვილა/ცსკა - შახტარი/ტოტენჰემი
ლეხი/უდინეზე - ზენიტი/შტუტგარტი
პსჟ/ვოლფსბურგი - ბრაგა/სტანდარტი
დინამო (კ)/ვალენსია - სამპდორია/მეტალისტი
კოპენჰაგენი/სიტი - ოლბორგი/დეპორტივო
მარსელი/ტვენტე - ფიორენტინა/აიაქსი
ნიიმეგენი-ჰამბურგი - ბორდო/გალათასარაი



ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტი

# ქუჩიდან მოსული ხულიგანი



ანტონიო კასანო, დიდ ფეხბურთში ქუჩიდან მოსული ხულიგანი

**ის თავის თავს „ქუჩიდან მოსულ ხულიგანს“ უწოდებს და თავისი უკიდეგანო ექსცენტრულობით ყველა ფეხბურთელისგან გამოირჩევა. თავიდან „ბარიში“ გამოჩნდა, ეს იმ დროს, როცა იტალიაში „დიდი შვიდეული“ („იუვენტუსი“, „მილანი“, „ინტერი“, „ლაციო“, „პარმა“, „ფიორენტინა“, „რომა“) არსებობდა და იმ შვიდეულის გარდა, „ბოლონია“, „უდინეზე“ და „ბარი“ ქმნიდნენ სერია A-ში ამინდს. მოიარა რომი, მადრიდი (მადრიდის „რეალი“!) და დღეს გენუის „სამპდორიაშია“, სადაც, როგორც თვითონ ამბობს, ბოლოს და ბოლოს იპოვა მყუდრო ადგილი.**

**ანტონიო კასანოზე** რომ იყოს დამოკიდებული, დედამიწას ანარქია შთანთქავდა და კიდევ კარგი, ასე რომ არ არის. 26 წლის იტალიელმა თავდამსხმელმა ამას წინათ თქვა, „სამპდორიაში“ რომ არ გადავსულიყავი, ახლა ფეხბურთს მთვარეზე ვითამაშებდიო. ის მოთამაშეების იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებზეც ყოველთვის ამბობენ და იტყვიან, დიდი ფეხბურთის თამაში შეეძლოთო. თუმცა კასანო ჯერ მხოლოდ 26 წლისაა და ვინ იცის, რას უქადის მომავალი. ყოველ შემთხვევაში, მისი ტექნიკური შესაძლებლობები დღესაც დაფასებულია. ერთხელ **ფაბიო კაპელომ** თქვა, ანტონიო და რონალდო საუკეთესო ფეხბურთელები არიან, რომლებთანაც ოდესმე მიმუშავიაო. კაპელო კასანოს „რომასა“ და „რეალში“ წვრთნიდა. და კაპელო მას ყველა მწვრთნელზე უკეთ უგებდა...

ანტონიოს გენუაში დიდ პატივს სცემენ, ამ ქალაქის მილმა კი, ვერ ვიტყვით, რომ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. თუმცა მისი მეგობრების წრე არცთუ პატარაა. იტალიაში კასანოს ინფანტილურ ფენომენს ცალკე სახელიც კი მოუძებნეს - „კასანატე“ და ამ სიტყვას საკმაოდ დიდი შანსი აქვს, რომ იტალიურ ენას დიდხანს შემორჩეს.

*„ანტონიომ ძალიან კარგად იცის, რომ დროა, გაიზარდოს და ჭკუას მოუხმოს,“* - ეს განცხადება **ჯენარო გატუზოს** ეკუთვნის, რომელიც „მილანის“ ნახევარმცველმა ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას თქვა, - *„მე ვიტყოდი, რომ ის სწორ გზას ადგას, მაგრამ, მოდით, მეტს ალარაფერს ვიტყვი, რადგან ვიცი, მერე სასტუმროში მივალ და იქაურობა გადატრიალებული დამხვდება!“* ასეა, ანტონიო ის ადამიანია, რომლისგანაც ნებისმიერ დროს ყველაფერს უნდა ელოდო, რომელთან მიმართებაშიც არასდროს არაფერი უნდა გამორიცხო.

თვითონ ანტონიო საკუთარ თავს „ქუჩიდან მოსულ ხულიგანს“ უწოდებს. ის ბარის ძველ, ღარიბ უბანში გაიზარდა. წლების წინ, ამ ქალაქში მოპედები აკრძალული იყო, რადგან გადაადგილების ამ საშუალებას ხულიგნები იყენებდნენ – ტურისტებს ჩანთებს გამოგლეჯდნენ და მოპედებით გარბოდნენ. ანტონიოც ამ „საქმიანობით“ იყო დაკავებული. თითქმის ყოველდღე ჩხუბობდა და ერთ-ერთ დაჯგუფებასთან შეტაკებისას მისი ორი მეგობარი დაიღუპა. კასანოს მამა კონტრაბანდული სიგარეტით და არა მარტო სიგარეტით ვაჭრობდა და პოლიციის თანამშრომლებს არაერთხელ გაქცევია. ერთ-ერთი დაკავების შემდეგ, პოლიციელებს მისთვის უთქვამთ: ისეთი სწრაფი ხარ, თამამად შეგიძლია, ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობაო. *„სისწრაფე ანტონიოს ჩემგან გამოჰყვა,“* - თამამად ამბობს **ჯენარო კასანო**, ანტონიოს მამა. ფეხბურთელს არაერთხელ უთქვამს: რომ არა ფეხბურთი, დღეს ან ციხეში ვიქნებოდი, ანაც ბარის სასაფლაოზეო. *„იმიტომ, რომ არასდროს მიმუშავია და არც სურვილი გამჩენია, რომ მემუშავა. სირბილისა და დრიბლიორობის მეტი არაფერი შემიძლია,“* - ამბობს კასანო. თუმცა სწორედ მხოლოდ სირბილითა და დრიბლიორობით იშოვა მილიონები.

1999 წლის 18 დეკემბერი, „ბარი“-„ინტერი“. კასანო იმხანად 17 წლის გახლდათ. ეს იყო მისი მეორე თამაში სერია A-ში. ერთ-ერთ მომენტში მან გრძელი პასი მიიღო, ბურთი ქუსლით გააჩერა, აიგდიო, თავით გაისწორა და დრიბლინგი წამოიწყო. ჯერ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ლორან ბლანი** გააცურა, მერე ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული **კრისტიან პანუჩი** და გაიტანა გოლი (88-ე წუთზე), რომელმაც „ბარის“ „ინტერთან“ გამარჯვება (2:1) მოუტანა. საფინალო სასტვენი მალევე გაისმა და ერთ-ერთმა იტალიელმა ჟურნალისტმა ანტონიოს ჰკითხა, რა იფიქრე, როცა ბურთმა კარის ბადე შეარხიაო. *„მივხვდი, რომ გავმდიდრდი!“* - ასეთი იყო კასანოს პასუხი.

2001 წელს კასანო 30 მილიონი ევროს სანაცვლოდ „რომაში“ გაიყიდა და სწორედ მაშინ გაჩნდა იტალიურ ენაში გამოთქმა „კასანატე“. მოედანზე ისე იქცეოდა, როგორც ექსტაზის ზემოქმედების ქვეშ მყოფი გნომი, რომელიც მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს, მწვრთნელს და ასე განსაჯეთ, თანაგუნდელებსაც კი მუდმივად ნერვებს უშლიდა. იყო შემთხვევა, როდესაც კასანომ გუნდის შეკრება დატოვა და სახლში, დედასთან რამდენიმე დღის განმავლობაში ისე ჩაიკეტა, რომ მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. გაქცევის მიზეზი კი მხოლოდ და მხოლოდ ის იყო, რომ მწვრთნელმა უთხრა, მომდევნო მატჩში ძირითად შემადგენლობაში არ გათამაშებ, სათადარიგოთა სკამი უნდა ხეხოო. კასანოს არაერთხელ მოუტყუებია გუნდის ხელმძღვანელები, ისე ცუდად ვარ, რომ ვკვდებიო – მხოლოდ იმ მიზნით, რომ შვებულება გაეხანგრძლივებინა. შეკრებებზე სკამების დამტვრევასა და სხვა ამგვარ „წვრილმანებზე“ აღარაფერს ვამბობთ.

ცნობილია, რომ ანტონიოს მორჯულებას ვერც ერთი მწვრთნელი ვერ ახერხებდა. ეს მხოლოდ **ფაბიო კაპელომ** შეძლო და ისიც არა 100 პროცენტით. კაპელო ერთადერთი მწვრთნელია, რომლის ხელშიც ანტონიო მეტნაკლებად სრულ ჭკუაზე მყოფ ადამიანს ჰგავდა. 2004 წელს კასანო „რომას“ იმჟამინდელ თავკაც **რუდი ფიოლერს** უმწარებდა სიცოცხლეს. იტალიელები რუდის არა როგორც ფიოლერს, არამედ ასე მოიხსენიებენ: „ფელერი“. კასანომ კი თავისებური ინტერპრეტაცია მოძებნა და რუდის „როკფელერი“ შეარქვა. *„ძალიან კარგი კაცია, მაგრამ როგორც მწვრთნელი, კაპიკად არ ვარგა!“* - ამბობდა ანტონიო და გარკვეულწილად სიმართლეც გამოუვიდა.

ფიოლერმა ანტონიო ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი მატჩის განაცხადში მხოლოდ რეზერვისტის რანგში შეიყვანა. და როგორი იყო ფეხბურთელის რეაქცია? მან რუდის პირდაპირ მიახალა: *„სკამზე შენ დაჯდები! მეგობარო ფრიტც, მაკოცე უკანალზე!“* - და კასანო იმ თამაშზე საერთოდ არ მისულა. ამას გარდა, თავის დროზე, „რომას“ ამჟამინდელ მწვრთნელ **ლუჩანო სპალეტის** კასანო პოსტზე დანიშვნის დროს ასე მიესალმა: *„არ გეგონოს, რომ აქ შენ ისეთ იდიოტებს წვრთნი, როგორებიც „უდინეზეში“ გყავდა. ამას გარდა, არ გეგონოს, რომ „რომა“ შენი სახლია. ეს ჩემი სამეფოა!“* უბრალო დამთხვევაა, მაგრამ სიმბოლური: 2006 წელს, როდესაც „რომამ“ კასანო „რეალში“ გაუშვა, „ჯალოროსიმ“ ზედიზედ თერთმეტი თამაში მოიგო და ახალი პირადი რეკორდი დაამყარა...

„რეალში“ კასანო ცოტას თამაშობდა და ბევრს ჭამდა. სიმაღლეში მხოლოდ 1.75 მეტრია და გადასვლიდან ერთ თვეში უკვე 91 კილოგრამს იწონიდა. თანაგუნდელმა რონალდომ მას „გორდიტო“ (მსუქანა) შეარქვა, ეს იმ დროს, როდესაც თვითონ რონალდოს „ელ გორდოს“ (მსუქანი) ეძახდნენ. მოგეხსენებათ, რონალდოსგან ასეთი მეტსახელის მიღება ნამდვილად მეტისმეტია. ისე, მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ რონალდო და ანტონიო ერთმანეთს ჩინებულად უგებდნენ. *„რა გასაკვირია, რომ რონის ძალიან კარგად გავუგე. გემრიელი საჭმელები და ქალები მასაც ისევე უყვარს, როგორც მე. მე დღემდე 600-700 ქალი მყავდა, რონალდოს, ცხადია, უფრო მეტი, მაგრამ მისი არასდროს მშურდა. რაც არ უნდა იყოს, რონი ჩემზე გაცილებით მაგარი ფეხბურთელი და უფრო სიმპათიური ყმაწვილია,“* - წერს კასანო თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მადრიდელებმა ამოისუნთქეს, როდესაც კასანო „სამპდორიამ“ წაიყვანა (2007 წელი). გენუაში ანტონიომ დღემდე მხოლოდ ერთხელ მიქარა თავისებურად. კერძოდ, მარტში, ერთ-ერთი შეხვედრის დროს, როდესაც მსაჯმა მას წითელი ბარათი აუფრიალა, კასანომ მაისური გაიხადა, არბიტრს სახეში ესროლა და მიაძახა, საფინალო სასტვენის შემდეგ გარეთ გელოდებიო. ამისათვის ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს და 15 000 ევროს გადახდა დააკისრეს.

მას მერე კასანო ისე მშვიდადაა, ბევრს შიშის გრძნობაც კი დაეუფლა, რომ დაგროვილ აგრესიას ერთხელაც ძალიან ცუდად ამოაფრქვევს. მას მერე „სამპდორიამ“ 22 მატჩი ჩაატარა და კასანომ მხოლოდ ერთხელ მიიღო ყვითელი ბარათი, გოლებიც გატანასაც შეუდგა და გუნდის კაპიტნის სამკლაურიც მისი საკუთრებაა. იმაში, რომ გენუელები იტალიის ჩემპიონატში ვერ ბრწყინავენ, ანტონიოს ყველაზე ნაკლებად „მიუძღვის წვლილი“. სამაგიეროდ, „სამპდორიამ“ გუშინწინ „სევილიას“ მოუგო და უეფას თასის ჯგუფური ეტაპი გადალახა.

ყველაზე გასაოცარი ინფორმაცია კი ბოლოსთვის შემოვინახეთ. 2009 წლისთვის კასანო ქორწილს აპირებს! მას 17 წლის გენუელი წყალბურთელი გოგონა უყვარს. ანტონიოსთან მიმართებაში ამ სიტყვის ხმარება ცოტა არ იყოს, საჩოთიროა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – თვითონ ამბობს, მიყვარსო:

*„დაბადებიდან 17 წლის განმავლობაში ღარიბი ხულიგანი ვიყავი, მერე, 9 წელი - მილიონერი. გამოდის, რომ ცხოვრებას ჩემი ვალი აქვს – 8 წელი. აი, ამის მერე რა იქნება, ალარ ვიცი. ფაქტია, რომ ახლა ოჯახი მინდა, ცოლი და შვილები...“*

ვითომ, ჭკუაში ჩავარდა?

გოტფრიდ **ლენცი**

არსენალი

# შობის შემდეგ უნდა მოვუმატოთ

## ვენგერი კიელინის აქებს

ხვალ, 21 დეკემბერს, „ემირეტსზე“ „არსენალი“ „ლივერპულს“ უმასპინძლებს. მთელი ბრიტანეთი ამ შეხვედრის მოლოდინშია. **არსენ ვენგერი** იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ მის შეგირდებს ჯერ კიდევ შეუძლიათ საჩემპიონო ბრძოლაში ჩაბმა. *„დღეს ჩვენ დინების საწინააღმდეგოდ მივცურავთ... სხვაგვარად ვერ შევაფასებ იმ მატჩების დათმობას, რომლებშიც არათუ უნდა წაგვეგო, ქულაც კი არ უნდა დაგვეკარგა. ახლა დროა, ნავში გადავჯდეთ, დინებას გავყვეთ და ხელახლა ჩავერთოთ საჩემპიონო რბოლაში. დარწმუნებული ვარ, საშობაო პერიოდის შემდეგ სიტუაცია დალაგდება. ჩვენს განკარგულებაში კიდევ რამდენიმე თვეა იმისთვის, რომ საკუთარი პოტენციალი ყველას დავუმტკიცოთ. გარწმუნებთ, ახლანდელი შემადგენლობა შესაძლებლობებით 2004 წლის იმ „არსენალზე“ ნაკლები არაფრით არის, რომელმაც პრემიერლიგა წაუგებლად მოიგო„*, - აცხადებს „მეთოფეთა“ მთავარი მედროშე.

კვალიფიციური მცველის ძიებამ ფრანგი სპეციალისტი **ჯორჯო კიელინიმდე** მიიყვანა. იტალიის ნაკრების ცენტრალური მცველი წელს შთამბეჭდავად გამოიყურება. მისი გადაბირება უამრავ გუნდს სურს. მათ შორის არის „არსენალიც“. *„ამ წუთას მას ევროპის საუკეთესო ცენტრალურ მცველად მივიჩნევ“*, - განაცხადა ვენგერმა. *„ჯორჯო გუნდიდან არ წავა. კლუბის ხელმძღვანელობა მის გაშვებზე არ ფიქრობს„*, - უპასუხა ფრანგის განცხადებას „ბიანკონერის“ მთავარმა მწვრთნელმა **კლაუდიო რანიერიმ**.

უკვე გუშინწინ „არსენალის“ საკლუბო ტელევიზიის ეთერში ვენგერი მინორულ ნოტაზე ალაპარაკდა. *„დარწმუნებით ვერ გეტყვით, რომ იანვარში ახალწვეულები უეჭველად გვეყოლება. არადა, დებიუტანტებს გუნდში ახალი ძალა და ენერგია მოაქვთ ხოლმე. თუ საინტერესო ფეხბურთელს გადავაწყდით, აუცილებლად შევიძენთ, მაგრამ... სიმართლე თუ გაინტერესებთ, ჯერჯერობით ბაზარზე ასეთებს ვერ ვხედავ. თანაც, თამაშის ხარისხის გაუმჯობესება სხვა გზითაც შეიძლება. კლუბს მკაცრად რეგლამენტირებული სატრანსფერო პოლიტიკა აქვს და წესების დარღვევას არ ვაპირებთ. მთავარია, კლუბი ფინანსური თვალსაზრისით მყარად იდგეს ფეხზე. ხომ ხედავთ, ჩვენს დროში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს„*, - თქვა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა.

ესპანურსა და ბრიტანულ გაზეთებს ახალი სალაპარაკო თემა გამოუჩნდათ. „ბარსელონას“ „არსენალიდან“ **რობინ ვან პერსის** შეძენა უნდაო, წერენ ისინი. ამ ხმებს ჯერჯერობით კლუბების წარმომადგენლები არ გამოხმაურებიან. „ობზერვერის“ ინფორმაციით, ტრანსფერი შეიძლება მართლა შედგეს თუნდაც იმის გამო, რომ ჰოლანდიელ ვარსკლავს დაძაბული ურთიერთობა აქვს „მეთოფეთა“ რამდენიმე ფეხბურთელთან. **ვილიამ გალასი** სკანდალურ ინტერვიუში გუნდში არეულობის შემტანად სწორედ ვან პერსის გულისხმობსო, წერს გამოცემა. თუკი ტრანსფერი შედგა, ჰოლანდიელი მე-6 ფეხბურთელი გახდება, რომელმაც ბოლო ცხრა წელიწადში ლონდონი ბარსელონაზე გაცვალა. აქამდე ეს გზა გაიარეს: **მარკ ოვერმარსმა, ემანუელ პეტიმ, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა, ტიერი ანრიმ და ალექსანდრ გლებმა.** გაზეთები ამ ეტაპზე არ წერენ, რა თანხას ამზადებენ კატალონიელები ფეხბურთელის სანაცვლოდ, მაგრამ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია მიახლოებითი ფასი დავასახელოთ - 15 მილიონი გირვანქა.



არსენ ვენგერი

შალვა **ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?

# ქართული ტალანტთ-ვარსკვლავეთი 2008

## ლიპოს წელიწადი





ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ მიწურულის ცივ საღამოს თბილისის სპორტის სასახლეში სახელდახელო კვარცხლბეკზე ერთდროულად სამი ქართველი იდგა – ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური**, მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** და 18 წლის ჭაბუკი **ვარლამ (ვალერი) ლიპარტელიანი** – ქართული ძიუდოს და არა მარტო ძიუდოს იმედი. სწორედ ზვიადაურთან საკმაოდ თანაბარ ორთაბრძოლაში განცდილი მარცხი ერთადერთი აღმოჩნდა 2008 წლის განმავლობაში მსოფლიო ტალანტად შერაცხილი ქართველი თინეიჯერისთვის. ამის მერე კი საოცარი სერია დაიწყო, რომელიც ახლაც გრძელდება – თებერვალში ვარლამმა ვენის მსოფლიოს თასი მოიგო, მაისში მოსკოვის სუპერთასი, ივნისში – სტამბოლის „ბოსფორის თასი", სექტემბერში ვარშავაში ევროპის ახალგაზრდული პირველობა, ოქტომბერში საქართველოს ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ძიუდოს მექა იაპონიაში, იმავე თვის ბოლოს ბანგკოკში ძიუდოს ახალი წესები პირველმა დააქაშნიკა და კიდევ ერთი ტიტული შეიმატა – მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონობა. მოიგოო დავწერეთ, მაგრამ არ არის სწორი! კი არ მოიგო „მარშით გაიარა", თითქმის ყველა შეხვედრა იპონით დაასრულა. **შოთა ხაბარელმა** ერთხელ თქვა, რომ ბოლო დროს ლიპარტელიანის დონის ტალანტი ქართულ ძიუდოში არ გამოჩენილა. შესაძლოა, ევროპის საუკეთესო მწვრთნელი შეცდა – ძიუდოში კი არა, ქართულ სპორტში უნდა ეთქვა.

ზოგადად ყოველთვის თავს ვიკავებთ ხოლმე საქებარი სიტყვებისგან, მით უმეტეს, როცა საქმე ახალგაზრდა სპორტსმენს ეხება, მაგრამ ლიპარტელიანმა ტატამსგარეთაც დაგვანახვა, რომ იგი იმ კატეგორიის კაცი არაა, ქება და წარმატება თავში რომ „აუვარდებათ". რედაქციაში რამდენჯერმე სტუმრობა საკმარისი იყო იმისთვის, რომ მივხვედრილიყავით - ვალერი უშუალო, ზრდილი და მორიდებული ბიჭია. ლამის ყოველი მისი წარმატების შემდეგ გვიწევდა მასთან გასაუბრება, ვალერი კი ისევ ისეთი რჩებოდა. ამიტომაც სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ვარშავაში ჩვენს ახალგაზრდა ძიუდოისტებს თავს დამტყდარი სკანდალი ლიპარტელიანს არ შეხებია. ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად ფრანგი **ტედი რინერი** დაასახელა. რინერი, რა თქმა უნდა, ძალიან მაგარი ბიჭია, მაგრამ, ცხადია, რომ მან ჩვენებურს ოლიმპიადაზე მიღებული ბრინჯაოს წყალობით მოუგო ნომინაცია. აბა, რა ვარლამის ბრალია, თუკი წონაში ასეთი გამოცდილი, „ცივსისხლიანი" და უნაკლო კონკურენტი ჰყავს, როგორიც ირაკლი ცირეკიძეა!



არა მხოლოდ ლიპარტელიანით გამდიდრდა ქართული ძიუდო წლეულს, ჩვენ, გულშემატკივრებმა კიდევ რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა „აღმოვაჩინეთ". გვინდა მსუბუქწონოსანი **შმაგი ლაგაზაური** გამოვყოთ, რომელმაც ჩეხურ ტეპლიცეში კადეტთა საერთაშორისო ტურნირი მოიგო, შემდეგ კი სარაევოში ევროპის ჩემპიონატზე (კადეტებში) მეორე ადგილი დაიკავა. **გიორგი მერმანიშვილმა** (81 კგ) კი ტეპლიცეშიც იპირველა და სარაევოშიც. წლის ბოლოს საქართველოს ჩემპიონატზე ნამდვილი ფურორი მოახდინა ქვემო ქართლელმა **შალვა ქარდავამ**, რომელმაც ხუთივე ორთაბრძოლა ბრწყინვალე სტილში მოიგო და შოთა ხაბარელის შექებაც დაიმსახურა.

მოჭიდავეთა შორის გამორჩეული ტალანტი **ნუგზარ სხირელის** შეგირდი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილია**. თავისუფალ სტილით მოჭიდავე ხინჩეგაშვილი ყველაზე დაბალ წონაში გამოდის. ის ჯერ 17 წლისაა. არადა, საქართველო უკვე რამდენჯერმე ასახელა. ცნობილი მამის ღირსეული შვილი ზაფხულში უნიკალურ მიღწევას შესწვდა – სამი კვირის განმავლობაში მან ჯერ ევროპის კადეტთა ჩემპიონატი მოიგო, შემდეგ - კონტინენტის ახალგაზრდული პირველობა, ერთი თვის შემდეგ კი სტამბოლში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. თავისუფლებში კიდევ რამდენიმე მოჭიდავის გამოყოფა შეგვიძლია – 19 წლის **გიორგი მაყიშვილის** (60 კგ), რომელმაც ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი მე-5 ადგილი დაიკავა, მძიმეწონოსანი **ლევან ბერიანიძის** (18 წლის), ვინც მესამე პრიზიორი იყო, როგორც ევროპის ჩემპიონატში, ასევე მსოფლიოზე. ზუსტად ასეთივე შედეგი ჰქონდა **გიორგი მარსაგიშვილს** (20 წლის), 19 წლის **ბექა ჭელიძემ** (84 კგ) კი მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, **თორნიკე სვანიძემ** ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო. კიდევ უფრო პატარებში (ხინჩეგაშვილის ტოლებში) გამოვყოფთ კადეტთა შორის ევროპის ჩემპიონებს **თენგიზ ჩოჩიშვილსა** და **მამუკა კორძაიას**.

„კლასიკოსებში" ტალანტის სიუხვით ასე არ ვართ განებივრებული (ყოველ შემთხვევაში, 2008 წელმა ასე გვიჩვენა), თუმცა რამდენიმე ახალგაზრდა „კლასიკოსზე" სიამაყით შეგვიძლია ვილაპარაკოთ. **უჩა შავაძემ** (20 წლის) 60 კგ. წონით კატეგორიაში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი მე-5 იყო. კარგ მოჭიდავეებად იზრდებიან **რამინ შაქარიშვილი** და **ქემალ ხარაბაძე**.





18 წლის **ლევან მჭედლიძე** ერთ-ერთი იმ... ვის იმედზეც უახლოეს წლებში უნდა იყოს ქარ... ფეხბურთის გულშემატკივარი. მართალია, ლევანი შარშან გამოჩნდა და ეროვნულ ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი, თუმცა იტალიაში წლეულს გაიბრწყინა. გაზაფხულზე ის „ემპოლის" რიგებში რამდენჯერმე ახლოს იყო სერია A-ში დებიუტთან. მჭედლიძის კარიერაში გადამწყვეტი დღე ალბათ 30 აგვისტო იყო, როცა სიცილიური კლუბის, „პალერმოს" ვებსაიტმა ლევან მჭედლიძის ერთწლიანი იჯარით აყვანა გამოაცხადა, სეზონის ბოლოს კონტრაქტის გამოსყიდვის უფლებით. ამბობენ, „პალერმოს" პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინის** ქართველი ტალანტის დაბევება 6,2 მილიონ ევროდ დაუჯდაო. 5 ოქტომბერი ლევანის ცხოვრებაში ისტორიული დღე იყო, მან სერიაში პირველი გოლი გაიტანა, თანაც ეს გოლი გამარჯვებისა აღმოჩნდა თვით „ბებერი ქალბატონის" კარში! მისმა თანატოლმა **ლევან ყენიამ** წლეულს გააფორმა „შალკესთან" პროფესიული კონტრაქტი, შემოდგომით კი მას ბუნდესლიგის ერთ-ერთ გრანდში დებიუტიც ჰქონდა უეფას თასის მატჩზე. ყენიამ პირველი გოლი ეროვნული ნაკრების მაისურით მაისში გაიტანა ესტონელთა კარში. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმამ ლევანს ბუნდესლიგაში დებიუტის შანსი ჯერ არ მისცა, ეს წელიწადი მისთვის სუპერწარმატებული იყო – წარმოიდგინეთ 2007 და 2008 წლების გასაყარზე ქართველმა ტალანტმა ქართული „ლოკომოტივიდან" „შალკეში" ისკუპა. მომავალში კიდევ ბევრის გვეიმედება, თუნდაც „ემპოლიში" მყოფ ფორვარდ **ირაკლი შეყილაძის**, რომელმაც დიდებულად ითამაშა წლეულს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში და 19-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაშიც მოხვდა. 19 წლისაა „ფრაიბურგის" ძირითადი გუნდის წევრი **დავით თარგამაძე**, რომელმაც გაზაფხულზე ახალგაზრდულ გუნდში კარგი თამაშით მეორე ბუნდესლიგის ლიდერის ძირითად გუნდში დაიმსახურა გადასვლა.

ისე არ იფიქროთ, რომ ტალანტებს მხოლოდ ლეგიონერთა შორის მივაკვლიეთ – მე-19 და მე-20 ეროვნულმა პირველობებმა ბევრი საინტერესო სახელი გამოამზეურა. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ - დინამოელი **მათე ვაწაძე**, „ოლიმპის" ყოფილი წევრი, აწ უკვე „ორჰუსში" გადასული **დავით დევდარიანი**, უნივერსალი **ნიკა ფირცხალავა** („დინამო"), **გიორგი გაბედავა** („მგლები"), **ჯაბა ლიპარტია** („ვიტ ჯორჯია"), **როინ კვასხვაძე** („ზესტაფონი"), **ირაკლი კიკნაძე** („ბორჯომი") და **ირაკლი ძარია** („ზესტაფონი"). როგორც ხედავთ, მთლად უიმედოდაც არ არის ქართული ფეხბურთის საქმე. დაბოლოს – **ნიკა ძალამიძე** („ბაია") ის ჯერ მხოლოდ 16 წლისაა, პირველ ლიგაში თამაშობს, მაგრამ... დაიმახსოვრეთ ეს გვარ-სახელი.

მაშინ, როცა კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებს წყეული B დივიზიონიდან თავის დაღწევის შანსი გაუჩნდა, ქვეყნის მთავარ გუნდში 16 წლის კალათბურთელი გამოჩნდა – **თორნიკე შენგელია**, ცნობილი ქართველი ცენტრის **კახა შენგელიას** ვაჟი. 204 სმ. სიმაღლის კალათბურთელი ვალენსიის „პამესაში" ირიცხება. ესპანეთის ჭაბუკთა პირველობაზე ის საშუალოდ 20 ქულას აგროვებდა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ერთი კალათბურთელი სჯობდა მთელს ლიგაში. თორნიკე „პამესამ" საევროთასო განაცხადშიც კი შეიყვანა! მისი თანაგუნდელი კი საქართველოს ნაკრების ყოფილი გამთამაშებელი, ამერიკელი **შემონდ უილიამსია**. ასევე გამოვარჩევთ რუსთაველ **აკაკი დვალიშვილს**, რომელიც დუბლებშიც თამაშობს და ჭაბუკებშიც. 40 ზე მეტი ქულა და 15-ზე მეტი მოხსნა მისთვის არცთუ იშვიათი მიღწევაა.

„ბორჯღალოსნებს" შესაშური თაობა ეზრდებათ და მალე ამაში ყველანი დავრწმუნდებით. **ლაშა ხმალაძე, დავით ჩიჩუა, გოდერძი ჯოგლიძე, ვიქტორ კოლელიშვილი, ალექსანდრე ტუჩაშვილი, ვახტანგ კავთიძე** – აი, პერსპექტიულ ქართველ მორაგბეთა არასრული ჩამონათვალი. ხმალაძეს ბუნებისგან ყველაფერი აქვს მონიჭებული, რომ ძალიან კარგ 10 ნომრად გაიზარდოს. 20 წლის მორაგბემ უკვე დაიმკვიდრა ადგილი შვიდკაცას ნაკრებში.

გვინდა განსაკუთრებული სიხარულით ქართული სპორტის კიდევ ერთ ტალანტზე მოგითხროთ – მიზეზი მარტივია, კარგა ხანია სპორტის ამ სახეობაში საჩვენო არაფერი ისმოდა – ახლა კი 18 წლის **დავით ასკურავა** ტრეკზე უკვე დიდების წინაალმდეგ გამოდის წარმატებით. პოლონეთში ახალგაზრდულ პირველობაზე 200 მეტრ დისტანციაზე გაქანებით რბოლაში დავითმა მე-5 ადგილი დაიკავა. მან ერთი სეზონის განმავლობაში პანტაპუნტით დაამხო საქართველოს ახალგაზრდული რეკორდები. ველოსპორტისგან განსხვავებით, ჩოგბურთში ტალანტები ყოველთვის გვყავს, პრობლემა ისაა, რომ მათი ჩამოყალიბებულ ჩოგბურთელებად გაზრდა ჭირს (დიდწილად იმის გამო რომ ჩოგბურთი სპორტის ძვირადღირებული სახეობაა). იმედია, **ნიკოლოზ ბასილაშვილის** შემთხვევაში ყველაფერი ისე იქნება მომავალშიც, როგორც 2008 წელს. ბასილაშვილი 16 წლისაა, მისი უმთავრესი ასპარეზი 18-წლამდელთა ტურნირებია, სადაც ნიკამ დიდ წარმატებას მიაღწია – ახლახან „ორანჯ ბოულის" მეოთხედფინალში გავიდა. სხვათა შორის, მან რამდენიმე ტურნირში დიდებშიც ითამაშა და საკმაოდ წარმატებული „ნათლობაც" გამოუვიდა. მოჭადრაკეთაგან გამოვყოფთ **ნაზი პაიკიძეს**, რომელმაც ვიეტნამში მსოფლიოს ჩემპიონატში (16-წლამდელები) გაიმარჯვა. აღვნიშნავთ **მარიამ დანელიასა** და **მერი არაბიძის** პროგრესსაც. იმედისმომცემი შედეგები აქვს 14 წლის ახმეტელ მძლეოსან **ლაშა ლულელაურს** სიგრძეზე ხტომაში და სამხტომში, იმედია, სერიოზული მძლეოსანი გვეზრდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ახალგაზრდული პირველობები

# რუსთაველთა საშინაო მარცხი და საგარეო გამარჯვება

**20-წლამდელთა ჩემპიონატი**

**მართვე-რუსთავი 89:114**

21:26, 18:26, 21:33, 29:29

მართვე: მუმლაძე (24ქ, 11პ), კვეტენაძე (19ქ, 10მ), ჭიჭვეიშვილი (14ქ), ლომოური (14ქ)

რუსთავი: მაჭავარიანი (18ქ), დვალიშვილი (17ქ, 18მ), ხმელიძე (16ქ), ჩაჩანიძე (11ქ), აბაიშვილი (10ქ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 5 | 4 | 1 | 9 |
| 2. მაკაბი | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. აკადემია | 3 | 3 | 0 | 6 |
| 4. ქუთაისი | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5. სამედიცინო | 4 | 0 | 4 | 4 |
| 6. მართვე | 4 | 1 | 3 | 5 |

სპორტის სასახლეში საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მატჩი გაიმართა. **კახა შენგელიას** "მართვე" **ბადრი კიკვიძის** "რუსთავს" დაუპირისპირდა და 89:114 დამარცხდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან რუსთაველები 20-წლამდელთა მოქმედი ჩემპიონები არიან და წლეულსაც დამაჯერებლად ასპარეზობენ.

**18-წლამდელთა ჩემპიონატი**

17 დეკემბერი. რუსთავი

**რუსთავი-აკადემია 58:64**

14:13, 15:17, 16:15, 13:19

რუსთავი: დვალიშვილი (32ქ, 15მ), მამისმედაშვილი (9ქ), გურული (9ქ, 4ჩ), მაისურაძე (6ქ, 12მ)

აკადემია: ბოქოლიშვილი (24ქ, 8პ), ელიაძე (17ქ, 14მ), სალინაძე (10ქ), მუმლაძე (2ქ, 11მ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აკადემია | 7 | 5 | 2 | 12 |
| 2. მართვე 2 | 7 | 4 | 3 | 11 |
| 3. დინამო | 6 | 4 | 2 | 10 |
| 4. ქუთაისი | 6 | 3 | 3 | 9 |
| 5. სამედიცინო | 6 | 3 | 3 | 9 |
| 6. ენერჯი | 6 | 3 | 3 | 9 |
| 7. მართვე | 6 | 3 | 3 | 9 |
| 8. რუსთავი | 6 | 3 | 3 | 9 |
| 9. ნაკრები-93 | 6 | 0 | 6 | 6 |

რუსთავში 18-წლამდელთა ჩემპიონატის ერთი საინტერესო შეხვედრა შედგა – ერთმანეთს ადგილობრივი "რუსთავი" და თბილისის "აკადემია" ხვდებოდნენ. **გია კაზანჯიანის** გუნდმა ტურნირის 4 მოგებით დაწყების შემდეგ ბოლო ორი შეხვედრა წააგო და ცხრილში პირველობა დაკარგა. რუსთავში წაგება კი მეტისმეტი იქნებოდა "აკადემიისთვის" და ამიტომაც იყო, დედაქალაქელებმა დიდი ბრძოლა რომ გაუმართეს მასპინძლებს და საბოლოოდ დაამარცხეს კიდეც – 64:58. რუსთაველთა წინამძღოლია **აკაკი დვალიშვილი**, აკადემიელთა ლიდერი – **მერაბ ბოქოლიშვილი**. ეს შეხვედრაც ამ მოთამაშეების დუელი გამოდგა. რუსთაველთაგან 10-ქულიან ზღვარს მხოლოდ დვალიშვილი ასცდა და 32 ქულა მოიხვეჭა, რასაც 15 მოხსნა მოაყოლა. რაც შეეხება აკადემიელ ბოქოლიშვილს, მან 24 ქულა და 8 პასი მიითვალა.

**16-წლამდელების ჩემპიონატი**

15 დეკემბერი. სასოფლოს დარბაზი

**მართვე 3-ქუთაისი 81:43**

20:13, 17:17, 18:8, 26:5

მართვე 3: ფეიქრიშვილი (16ქ, 11მ), გაბისონია (13ქ), თევზაძე (12ქ), მესხი (12ქ)

ქუთაისი: ცაგარეიშვილი (13ქ), იაშვილი (8ქ)

**აფხაზეთი-მართვე 4 44:78**

5:37, 13:16, 11:13, 15:12

აფხაზეთი: უძილაური (18ქ, 14მ), გოლეთიანი (8ქ)

მართვე 4: ჩოჩია (15ქ, 19მ), ბოლქვაძე (12ქ), შენგელია (10ქ, 10მ)

**51-ე სკოლა-მართვე 68:60**

21:11, 22:11, 11:21, 14:17

51-ე სკოლა: გეგენეიშვილი (14ქ), ორმოცაძე (13ქ, 11მ), ფხაკაძე (12ქ)

მართვე: ბ. ბურჯანაძე (21ქ, 14მ), გაფრინდაშვილი (16ქ), ლუდუშაური (12ქ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. 51-ე სკოლა | 5 | 4 | 1 | 9 |
| 2. მართვე 4 | 5 | 3 | 2 | 8 |
| 3. რუსთავი | 6 | 2 | 4 | 8 |
| 4. მართვე | 4 | 2 | 2 | 6 |
| 5. მართვე 3 | 3 | 3 | 0 | 6 |
| 6. აფხაზეთი | 6 | 0 | 6 | 6 |
| 7. ქუთაისი | 3 | 2 | 1 | 5 |

16-წლამდელებმა 2008 წლის ყველა მატჩი მოილიეს. წესითა და რიგით, წლეულს ერთი ტური კიდევ უნდა გამართულიყო, მაგრამ სასოფლო ინსტიტუტის დარბაზში გათბობის სისტემა მწყობრიდან გამოვიდა და დანარჩენი მატჩები მომავალი წლისთვის გადაიდო. ბოლო ტურში ბევრი რამ გადაწყვიტა 51-ე სკოლისა და "მართვეს" დაპირისპირებამ. "მართვეების" გამარჯვების შემთხვევაში ორივე გუნდს 3-3 გამარჯვება დაუგროვდებოდა. 51-ე სკოლელებს კი წარმატება სატურნირო ცხრილის სათავეში ერთპიროვნულად დაუმკვიდრებდა ადგილს. საბოლოოდ ვინ გაიმარჯვა და ცხრილში ვინ რა პოზიციაზე დამკვიდრდა, მატჩების ოქმიდან შეიტყობთ.

ლეგიონერი

# მარკოიშვილის წყვილი ორიანები, ექვსიანები და შვიდიანები

ევროჩელენჯზე რუსულ "ტრიუმფთან" გამარჯვებას "კიევმა" უკრაინის ჩემპიონატში წინასწარ დაგეგმილი მოგება მიაყოლა. **მანუჩარ მარკოიშვილის** თანაგუნდელებმა "პულსარი" 97:78 დაამარცხეს. სტუმართა რბევას საფუძველი ჩაუყარა ქართველმა ფორვარდმა, რომელმაც 22 ქულა ჩააგდო.

კიეველებს თავიდან ძალიან გაუჭირდათ, შეიძლება "ტრიუმფთან" მატჩის შემდეგ ენერგიის აღდგენა ვერ მოასწრეს (დასვენებისთვის ერთი დღე ჰქონდათ), შეიძლება შედარებით სუსტ მეტოქესთან დაპირისპირების წინ მოტივაცია აკლდათ. ასეა თუ ისე, "პულსარმა" პირველი მეოთხედი 29:19 მოიგო. ათქულიანმა ჩამორჩენამ მასპინძლები საბოლოოდ გამოაფხიზლა. მათ მეორე ათწუთეულში 30:14 იმარჯვეს და დიდ შესვენებაზე 6-ქულიანი ფორით (49:43) გავიდნენ. მეორე ტაიმში რაც მოხდა, საბოლოო ანგარიშიდანაც კარგად ჩანს.

მანუჩარისთვის 22 ქულა სნაიპერობისთვის საკმარისი აღმოჩნდა. იგი შეტევაში შეუჩერებელი იყო - მეტოქის კალათის მიმართულებით 15 ტყორცნა შეასრულა და მხოლოდ ერთი აცილა: 6-დან 6 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 7-დან 7 საჯარიმო. ქართველმა ფორვარდმა ყოველივე ამას 4 შედეგიანი გადაცემა და თითო მოხსნა-ჩაჭრა მიამატა, მოედანზე კი 31 წუთი გაატარა.

"პულსართან" გამარჯვების შემდეგ საბოლოოდ გადაწყდა, რომ "კიევი" 2009 წელს უკრაინის ჩემპიონატის ლიდერად შეხვდება. დედაქალაქელებს 12 მატჩიდან 11 აქვთ მოგებული და სატურნირო ცხრილის მეორეადგილოსან "აზოვმაშს" 1 მოგებით უსწრებენ. მარკოიშვილის თანაგუნდელებს ერთადერთი წაგება "დონეცკმა" აგემა. სხვათა შორის, "კიევი" მორიგ მატჩს სწორედ "დონეცკთან" გამართავს. მატჩი 30 დეკემბერს, კიევში უკრაინის თასის ეგიდით გაიმართება. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი, დონეცკში "კიევმა" მოიგო – 75:63. ამ წყვილში გამარჯვებული თასის ნახევარფინალის საგზურს მოიპოვებს.






ინტერვიუ გიორგი შერმადინთან

# ევროლიგაში დებიუტით უკმაყოფილო ვარ!

## იასიკიავიჩუსმა ჩემი ჩატენვის შემდეგ სარეკლამო ბანერი აიტაცა

**გიორგი შერმადინის საევროლიგო დებიუტის შესახებ გუშინ ვწერდით. გაგაცანით მატჩის მოკლე მიმოხილვა, მისი, მწვრთნელისა და ბერძენი ჟურნალისტების კომენტარები. ვფიქრობ, არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს გიორგის მოსაზრებები "ნანსისთან" დაპირისპირებასა და ზოგადად "პანათინაიკოსის" შესახებ. მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.**

**- გიორგი, თავდაპირველად "ნანსისთან" მატჩის გახსენება მინდა გთხოვო...**

- მწვრთნელმა, ჟელკო ობრადოვიჩმა მოედანზე მეორე პერიოდში შემიყვანა. მთელი დარბაზი ტაშით შემხვდა, რამაც დამატებით ენერგიით ამავსო. პირველად ცარცარისმა და მეორედ დიამანტიდისმა, ფარქვეშ, თავისუფალ პოზიციაზე მყოფს პასები არ მომცეს, რის გამოც მწვრთნელის საყვედურები მიიღეს: "ნანსისთან" მატჩის მეორე დღეს, ვიდეო-განხილვაზე, ობრადოვიჩმა ორივეს მკაცრი შენიშვნა მისცა. რაც შეეხება ჩემს გარჯას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საევროლიგო დებიუტი იყო, კმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს. გაცილებით მეტი შემიძლია, რაც ვარჯიშებზე მწვრთნელებს ბევრჯერ დავუმტკიცე. საბოლოოდ 1 ქულას დავჯერდი, რაც ცოტა უცნაურია. 1-ქულიანი მონაგარი აქამდე არასოდეს მქონია, მაგრამ, მგონი 10 წუთიც არასოდეს მითამაშია... მოკლედ, დასაწყისით ძალიან უკმაყოფილო ვარ.

**- ხომ არ ღელავდი?**

- მეგონა, რომ არ ვღელავდი, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელებშიც და ფეხებშიც ძალას ვერ ვგრძნობდი.

**- თამაშში ჩართვისას მწვრთნელმა, ობრადოვიჩმა რა გითხრა? მის გვერდით, შენი ფოტო ბევრგან დაიბეჭდა.**

- პერიმეტრზე ხშირად ამოსვლა დამავალა. სამქულიანის ზონაში ჩემს გამოსვლას ცარცარისის ფარქვეშ შესვლა უნდა მოჰყოლოდა. ბოლო თვეების განმავლობაში, სანაკრებო ვარჯიშმატჩებისას, სამქულიანის სატყორცნად თითქმის არ ამოვსულვარ, მაგრამ გარედან სროლა სულაც არ დამვიწყებია. ამ კომპონენტზე "პანათინაიკოსის" მწვრთნელები ბევრს მამუშავებენ. "ნანსისთან" შეხვედრაში ერთი სამქულიანი ვესროლე, მაგრამ იმ დღეს შეტევაში არ მიმართლებდა.

**- ფიზიკურად რამდენად მზად ხარ "პანათინაიკოსისთვის"? თუნდაც პეკოვიჩთან შედარება იქნება საინტერესო.**

- ფიზიკურად მზად რომ არ ვიყო, ალბათ, "პანათინაიკოსში" ვერ მოვხვდებოდი. ნიკოლა პეკოვიჩთან შედარება ჩემი მხრიდან უხერხულია. თანაც სხვადასხვა ყაიდის კალათბურთელები ვართ. პეკოვიჩზე 6 სანტიმეტრით მაღალი ვარ. იგი ძლიერია, პოზიციას კარგად არჩევს და მხოლოდ შიგნიდან თამაშობს. ასე რომ, ეს შედარება იგივეა, რაც მაღალი დირკ ნოვიცკისა დაბალ შაკილ ონილთან.

**- თანაგუნდელთაგან ვის დაუახლოვდი და თავისუფალ დროს რას აკეთებ?**

- გუნდში ყველასთან თბილი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მაქვს. გასულ შაბათს, კეჩმანთან, იასიკიავიჩუსთან და ლევან მიქელაძესთან ერთად ბოულინგის სათამაშოდ ვიყავი. კარგად გავერთეთ.

**- როგორც ვიცი, ლიტველი იასიკიავიჩუსი ძალიან გქომაგობს...**

- "ეგალოესთან" თამაშში, როცა ბურთი ეფექტურად ჩავატენე, შარუნასმა რეკლამის ტრაფარეტი აილო და ხტუნვა დაიწყო. მასაც ძალიან გაუხარდა.

**- კიდევ როდის უნდა ველოდეთ შენს თამაშს?**

- თუ მოახერხებ, იქნებ ეგ კითხვა ზელჯკო ობრადოვიჩს დაუსვა... მეც მაინტერესებს მწვრთნელი რას აპირებს.

**- დაბოლოს, იქნებ, ორი სიტყვით მითხრა, შენზე რას წერენ ბერძნული გაზეთები?**

- ბერძნული ენა არ ვიცი. სიმართლე გითხრა, ნამდვილად არ ვიცი, რას წერენ ბერძნულ გაზეთებში, მაგრამ ინტერვიუებისთვის ხშირად მოდიან. არც იმას დაგიმალავ, რომ ძირითადად ერთსა და იმავე კითხვებზე მიწევს პასუხის გაცემა.

- გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

ინტერვიუ კახა ალანიასთან

# მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველასათვის ანგარიშგასაწევი ნაკრები გვეყოლება

მომავალ, 2009 წელს საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა ელის. ქართველმა მეშვიდკაცეებმა დუბაიში თამაშის უფლება წლეულს ევროპის ჩემპიონატზე მესამე საპრიზო ადგილის დაკავების მეოხებით მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ მომავალ წელსვე გადაწყდება, ჩართავენ თუ არა შვიდკაცა რაგბს 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებში. ამის ალბათობა საკმაოდ დიდია და ამდენად, რაგბის ამ ნაირსახეობის ბედიც, მისი შემდგომი განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

მანამდე კი, შვიდკაცა ბორჯ..ალოსნებმა მსოფლიოს სერიის ო.. ეტაპზე, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და სამხრეთ აფრიკაში იასპარეზეს. განვლილი ტურნირების შეფასება და მომავლის გეგმების მოთხრობა ნაკრების მთავარ მწვრთნელ კახა ალანიას ვთხოვეთ:

- შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერიის ეს ორი ეტაპი ჩვენ მიერ საცდელ შეჯიბრებებად განიხილებოდა, გუნდის შემადგენლობიდან უმრავლესობა დებიუტანტი იყო. ასეთ მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილება მხოლოდ მერაბ კვირიკაშვილს და ბიძინა სამხარაძეს ჰქონდათ.

დუბაიში ჩვენი მიზანი იყო, ახალგაზრდა მორაგბეებს საკმარისი გამოცდილება დაეგროვებინათ. შედეგზე ორიენტირებულნი ნაკლებად ვიყავით. ძალიან კარგად გამოგვივიდა თამაში სამოასთან და არგენტინასთან, ოღონდ მხოლოდ მატჩის პირველ ნახევარში. მერე კი, გამოუცდელობისა და არასათანადო ფიზიკური მზადყოფნის გამო მიღწეულს ველარ ვინარჩუნებდით.

**- დუბაიდან გუნდი სამხრეთ აფრიკის ქალაქ ჯორჯიში გაემგზავრა. შედეგი იქაც დუბაის ტურნირის იდენტური იყო, თუმცა გუნდს გარკვეული გამოცდილება უკვე მიღებული ჰქონდა.**

- შედეგი, მართალია, სამხრეთ აფრიკაშიც ისეთივე გვქონდა, მაგრამ



გარწმუნებთ, იქ თამაშს უფრო მეტად ავუღეთ ალღო. თანაც ავსტრალიის, ფიჯისა და ინგლისის ნაკრებებთან ერთობლივი წვრთნები გავმართეთ. შედეგი დუბაის ტურნირის იდენტური იმიტომ იყო, რომ დაგვაკლდა მერაბ კვირიკაშვილი. ტრავმები მიიღეს ალექსანდრე თოდუამ და ვიქტორ კოლელიშვილმა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე თამაშის მოგება მაინც შევძელით.

მსოფლიოს სერიაში საკმაოდ დიდი ხანია მონაწილეობა აღარ მიგვიღია. აქ პლანეტის უძლიერესი შვიდკაცა გუნდები გამოდიან. ბიჭები ნელ-ნელა ულებდნენ ალღოს თამაშის სპეციფიკას. ბრწყინვალედ წარმოაჩინეს თავი გიორგი შკინინმა, ლაშა ხმალაძემ, ალექსანდრე თოდუამ. ალარაფერს ვამბობ გამოცდილებზე - კვირიკაშვილსა და სამხარაძეზე. ახალგაზრდა მოთამაშეებზე ოდნავ მეტად გამოცდილია სიმონ მაისურაძეც. თუმცა მსოფლიო სერიის ტურნირებზე ისიც პირველად იყო.

**- უკვე შეიძლება ითქვას, რომ მარტში დუბაიში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ამ გუნდით იასპარეზებს?**

- არა, ამის თქმა ნაადრევია. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დიდი იმედი მაქვს , რომ გუნდს დაემატებიან რეზო გიგაური, შალვა სუთიაშვილი, გიორგი ჩხაიძე და ირაკლი მაჩხანელი. ბოლო ორის საკითხი ეროვნული ნაკრების მწვრთნელ ტიმ ლეინთან მაქვს გასარკვევი. საბედნიეროდ, მსოფლიოს ჩემპიონატი ეროვნული ნაკრების თამაშის თარიღს არ ემთხვევა და წესით, ამ მორაგბეების შვიდკაცა ნაკრებში ასპარეზობა პრობლემა არ უნდა იყოს.

იმ მორაგბეებიდან კი, ვინც დუბაისა და ჯორჯიში იასპარეზა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ბევრს აქვს. ალბათ აუცილებლად იქნებიან დუბაიში მერაბ კვირიკაშვილი, ბიძინა სამხარაძე, სიმონ მაისურაძე, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი შკინინი, ლაშა ხმალაძე. დანარჩენების ვინაობა დროთა განმავლობაში გაირკვევა. ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატზე საკმაოდ კარგი, ყველასაგან ანგარიშგასაწევი ნაკრები გეყოლება

**- მსოფლიოს ჩემპიონატამდე საქართველოს ნაკრები თუ გეგმავს კიდევ რომელიმე ტურნირში ასპარეზობას?**

- სამწუხაროდ, მსოფლიოს სერიის ეტაპებზე ასპარეზობა აღარ გვიწევს. თუმცა ერთ საერთაშორისო ტურნირში თამაში, ვფიქრობ, აუცილებელია. პორტუგალიიდან გვაქვს მოწვევა. იქ თებერვალში ოთხთა ტურნირი იმართება. ჩვენს გარდა ირლანდიისა და ტუნისის ნაკრებები აპირებენ ჩასვლას. საკმაოდ სასარგებლო შეჯიბრება იქნება ჩვენი ნაკრებისთვის. პორტუგალიელებთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და, ვფიქრობთ, მათთან ერთობლივი წვრთნები გავმართოთ.

**- როგორ ფიქრობთ, რა შედეგი შეუძლია აჩვენოს საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

- გააჩნია ჯგუფში რომელი გუნდები გვეყოლება მეტოქეებად. ძალიან ბევრი რამ კენჭისყრაზე იქნება დამოკიდებული. თუ ჯგუფში ერთი გრანდი, ვთქვათ, ფიჯი მოხვდა, მაშინ პლეი ოფში გასვლა სავსებით რეალურია. ისეთ გუნდებთან, როგორებიცაა ირლანდია, უელსი, საფრანგეთი და პორტუგალია, მოგება შეიძლება. სხვა საქმეა, თუ ჯგუფში ორი გრანდი ქვეყანა მოხვდება. აქ სასწაულის მოხდენა შეუძლებელი იქნება.

**- როდის დაიწყებენ ნაკრების კანდიდატები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას?**

- მზადება უკვე დაწყებული უნდა გვქონდეს. უამინდობამ შეგვიშალა ხელი. ამ დღეებში აუცილებლად შევიკრიბებით. მძლეოსნობაში ეროვნულ სტადიონზე ვივარჯიშებთ. მერე ტრენაჟორებზე გადავალთ და ბურთით ვარჯიშს ხელოვნურსაფარიან მოედანზე გავაგრძელებთ. ვეცდებით, მსოფლიოს ჩემპიონატს გუნდის ყველა მოთამაშე ოპტიმალურ სათამაშო ფორმაში შეხვდეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

## ქართველებმა სეზონი დაასრულეს

**ლადო ჩიხლაძემ** წლევანდელი სეზონი დაასრულა – ოპავას (ჩეხეთი) საერთაშორისო ტურნირის (15 ათასი $) მერვედფინალში ჩვენებურმა დაძაბულ ბრძოლაში წააგო ირლანდიელ **ჯეიმს მაკგისთან** (616) – 4:6, 7:6 (4), 4:6. 23 წლის ქართველი დღეისათვის 1159-ე პოზიციაზეა მსოფლიო კლასიფიკაციაში. არადა, შარშან იგი მსოფლიოს 350-ე ჩოგანი იყო და ნინსვლის კარგი პერსპექტივაც ჰქონდა. სანამ 2008 წლის სეზონს ლადოს „ჩავარდნად" შევუფასებთ, გავიხსენოთ თუ რა მძიმე ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა იგი ჩოგბურთს – ზუსტად ერთი წლის წინათ მან ამერიკაში კისრის მძიმე ტრავმა არასაჩოგბურთო სიტუაციაში მიიღო. მაშინ ექიმები ლადოს ჩოგბურთის თამაშის იმედს არ აძლევდნენ, თუმცა ძლიერმა ორგანიზმმა თავისი გაიტანა და ინციდენტიდან 7 თვის თავზე ჩიხლაძე კორტებს დაუბრუნდა. მას ბევრი გაუცდა, ფორმაც ბოლომდე ვერ აღიდგინა, ამიტომაც დაკარგა რეიტინგში პოზიცია. იმედია, ახალი სეზონიდან ყველაფერი გამოსწორდება.

ფლორიდის კურორტ ქორალ გეიბლსში „ჯუნიორ ორანჯ ბოულსს" საბოლოოდ დაემშვიდობა საქართველოს წარმომადგენელი **დანიელა დანიელი**. ჩვენებურმა 14-წლამდელ გოგონათა ძირითადი ბადის სანუგეშო წრეში წააგო **კარლა ბრუზესისთან** – 4:6, 2:6. ასე რომ, ქართველთათვის საჩოგბურთო სეზონი დასრულდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

## მერვე ტური გაანახევრებს

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგა დასასრულს უახლოვდება. მე-7 ტურში ინტრიგის მატება რომ ვთქვით გუშინდელ რეპორტაჟში, მართლაც ასე მოხდა: ცხრილის სათავეში კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა ვითარება და მდევართა, ანუ უმაღლეს ლიგაში პოტენციურ გადამსვლელთა რაოდენობამაც იმატა... მე-8 ტურის შემდეგ მათი რიცხვი მინიმუმ განახევრდება. შეგახსენებთ, უმაღლესი ლიგის საგზურს 5 მოწინავე მიიღებს. შესაძლოა, სხვასაც ერგოს ვიზა, თუკი რომელიმე მონაწილე უარს იტყვის უმაღლეს ლიგაში თამაშზე... ამ შანსს ბევრი ჩამოეკიდება და მათ შორის ალბათ იქნებიან ქალბატონებიც. მე-7 ტურის ერთ-ერთ მთავარ ინტრიგად სუსტი და ძლიერი სქესის მოჭადრაკეთა დაპირისპირება მივიჩნიეთ: პირველ ათ დაფაზე 6 შემთხვევაში ვნახეთ ასეთი „დერბი": **გია ბალათუროვი ინგა ჭარხალაშვილს** ხვდებოდა, **თამარ წერეთელი – ივერი ჭილლაძეს**, **სოფიკო გურამიშვილი – დავით ჯოჯუას**, **მარიამ დანელია – შოთა აზალაძეს** და **მაკა ფურცელაძე – ზურაბ ჯავახაძეს**. ამ ექვსეულში აშკარად ვაჟებმა იძალეს, თუმც გამანადგურებელი ანგარიშით არ გაუმარჯვიათ: სამ შემთხვევაში მოიგეს, დანარჩენში ქულა გაიყვეს. წარმატება წილად ხვდა გიორგი ბალათუროვს, რომელმაც ბოლოსკენ გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა; შოთა აზლაძეს, რომელმაც მარიამ დანელიას შემოტევები მოიგერია და მერე თავად გადავიდა გადამწყვეტ იერიშზე და ლუკა პაიჭაძეს, რომელმაც წარმატებით დააგვირგვინა დებიუტში მიღებული უპირატესობა. ძალიან დაძაბული იყო გურამიშვილისა და ჯოჯუას პარტია. ლაზიერების ენდშპილში ჯოჯუა პაიკით კი დაწინაურდა, მაგრამ მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა, - სოფიკომ შეძლო საყაიმო რესურსის მოძიება... თამარ წერეთელმა დებიუტის შემდეგ პაიკი მოისაკლისა, მაგრამ სანაცვლოდ შეტევა მიიღო და ისე ჩანდა, რომ გადამწყვეტ იერიშსაც წამოიწყებდა სასურველი ფინალით. ივერი ყრუ დაცვაზე გადავიდა და საბოლოოდ შეძლო ერთობ რთული ვითარებიდან თავის დაღწევა. მაკა ფურცელაძესაც შეეძლო ალბათ უკეთესი რედაქციით გადასულიყო ენდშპილში, მაგრამ ვერ მოახერხა და ყაიმს დასჯერდა ნაკლებრეიტინგიან მეტოქესთან.

რაც შეეხება ლიდერთა შეხვედრებს, პირველ ორ დაფაზე **დავით ბენიძე კონსტანტინე შანავას** , ხოლო მეორეზე **გაიოზ ნიგალიძე დავით მალალაშვილს** ხვდებოდა. სამწუხაროდ, ბრძოლები არ შედგა. ოთხივეს ხელს აძლევდა საყაიმო შედეგი, რადგანაც, როგორც ზემოთ ითქვა, უმაღლესი ლიგა ხუთ რჩეულს ელოდება მხოლოდ. დარჩენილ ორ ტურში ამ ოთხეულს, თუკი პარტიას არ წააგებს, მიზანი მიღწეული ექნება. სამწუხაროდ, უინტერესო, ნაადრევი ყაიმების თავიდან აცილება ვერ ხერხდება. წლევანდელ საჭადრაკო ოლიმპიადაზე ფიდემ ახალი წესები შემოიღო და მოჭადრაკეებს 30 სვლამდე აუკრძალა ყაიმის შეთავაზება. ამან, ცხადია, დადებითად იმოქმედა საერთო სურათზე და ბევრად საინტერესო გახადა ტურნირი. ერთი საყურადღებო ნოვაციაც დაინერგა დრეზდენში – პარტიაზე წამით დაგვიანებაც კი წაგებად ფასდებოდა. **კირსან ილუმჟინოვმა** ჩემთან ინტერვიუში აღნიშნა და შემდეგ პრესკონფერენციაზეც განაცხადა, რომ ამ წესებს სავალდებულოს გახდის მთელი საჭადრაკო სამყაროსთვის – იქნება ეს სკოლის დონეზე გამართული ტურნირები თუ მსოფლიოს ჩემპიონატები. სამწუხაროდ, ჯერ საქართველოში ეს წესები არ დანერგილა. მიმდინარე ტურნირის მთავარმა მსაჯმა **ევგენი მელიქსეთ – ბეგმა**, რომელიც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯია და უმაღლესი რანგის ტურნირებს უძღვება, ამ კითხვაზე გვიპასუხა, რომ ფიდეს ჯერ არაფერი უცნობებია ახალი წესების შესახებ.

ახლა კი მე-8 ტურში პირველ ათ დაფაზე მოთამაშე წყვილებს გაგაცნობთ, რადგანაც მხოლოდ ამათ შერჩათ ხუთეულში მოხვედრის შანსი: **კონსტანტინე შანავა(5,5) – გია ბალათუროვი(5,5); დავით მალალაშვილი(5,5) – დავით ბენიძე(5,5); გაიოზ ნიგალიძე(5,5) – ლუკა პაიჭაძე(5); ივერი ჭილლაძე(5) – ლევან ბრეგაძე(5) ; შოთა აზალაძე(5) – თამარ წერეთელი(5); დავით ჯოჯუა(4,5) – ალექსანდრე ყაშაშვილი(4,5); კახა შალამბერიძე(4,5) – მაკა ფურცელაძე(4,5); ჯამბულ მახარაძე(4,5) – სოფიკო გურამიშვილი(4,5); ინგა ჭარხალაშვილი(4,5) – ნიკოლოზ ჩხაიძე(4,5); დავით ლომსაძე(4) – ზურაბ ჯავახაძე(4,5).**

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი

### NBA რეგულარული ჩემპიონატი

**პორტლენდი–ფინიქსი 124:119**

31:28, 28:38, 39:27, 26:26

პ: როი (52+6 პასი), ბლეიკი (22+10 პასი+4 ჩაჭრა), ოლდრიჯი (16+3 ჩაჭრა), აუთლო (14).

ფ: სტაუდმაიერი (23+8 მოხსნა+8 პასი), ბარნსი (22), შ. ო'ნილი (19), ჯ. რიჩარდსონი (17), ნეში (15+11 პასი), ბარბოზა (12).

**ორლანდო–სან ანტონიო 90:78**

19:13, 25:16, 21:23, 25:26

ო: ნელსონი (24+7 პასი), ლუისი (15), ჰოვარდი (14+13 მოხსნა), თურქოგლუ (11), ლი (10), ბოგანსი (8+9 მოხსნა).

ს-ა: დანკანი (19+9 მოხსნა), მეისონი (10+7 მოხსნა), ჯინობილი (10+8 მოხსნა).

### ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. VIII ტური

**A ჯგუფი**

**ლე მანი–მაკაბი 73:87**

16:25, 20:24, 13:17, 24:21

ლ-მ: ჩეიზი (17), სპენსერი (14), კოფი (12+11 მოხსნა), ნდოიე (12).

მ: აროიო (19+7 პასი), ელიაჰუ (19+10 მოხსნა), კასპი (19), მ. ბრაუნი (14).

**უნიკახა–აველინო 72:68**

20:17, 15:16, 14:20, 23:15

უ: ჰაისლიპი (17), კაბესასი (15), არჩიბალდი (13), კელატი (10).

ა: უორენი (16), დაინერი (15).

**ოლიმპიაკოსი–ციბონა 93:64**

20:22, 30:9, 27:18, 16:15

ო: ჰალპერინი (13+3 ჩაჭრა), ბურუსისი (13), ჩილდრესი (12), ვუიჩიჩი (12+6 მოხსნა+5 პასი), ერჩეგი (11).

ც: კელოუეი (18), როჟიჩი (11).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი* | 6/2 | 90 |
| 2. უნიკახა* | 6/2 | 49 |
| 3. მაკაბი* | 5/3 | 14 |
| 4. ციბონა* | 5/3 | -7 |
| 5. აველინო | 2/6 | -60 |
| 6. ლე მანი | 0/8 | -96 |

**B ჯგუფი**

**პანათინაიკოსი–ნანსი 83:69**

17:15, 22:12, 21:23, 23:19

პ: პერპეროგლუ (16+8 მოხსნა), დიამანტიდისი (12+3 ჩაჭრა), ცარცარისი (11+7 მოხსნა), ქატისტი (10).

ნ: რ. გრირი (21), ლ. უილსონი (14), კოქსი (11), სემნიკი (11).

**ბარსელონა–მონტეპასკი 87:61**

25:3, 19:21, 27:17, 16:20

ბ: ნავარო (17), სანტიაგო (14), ბაზილე (13), ბარტონი (10+10 მოხსნა), დ. ანდერსონი (10).

მ: დომერკანტი (13+3 ჩაჭრა).

**ჟალგირისი–პროკომი 79:68**

23:17, 14:18, 26:19, 16:14

ჟ: იანკუნასი (23), სალენგა (20), მაჩიულისი (11), კალნიეტისი (10+5 პასი).

პ: პ. ბურკი (18+20 მოხსნა), დ. უინგი (16+3 ჩაჭრა), ლოგანი (14).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ბარსელონა* | 7/1 | 129 |
| 2. მონტეპასკი* | 6/2 | 56 |
| 3. პანათინაიკოსი* | 6/2 | 39 |
| 4. პროკომი | 2/6 | -25 |
| 5. ნანსი | 2/6 | -114 |
| 6. ჟალგირისი | 1/7 | -85 |

**C ჯგუფი**

**ფენერბაჩე–ხუვენტუდი 89:63**

21:13, 25:16, 21:16, 22:18

ფ: დ. სმიტი (16+8 მოხსნა), თურქჩანი (14), პრელჯიჩი (14+8 მოხსნა), ონანი (14).

ხ: იაგლა (17), იასაიტისი (14), ერნანდეს-სონსეკა (10).

**ალბა–ტაუგრესი 68:73**

22:24, 19:20, 11:15, 16:14

ა: რ. რაიტი (17+3 ჩაჭრა), მაკელროი (11), ნაჯფეჯი (10), ჰამანი (10).

ტ: რაკოჩევიჩი (24), სპლიტერი (15+8 მოხსნა), მიკელი (14), ტელეტოვიჩი (13).

**რომა–ოლიმპია 74:69 (ო)**

22:16, 12:15, 18:12, 10:19, 12:7

რ: ბეჩიროვიჩი (23+7 მოხსნა+5 პასი), ჰათსონი (10).

ო: ოქბოტი (12+3 ჩაჭრა), კლოჩუბარი (11).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ტაუგრესი* | 6/2 | 93 |
| 2. რომა* | 6/2 | 39 |
| 3. ხუვენტუდი | 4/4 | 2 |
| 4. ფენერბაჩე | 4/4 | 0 |
| 5. ალბა | 3/5 | -53 |
| 6. უნიონი | 1/7 | -81 |

**D ჯგუფი**

**ცსკა–რეალი 78:82**

20:20, 24:23, 20:16, 14:23

ც: ლენგდონი (14+7 მოხსნა), მორისი (12), ჰოლდენი (12+5 პასი), ე. ლორბეკი (10), სავრასენკო (10).

რ: რეიესი (19), მუმბრუ (14), ბალოკი (13), მესი (12).

**მილანი–პარტიზანი 73:59**

26:16, 15:18, 16:6, 16:19

მ: ვიტალი (14), ჯ. ტომასი (14), ჰოუკინსი (12), კატელინასი (10+9 მოხსნა).

პ: ტეპიჩი (19).

**პანიონიოსი–ეფესი 64:78**

11:25, 16:12, 25:22, 12:19

პ: რაიჩევიჩი (22), ბაქსტერი (12), კალამპიკოსი (11+9 პასი+5 ჩაჭრა).

ე: ტორნტონი (18), გიონლუმი (17), კაკიუცისი (15), ჩ. სმიტი (11+3 ჩაჭრა).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა* | 6/2 | 114 |
| 2. რეალი | 5/3 | 31 |
| 3. ეფესი | 4/4 | -19 |
| 4. პარტიზანი | 3/5 | -7 |
| 5. მილანი | 3/5 | -30 |
| 5. პანიონიოსი | 3/5 | -89 |

**ტურის მოთამაშე**

ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის მერვე ტურის საუკეთესო მოთამაშედ იტალიის "რომას" მცველი **სანი ბეჩიროვიჩი** გახდა. "ოლიმპიასთან" საშინაო შეხვედრაში (74:69) ამ სლოვენიელმა ლეგიონერმა 23 ქულა (თამაშიდან 8-დან 5 ზუსტი ტყორცნა, ჯარიმები - 14-დან 13), 7 მოხსნა და 5 შედეგიანი პასი დააგროვა. "რომას" კალათბურთელის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 38 ქულა შეადგინა.

აღსანიშნავია, როს ბეჩიროვიჩი ჯგუფური ტურნირის ლიდერია სარგებლიანობის რეიტინგის მიხედვით - 22.1 ქულა.

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი–ტორონტო 8:5**

2:1, 4:4, 2:0

**გოლები:** 1:0 შტურმი-7 (კობესიუ-10, პ. ბერჯერონი-14), 2:0 კრეისი-9 (ლუჩიჩი-12, კესელი-13), 2:1 კუბინა-6 (კულემინი-7, ანტროპოვი-11), 3:1 სავარი-9 (ხარა-10, აქსელსონი-8), 4:1 კრეისი-10 (უელერი-9), 5:1 კესელი-20 (სავარი-27), 5:2 პონიკაროვსკი-9 (ფინგერი-6, სტემპნიაკი-14), 5:3 ანტროპოვი-12 (ჯ. მიტჩელი-6, ფინგერი-7), 5:4 შრაბოვსკი-11 (ვან რინი-6, პონიკაროვსკი-12), 6:4 კესელი-21 (სავარი-28, აქსელსონი-9), 6:5 ჯ. ბლეიკი-6 (ტ. კაბერლე-18, კუბინა-9), 7:5 რაიდერი-11 (ხარა-11), 8:5 კრეისი-11 (სავარი-29, ვიდემანი-12).

**ვაშინგტონი–სენტ ლუისი 4:2**

1:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ვიქ. კოზლოვი-6 (ბექსტრიომი-24), 1:1 ბეკსი-9 (მაკლემანი-8, ჯეკმენი-6), 2:1 ვიქ. კოზლოვი-7 (გორდონი-6, პოტი-7), 3:1 ფლიშმანი-11 (ფერი-5, შტეკელი-5), 4:1 ოვეჩკინი-20 (ვიქ. კოზლოვი-14, სიომინი-18), 4:2 ვინჩესტერი-3 (სტინი-7, კოლაიაკოვო-6).

**დალასი–კოლამბუსი 6:5 (ბ)**

2:2, 3:2, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ნეში-14 (უმბერგერი-7, ვორაჩეკი-11), 1:1 ლ. ერიქსონი-15 (ბ. რიჩარდსი-17, დელეი-8), 1:2 ბრასარი-10 (რასელი-5, ლეკლერი-1), 2:2 ლ. ერიქსონი-16 (ლუნდკვისტი-2, ბ. რიჩარდსი-18), 3:2 ლ. ერიქსონი-17 (რიბეირო-20, ბ. რიჩარდსი-19), 4:2 ნილი-8 (ნისკანენი-7, რიბეირო-21), 4:3 უმბერგერი-10 (ნეში-14, კომოდორი-13), 5:3 ბ. რიჩარდსი-7 (ლუნდკვისტი-3, ბრუნსტრიომი-3), 5:4 ჰუსელიუსი-10 (უმბერგერი-8), 5:5 ნეში-15 (ტიუტინი-13).

**ბულიტები გაიტანეს:** რიბეირო (დალასი).

**კაროლინა–ფლორიდა 2:1 (ო)**

1:0, 0:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯასტინ უილიამსი-1 (რეი უიტნი-14, კორძო-8), 1:1 სტილმანი-6 (კრეპსი-5, პელტონენი-9), 2:1 კორვო-5 (რეი უიტნი-15, ბრინდამორი-13).

**ატლანტა–პიტსბურგი 3:6**

1:2, 1:3, 1:1

**გოლები:** 0:1 კუკი-4 (უოლასი-1, ჯ. სტაალი-9), 0:2 მალკინი-13 (სიკორა-14), 1:2 რისონერი-6 (კოვალჩუკი-21, ტორნბურნი-3), 1:3 ჯ. სტაალი-11 (მალკინი-38, კროსბი-32), 1:4 შატანი-12 (ტეფი-2, ფედოტენკო-8), 2:4 ლიტლი-12 (ტ. უაიტი-18, ვიაჩ. კოზლოვი-12), 2:5 ბუშე-2 (მალკინი-39, სიკორა-15), 3:5 კ. არმსტრონგი-7, 3:6 მალკინი-14 (კროსბი-33, სკუდერი-8).

**მონრეალი–ფილადელფია 5:2**

3:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 დ'აგოსტინი-5 (ლაპიერი-3, ბრისბუა-3), 2:0 ს. კოსტიცინი-4 (ლანგი-13, ლატენდრესი-7), 3:0 ბიგინი-5 (კოსტოპულოსი-5, ს. კოსტიცინი-7), 3:1 ეშემი-3 (აპშოლი-6, მეტროპოლიტი-7), 4:1 კოვალიოვი-7 (ბიგინი-3, კომისარეკი-1), 4:2 ქობურნი-3 (მეტროპოლიტი-8, ეშემი-2), 5:2 ლატენდრესი-4 (ლანგი-14, ტანგეი-13).

**ტამპა ბეი–კოლორადო 1:2 (ბ)**

0:1, 1:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 პ. შჩასტნი-9 (რ. სმიტი-9, ჰეილუკი-13), 1:1 ჰალპერნი-1 (მალიკი-5, მეზაროში-9).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰეიდუკი (კოლორადო).

**დეტროიტი–სან ხოსე 6:0**

2:0, 1:0, 3:0

**გოლები:** 1:0 ფრანცენი-14 (ლებდა-4, დრეიპერი-3), 2:0 დაციუკი-9 (კოპეცკი-4, მარიან ჰოსა-16), 3:0 მარიან ჰოსა-17 (დაციუკი-21, ლებდა-5), 4:0 ფილპულა-5 (კლირი-12, ჰუდლერი-14), 5:0 დაციუკი-10. 6:0 სტიუარტი-1 (კრონვალი-12, დაციუკი-22).

**ფინიქსი–ნეშვილი 2:1**

1:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ტარისი-4 (ჟოვანოვსკი-14), 1:1 ფიდლერი-4 (პევერლი-5, შ. უებერი-15), 2:1 ტარისი-5 (ლისინი-4, ზ. მიხალეკი-11).

# როის 52 ქულა



"ფინიქს სანზთან" მატჩში **ბრენდონ როის** შოუზე ცალკე უნდა ვისაუბროთ. მანამდე კი ორიოდე სიტყვით მიმოვიხილოთ ტურის ცენტრალური მატჩი "პორტლენდსა" და "ფინიქსს" შორის. წელს გულშემატკივრებმა პირველად იხილეს ძველი "სანზი", ანუ გუნდი, რომლის მოქმედება, ძირითადად შეტევაზე იყო ორიენტირებული. პორტლენდელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ აიტაცეს სტუმრების მიერ შეთავაზებული ტაქტიკა, რითაც, პირველ რიგში, მაყურებელი დარჩა მოგებული.

ის, რომ მასპინძლები დაცვაში ჩადგომას არ აპირებდნენ, ეს პირველი წუთებიდან გამოჩნდა. **ლამარკუს ოლდრიჯმა** სასტარტო მეოთხედში 10 ქულა დააგროვა, რითაც თავისიანებშიც კი პოზიტიური შოკი გამოიწვია. პარტნიორს არ ჩამორჩა **სტივ ბლეიკი**, რომელმაც ეს მატჩი სეზონის პირადი რეკორდით (22 ქულა) დაასრულა. ბარიკადების მეორე მხარეს, ჩვეულებრივ ზუსტად ირჯებოდნენ **ამარე სტაუდმაიერი** და **შაკილ ო'ნილი**, რომლებსაც მხარი **მეტ ბარნსმა** აუბა. ამ უკანასკნელმა მეწყვილედ **ლეანდრო ბარბოზა** აირჩია და ამ დუეტმა მეორე მეოთხედში "სანზის" მიერ მოპოვებული 38 ქულიდან 18 პირად აქტივში ჩაიწერა.

საერთოდ, ტყორცნების სიზუსტის მხრივ ორივე გუნდი მხოლოდ ქებას იმსახურებდა. "მზეებმა" თამაშიდან ტყორცნების 56.9 პროცენტი გამოიყენეს. ფანტასტიკური იყო სამქულიანების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი – 18-დან 12 (!). "პორტლენდის" შესაბამისი სტატისტიკა 51.7 პროცენტსა და 11 ზუსტ სამქულიანს უტოლდებოდა.

მატჩში გადამწყვეტი აღმოჩნდა მესამე მეოთხედის ექვსწუთიანი მონაკვეთი, რომლის დროსაც ორეგონელები 26:9 გაიქცნენ. როის ზედიზედ 14-მა ქულამ, 12 წუთში გაშვებულმა 39-მა ქულამ და ინიციატივის დაკარგვამ სტუმრებს ცუდი სამსახური გაუწია. "ფინიქსი" შოკიდან ვერ გამოვიდა და თამაში წააგო.

### ტურის გმირი: ბრენდონ როი

"ფინიქსის" ფარში ჩაგდებული 52 ქულით, "პორტლენდის" მცველმა კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა და კინაღამ საკლუბო რეკორდი გააუმჯობესა. ბრენდონს სულ რაღაც ორი ქულა არ ეყო **დემონ სტაუდმაიერის** მიღწევის გასამეორებლად, რომელმაც რეკორდი 2005 წლის 14 იანვარს დაამყარა.

როიმ ყველაზე საჭირო ქულები მატჩის ბოლო წუთზე დააგროვა. მისმა სამქულიანმა ანგარიშში თანაფარდობა დაარღვია და მასპინძლები წინ გაიყვანა. სხვათა შორის, ბრენდონის ფანტასტიკური თამაშის წყალობით შეძლო "პორტლენდმა" "ფინიქსთან" 11-მატჩიანი მოუგებელი სერიის შეწყვეტა. ეს უსიამოვნო ტრადიცია 2006 წლის 12 მარტიდან გრძელდებოდა.

### ტურის ანტიგმირი: ტონი პარკერი

ეს არ იყო "სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებლის დღე. **ტონი პარკერმა** "ორლანდოსთან" მატჩში 36 წუთი გაატარა მოედანზე, 17 ტყორცნა შეასრულა, მაგრამ მხოლოდ სამი ბურთი მოათავსა კალათში! ფრანგს არც შეტევების ორგანიზება გამოუვიდა – 4 შედეგიან გადაცემას ამდენივე შეცდომა დაუმატა...

### ტურის რიცხვი: 29

სწორედ ასეთია "სან ანტონიოს" მოთამაშეთა საშუალო ასაკი, რაც მას ლიგის ერთ-ერთ ყველაზე "ბებერ" გუნდად აქცევს. წინა სალამოს, "ნიუ ორლეან ჰორნეტსთან" ბრძოლით გამოფიტულმა "სპურსმა" ძალების აღდგენა ვერ მოასწრო. მით უმეტეს, რომ "დეზები" ორლანდოს აეროპორტში დილის 3 საათზე ჩავიდნენ, რამაც აშკარად ცუდად იმოქმედა სანანტონიოელთა ფიზიკურ მზადყოფნაზე.

### ტურის ფრაზა

*"ჩემი მთავარი მიზანი გამარჯვების მოპოვებაა. არ მაინტერესებს არც MVP-ის ტიტული, არც "ყველა ვარსკვლავის მატჩში" სასტარტო ხუთეულში მოხვედრა... არაფერი შეედრება გამარჯვებით მიღებული სიამოვნების პარტნიორებთან გაზიარებას"*, - განაცხადა ბრენდონ როიმ "ფინიქსთან" დრამატული მატჩის შემდეგ.

ახალი ამბები

# ბუზერი იუტადან მიდის

## ფილადელფიამ ელტონ ბრენდი დაკარგა

"იუტა ჯაზის" ლიდერი **კარლოს ბუზერი** არ აპირებს თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებას. კალათბურთელს "ჯაზმენებთან" ხელშეკრულება ამ სეზონის დასრულებისთანავე უმთავრდება, რის შემდეგაც ბუზერი შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი გახდება.

კარლოსს მოქმედი კონტრაქტის გახანგრძლივება მომავალ სეზონში 12.6 მილიონ დოლარს მოუტანდა, მაგრამ თავად კალათბურთელი დარწმუნებულია, რომ უფრო მაღალი ხელფასის მიღებას შეძლებს.

*"კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი ვთქვი და ვფიქრობ, ეს ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის კარგი ბიზნეს-გადაწყვეტილება იქნება. სხვა გუნდებისგან უკეთეს ფინანსურ წინადადებებს ველი"*, - განაცხადა ბუზერმა ESPN-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

"იუტაში" მძიმე ფორვარდის პოზიციაზე ბუზერის შეცვლა **პოლ მილსეპს** შეუძლია, რომელიც წელს თავის საუკეთესო სეზონს ატარებს. 23 წლის კალათბურთელმა მიმდინარე რეგულარულში 27 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 14.5 ქულა და 8.8 მოხსნა დააგროვა.

27 წლის ბუზერმა კი ტრავმის გამო უკვე ზედიზედ 15 მატჩი გამოტოვა. ფორვარდის ანგარიშზე 12 მატჩში დაგროვებული 20.5 ქულა და 11.7 მოხსნა მოდის.

■ ■ ■

"ფილადელფია სიქსერზმა" სერიოზული დანაკლისი განიცადა. მხარის ტრავმის გამო, ამ გუნდს დაახლოებით ერთი თვე ვერ დაეხმარება მძიმე ფორვარდი **ელტონ ბრენდი**.

"კლიპერსის" ყოფილ კალათბურთელს მხფრის ძვლის გაბზარვა და მყესების განყვეტა დაუდგინეს, მაგრამ საბედნიეროდ, ბრენდს ოპერაციის გაკეთება არ დასჭირდება.

ბრენდმა მხარი "მილუოკისთან" (93:88) მატჩში დაიზიანა. წელს ეს კალათბურთელი "სიქსერზის" ერთ-ერთი ლიდერია – მისი სტატისტიკური მონაგარი 15.9 ქულასა და 9.8 მოხსნას შეადგენს.

■ ■ ■

როგორც გაზეთი Charlotte Observer იუწყება, "შარლოტ ბობკეტსი" მოლაპარაკებებს აწარმოებს "გოლდენ სტეიტთან" მცველ **რაიმონდ ფელტონის** გაცვლის თაობაზე. ამ გამთამაშებლის სანაცვლოდ შარლოტელებს "მეომრების" ორი ფორვარდის - **ენტონი რენდოლფისა** და **ბრენდან რაიტის** მიღება სურთ.

"გოლდენ სტეიტი" ზაფხულიდან მოყოლებული კარგ გამთამაშებელს ეძებს, რადგან სეზონებს შორის არდადეგებისას კლუბმა **ბაირონ დევისი** დაკარგა.

■ ■ ■

"მემფის გრიზლისის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ტრანსფერზე დააყენოს ფორვარდი **ანტუან უოკერი**, რომელსაც წლევანდელ სეზონში არც ერთ შეხვედრაში არ მიუღია მონაწილეობა.

უოკერი "მემფისში" დრაფტის დღეს, **ო ჯეი მაიოსა** და **მაიკ მილერის** გაცვლის დროს გადავიდა.

*"ანტუანმა ჩვენს კლუბში ყოფნის დროს ნამდვილ პროფესიონალად წარმოაჩინა თავი. წარმატებას ვუსურვებთ მას ახალი კლუბის ძიებაში, სადაც ის აუცილებლად მიიღებს მეტ სათამაშო დროს"*, - ამბობს "მემფისის" გენერალური მენეჯერი **კრის უოლასი**.

# არგენტინა თურქეთის ნაცვლად?

არგენტინა მზად არის უმასპინძლოს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი დროულად ვერ მოასწრებს ტურნირის ჩატარებისთვის საჭირო ობიექტების მშენებლობის დასრულებას. არგენტინის კალათბურთის ფედერაციამ უკვე მოიპოვა ამ საკითხში ქვეყნის მთავრობის მხარდაჭერა.

უახლოეს დღეებში, სამხრეთ ამერიკაში ვიზიტად ჩადის კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი **პატრიკ ბაუმანი**. არგენტინული მხარე სწორედ ამ ვიზიტის დროს ოფიციალურად დაადასტურებს, რომ მზად არის საკალათბურთო მუნდიალის ჩასატარებლად.

ამასობაში, ესპანეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ხოსე ლუის საესმა** თავისი ქვეყნის მხრიდან სერიოზული დაინტერესება გამოთქვა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ჩატარებაზე. გარდა ამისა, საესმა განაცხადა, რომ თურქეთში არსებული კრიტიკული სიტუაციის მიუხედავად, ესპანელები 2010 წლის პირველობის მასპინძლობაზე პრეტენზიას არ აცხადებენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# სუნდინი ვანკუვერში ჩაირიცხა

როგორც იქნა, ახალი კლუბი იპოვა ვეტერანმა შვედმა ფორვარდმა **მატს სუნდინმა.** 37 წლის ფორვარდმა "ვანკუვერ კენაქსთან" გააფორმა კონტრაქტი, თუმცა ხელშეკრულების დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა. ადრე იტყობინებოდნენ, რომ "ვანკუვერი" სუნდინს ორწლიანი ხელშეკრულების სანაცვლოდ 20 მილიონ დოლარს შესთავაზებდა, თუმცა შვედი ჰოკეისტი აცხადებდა, რომ მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურდა.

მატს სუნდინს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 17 სეზონი აქვს გატარებული. მან "კვებეკ ნორდიქსისა" და "ტორონტო მეიპლ ლივზის" შემადგენლობაში 1305 მატჩი ჩაატარა, გაიტანა 555 შაიბა და 766 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

*"ყველაზე მეტად სწორედ "ვანკუვერში" მინდოდა გადასვლა და ამიტომაც ძალიან მოხარული ვარ ამ კონტრაქტის გაფორმებით. კარიერის გაგრძელების გადაწყვეტილება რამდენიმე კვირის წინ მივიღე და "ვანკუვერმაც" ყველაზე ოპტიმალური წინადადება შემომთავაზა. დიდ მადლობას ვუხდი გენერალურ მენეჯერს მაიკლ ჯილისსა და მთელ კლუბს ტრანსფერის პროფესიულ დონეზე ორგანიზებისთვის"*, - განაცხადა მატს სუნდინმა ჰოკეის ეროვნული ლიგის ვებგვერდზე.



მძლეოსნობა

# ოქროს ლიგამ დისციპლინები შეარჩია

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ 2009 წლისთვის პრესტიჟული სერიის – "ოქროს ლიგის" დისციპლინები დაამტკიცა. მილიონიანი ჯეკპოტის გათამაშებაში 10 სახეობაა შეტანილი და დისციპლინები კაცებსა და ქალებს შორის თანაბრად არის გადანაწილებული. ტრადიციისამებრ, მთავარი პრიზი შეხვდება იმ ათლეტს, რომელიც სერიის ექვსივე ტურნირზე მოახერხებს გამარჯვებას. თუ ამის გაკეთებას რამდენიმე მძლეოსანი შეძლებს, მათ შორის მილიონი დოლარი თანაბრად გადანაწილდება.

აი, რა დისციპლინებში შეუძლიათ მძლეოსნებს ჯეკპოტის მოგება. კაცები: 100 მ, 400 მ, 800 მ, 110 მ/თარჯრბენი და შუბის ტყორცნა; ქალები: 100 მ, 400 მ, 1500 მ, 100 მ/თარჯრბენი, სიმაღლეზე ხტომა, ჭოკით ხტომა.

*"როგორც ყოველთვის, ვეცადეთ დისციპლინები ისე შეგვერჩია, რომ მაყურებლისთვის მაქსიმალურად საინტერესო სანახაობა შეგვეთავაზებინა. კმაყოფილები ვართ იმით, რომ "ოქროს ლიგის" ეტაპებზე მძლეოსნობის ყველაზე ქარიზმულ ვარსკვლავებს ვიხილავთ"*, - განაცხადა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **ლამინე დიაკამ.**

კრივი

# WBC გამოძიებას იწყებს

კრივის მსოფლიო საბჭომ (WBC) სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის **შეინ მოსლის** გამონათქვამებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. დეკემბრის დასაწყისში ამერიკელმა მოკრივემ განაცხადა, რომ 2003 წელს, **ოსკარ დე ლა ჰოიასთან** ბრძოლისთვის მზადების პერიოდში დოპინგს იყენებდა.

ყველაზე საოცარი ის არის, რომ მოსლიმ ეს სიტყვები 2004 წელს წარმოთქვა, როცა ამერიკის პოლიცია კალიფორნიული ლაბორატორია BALCO-ს საქმიანობის შესახებ აწარმოებდა გამოძიებას. მოსლის სიტყვები 2008 წლის 2 დეკემბრამდე საიდუმლოდ იყო შენახული.

შეინის თქმით, ერითროპოეტინს მას BALCO-ს დამაარსებელი **ვიქტორ კონტე** აწვდიდა. იქვე მოკრივემ ხაზი გაუსვა იმას, რომ არ იცოდა თუ ეს პრეპარატი სპორტსმენებისთვის აკრძალული იყო. თავის მხრივ, კონტე აცხადებდა, რომ მოკრივე თავად იკეთებდა ერითროპოეტინის ინექციებს და კარგად იცოდა, რომ აკრძალულ პრეპარატს იყენებდა.

მოსლი სამ წონით კატეგორიაში იყო მსოფლიოს ჩემპიონი. 2003 წლის 13 სექტემბერს დე ლა ჰოიას დამარცხების შემდეგ, შეინმა 69-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBC-ისა და WBA-ის ტიტულები მოიპოვა. სწორედ ამ ბრძოლის წინ გამოიყენა მოსლიმ დოპინგი.

37 წლის ამერიკელს პროფესიულ რინგზე 51 ბრძოლა აქვს გამართული, რომელთაგან 45-ში გამარჯვებას (38 - ნოკაუტით) მიაღწია.

2009 წლის 24 იანვარს, მოსლის 66 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBA-ის ვერსიით სატიტულო ბრძოლა ელის მოქმედ ჩემპიონ **ანტონიო მარგარიტოსთან.**

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა




ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ჩინეთი-ირანი | 0:2 |
| ომანი-ეკვადორი | 2:0 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ჰარტლპული-საუთენდი | 3:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ბრეშია-გროსეტო | 1:0 |
| პარმა-ჩიტადელა | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ოფენბახი-შტუტგარტი A | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-მონპელიე | 0:3 |
| კლერმონი-შატორუ | 1:3 |
| გინგამი-ამიენი | 0:0 |
| ნიმი-ბასტია | 1:0 |
| ტური-რეიმსი | 2:1 |
| ვანი-სედანი | 0:0 |
| ანჟერსი-დიჟონი | 2:0 |
| ლანსი-ბრესტი | 2:0 |
| ტრუა-მეცი | 3:1 |
| **ბელგია** | |
| ანდერლეხტი-გენკი | 2:0 |
| **პორტუგალია** | |
| ნავალი-გიმარაეში | 0:0 |
| **ჰოლანდია** | |
| ალკმაარი-უტრეხტი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-იგლზი | 2:2 |
| ექსელსიორი-ვენლო | 1:2 |
| ცვოლე-დორდრეჰტი | 2:1 |
| ჰაარლემი-აპელდორნი | 1:0 |
| ჰელმონდი-ტელსტარი | 1:1 |
| როსენდალი-ფორტუნა | 0:1 |
| ვაალვიკი-ომნივორლდი | 1:0 |
| ტოპ ოსი-ეინდჰოვენი A | 1:2 |
| ვეენდამი-დენ ბოში | 2:4 |
| **თურქეთი** | |
| ქონია-ფენერბაჰჩე | 1:2 |
| **უელსი** | |
| ეირბასი-პრესტატინი | 1:1 |
| ნითი-ეზერისტვითი | 0:4 |
| უელშპული-ნიუი | 3:3 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ულმი-ტრირი | 82:74 |
| **ჰოკეი** | |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ლატვია-საფრანგეთი | 1:4 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ლინცი | 1:8 |
| ალბა-ვენა | 1:3 |
| გრაცი-ზალცბურგი | 3:7 |
| ინსბრუკი-ვილახი | 4:2 |
| ოლიმპია-კლაგენფიურტი | 1:1 |

TV სპორტი

## 20 დეკემბერი. შაბათი

### იმედი

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
14:00 იმედის ფსონი.
12:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია (LIVE).

### I არხი

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სიონი-გაგრა (LIVE).

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

09:35 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
09:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის წილისყრა. შვეიცარია.
09:45 საფეხბურთო კლუბი.
10:35 მსოფლიოს ჩემპიონატის კლუბებს შორის. 1/2 ფინალი. პაჩუკა (მექსიკა)-ლიგა დე კიტო (ეკვადორი). ტოკიო. იაპონია.
12:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 მსოფლიოს ჩემპიონატის კლუბებს შორის. 1/2 ფინალი. გამბა ოსაკა (იაპონია)-მანჩესტერ იუნაიტედი (ეკვადორი). ტოკიო. იაპონია.
15:10 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:40 საფეხბურთო კლუბი.
16:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
18:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-პორტსმუტი (LIVE).
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ასტონ ვილა (LIVE).
23:30 საფეხბურთო კლუბი.
00:25 არგენტინის ჩემპიონატი. საჩემპიონო პლეიოფი. სან ლორენსო-ბოკა ხუნიორსი (LIVE).
02:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. გრენობლი-ლე მანი.
04:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ატლეტიკო.
06:00 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ასტონ ვილა.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. ცსკა-რეალი.
10:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:10 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. მიმოხილვა.
10:40 სპორტკლუბი.
11:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-სან ხოსე.
13:30 სპორტის სამყარო. ტელეჟურნალი.
14:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ესპანიოლი.
15:45 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
16:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-მილანი.
18:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
18:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-სანდერლენდი (LIVE).
20:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-პალერმო (LIVE).
22:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია (LIVE).
01:00 პროფესიული კრივი. WBA-ის ვერსია. სუპერმძიმე წონა. ნიკოლაი ვალუევი (რუსეთი)-ევანდერ ჰოლიფილდი (აშშ). ციურიხი. შვეიცარია (LIVE).
03:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:05 სპორტის სამყარო. ტელეჟურნალი.
04:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-სანდერლენდი.
06:35 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. ცსკა-რეალი.

### EUROSPORT

11:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. კაცები. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
13:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
15:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. კაცები. ვალ გარდენა. იტალია (LIVE).
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია (LIVE).
18:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. ტრამპლინი. რამსაუ. ავსტრია.
19:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. რამსაუ. ავსტრია (LIVE).
19:45 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ტელფორდი (LIVE).
21:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
22:00 ცხენოსნობა. კონკური. ლონდონი. ბრიტანეთი.
23:00 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ტელფორდი (LIVE).
02:00 პოკერი.
03:00 ბრძოლა წესების გარეშე.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. აშშ.
12:00 ახალი ამბები.
12:45 სერფინგი. აშშ.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
13:30 ფრისტაილი.
13:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. ქალები. სენტ მორიტცი. შვეიცარია (LIVE).
15:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
15:45 ახალი ამბები.
16:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. სნოუბორდკროსი. აროსა. შვეიცარია (LIVE).
17:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური.
18:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. X ტური.
19:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XI ტური (LIVE).
21:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. სნოუბორდკროსი. აროსა. შვეიცარია.
22:45 სერფინგი. აშშ.
23:00 ახალი ამბები.
23:30 კარომი. მსოფლიოს სერია.
01:00 ჭადრაკი/კრივი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბერლინი. გერმანია.
02:00 ლაკროსი. ეროვნული ლიგა. ფინალი. ბაფალო-პორტლენდი.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. აშშ.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. აშშ.
05:00 ახალი ამბები.
05:45 სერფინგი. აშშ.
06:00 ახალი ამბები.

## 21 დეკემბერი. კვირა

### იმედი

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
14:00 იმედის ფსონი.

### I არხი

14:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ვიტ ჯორჯია-ოლიმპი (LIVE).

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

07:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. კაენი-ლიონი.
09:35 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.
11:25 მსოფლიოს ჩემპიონატის კლუბებს შორის. მე-3 ადგილისთვის. პაჩუკა (მექსიკა)-გამბა ოსაკა (იაპონია). ტოკიო. იაპონია (LIVE).
13:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:50 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:25 მსოფლიოს ჩემპიონატის კლუბებს შორის. ფინალი. ლიგა დე კიტო (ეკვადორი)-მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი). ტოკიო. იაპონია (LIVE).
16:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ბილბაო (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:55 პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-მარიტიმუ.
03:55 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ტოტენჰემი.
05:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მონაკო-ბორდო.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
09:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-პალერმო.
11:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.
13:00 ფეხბურთელთა ცხოვრება.
13:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ასტონ ვილა.
15:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-მილანი.
16:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
17:25 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო - სერია A-ს მიმოხილვა.
17:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-იუვენტუსი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა (LIVE).
23:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-უდინეზე.
01:40 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
02:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ბილბაო.
03:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-იუვენტუსი.
05:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ასტონ ვილა.
07:25 ფეხბურთელთა ცხოვრება.

### EUROSPORT

11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია.
12:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. კაცები. I ცდა. ალტა ბადია. იტალია (LIVE).
13:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. კაცები. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერგიგანტი. ქალები. სენტ მორიტცი. შვეიცარია.
15:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. კაცები. II ცდა. ალტა ბადია. იტალია (LIVE).
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია (LIVE).
18:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. ქალები. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
19:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. რამსაუ. ავსტრია (LIVE).
19:45 ზამთრის სახეობები. უექენდის მიმოხილვა.
20:15 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ფინალი. ტელფორდი (LIVE).
22:00 ცხენოსნობა. კონკური. ლონდონი. ბრიტანეთი.
23:30 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ფინალი. ტელფორდი.
00:00 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. ფინალი. ტელფორდი (LIVE).
03:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. კაცები. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
04:00 ზამთრის სახეობები. უექენდის მიმოხილვა.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. აშშ.
12:00 ახალი ამბები.
12:45 სერფინგი. აშშ.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. V ტური.
14:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. სნოუბორდკროსი. აროსა. შვეიცარია.
15:30 ახალი ამბები.
16:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური სლალომი. აროსა. შვეიცარია (LIVE).
17:30 ბილიარდი.
18:30 ჭადრაკი/კრივი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბერლინი. გერმანია.
19:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. სნოუბორდკროსი. აროსა. შვეიცარია.
20:15 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს თასი. გუნდური სპრინტი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
21:00 ჭადრაკი/კრივი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბერლინი. გერმანია.
22:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური სლალომი. აროსა. შვეიცარია.
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. აშშ.
23:00 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. X ტური.
00:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. რეგულარული სეზონი. პანათინაიკოსი-პაოკ.
02:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური სლალომი. აროსა. შვეიცარია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. აშშ.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. აშშ.
05:00 ახალი ამბები.
05:45 სერფინგი. აშშ.
06:30 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# სერბი მილიონერები



ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ცნობილმა ჟურნალმა "ფორბსმა" ჩოგბურთის ვარსკვლავების შემოსავლების ერთგვარი აუდიტი ჩაატარა. ფინანსური ტაბლოიდის ცნობით, გასული 12 თვის განმავლობაში **როჯერ ფედერერმა** 35 მილიონი დოლარი გამოიმუშავა და ეს მარტო სპონსორული ხელშეკრულებების წყალობით. მეორე ადგილი რუს **მარია შარაპოვას** ეკუთვნის, რომელმაც საბანკო ანგარიში 26 მილიონით შეავსო. არადა, ნახევარ წელიწადზე მეტია კორტზე არ გასულა.

21 წლის სერბმა ჩოგბურთელმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** 9.5 მილიონი დოლარის ამ რეიტინგში მერვე ადგილი დაიკავა და თანამემამულე **ანა ივანოვიჩს** გაასწრო, რომელმაც გასულ წელს დაახლოებით 8 მილიონი დოლარი მიიღო.

თუ გავითვალისწინებთ ნოვაკის მიერ ტურნირებზე გამომუშავებულ 5.7 მილიონ დოლარს და ამას უკვე ნახსენებ სპონსორულ შემოსავლებს დავუმატებთ, სპორტსმენის მონაგარი 2008 წლის სეზონში 15 მილიონს გადააჭარბებს. სერბ ჩოგბურთელს 21 წლის ასაკში უკვე შეუძლია თავისი პროფესიით უხვი შემოსავლის მიღება.

სხვათა შორის, ჯოკოვიჩების ოჯახიც არ ამბობს უარს "ოქროს ბიჭის" პოპულარობისგან მაქსიმალური სარგებლობის მიღებაზე. ნოვაკის ოჯახის წევრები უკვე მზად არიან მომავალ წელს ორგანიზება გაუკეთონ სერბეთში ATP-ის პირველ ტურნირს. გარდა ამისა, მათ გადაწყვეტილი აქვთ სამშობლოში გრანდიოზული საჩოგბურთო აკადემია ააშენონ და ის უკვე მომგებიან სხვა ბიზ- სებს შეუერთონ. წელს, მთა კოპაო- კზე მდებარე რესტორანს დაემატა კოვიჩების ბოლო პროექტი: კლუბი ხერხებული სახელწოდებით – "ნოვა-

უნდა აღინიშნოს, რომ სერბმა ჩოგ- რთელმა მიმდინარე წელს რამდენიმე ფიანი კონტრაქტი გააფორმა. არაო- ციალური ინფორმაციით, ბოლო თმა გარიგებამ (ხორვატული რეს- რნების ქსელ Idia-ას რეკლამა) ნო- ს 300 ათასი ევრო მოუტანა. კოვიჩის სპონსორების სიაში არიან დეგი ბრენდები - BMW Serbia, Hypo e Adria Bank (წელიწადში ჩოგბურ- ლს 200 ათასს ევროს ურიცხავს), მი- ალური წყალი Gala და მობილური რატორი "ტელეკომ-სერბეთი". თი- კომპანიას ჩოგბურთელისთვის წე- ადში 300 ათასი ევროს ოდენობის მოგება მოაქვს.

ავსტრალიის ღია პირველობის ტრიუმფატორი "ადიდასის" სავაჭრო მარკის სახედაც ითვლება. გერმანულმა კომპანიამ პირადად ჯოკოვიჩისთვის ჩოგნების ექსკლუზიური დიზაინიც კი შექმნა. ჩოგნების მწარმოებელ ცნობილ კომპანია Wilson-თან კონტრაქტს კი სულ მალე გასდის ვადა, ამიტომაც ფირმებმა – Head-მა და Babolat-მა "ჯოკერს" თანამშრომლობის სანაცვლოდ უკვე შესთავაზეს 4.5 მილიონი დოლარი.

■ ■ ■

ანა ივანოვიჩი სპონსორული გარიგებებისა და მსხვილი კომპანიების ტელერეკლამის საშუალებით უდიდეს თანხებს შოულობს. როლან გაროსის მოგების შემდეგ, სერბი ჩოგბურთელი მაგნიტივით იზიდავს სხვადასხვა ფირმებს, რომლებიც ყველაფერზე მიდიან ანას გარეგნობისა და სახელის თავიანთი ინტერსებისთვის გამოსაყენებლად. ივანოვიჩმა Yonex-ის ჩოგნების მწარმოებელ კომპანიასთან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ახლა ეს ფირმა თავის პროდუქციაზე ივანოვიჩის გვარს აწერს. გარდა ამისა, ანამ პირველი ჩოგანის ტიტულის მოპოვებისთვის დამატებით 10 მილიონი მიიღო. ტელეარხ CNBC-ის ცნობით, სერბი ასეთივე თანხას გამოიმუშავებს, თუ WTA-ის რეიტინგში ორი წელი შეინარჩუნებს პირველ პოზიციას.

გარდა ამისა, ჩოგბურთელი "ადიდასისგან" ასტრონომიულ თანხას მიიღებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ სპორტული პროდუქციის მწარმოებელ გერმანულ ლიდერთან კარიერის ბოლომდე გააფორმებს კონტრაქტს. ეს ძალიან სარფიანი გარიგება იქნება. ივანოვიჩმა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე "ადიდასთან" მოსალოდნელ თანამშრომლობას უკვე უწოდა - "შტეფი გრაფის სპორტიდან წასვლის შემდეგ შემდგარი ყველაზე მსხვილი გარიგება". ივანოვიჩმა სერბული საზომით სპონსორული ხელშეკრულების ღირებულების რეკორდი დაამხო - 3-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა საავტომობილო დილერ Verano Motors-თან.

ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, ივანოვიჩმა მომავალი 10 წლის განმავლობაში დაახლოებით 100 მილიონი დოლარი უნდა გამოიმუშაოს. თუმცა ამგვარი სცენარის განვითარება ნაკლებად სავარაუდოა, რადგან აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სერბმა უნდა შეინარჩუნოს პირველი ჩოგანის სტატუსი და მოიგოს ყველა დიდი ტურნირი. მაგრამ სეზონში პროგრამა-მინიმუმის შესრულების პირობებშიც, ივანოვიჩის წლიური შემოსავალი 3.5 მილიონ დოლარს შეადგენს, საუკეთესო შემთხვევაში კი, ეს რიცხვი 6 მილიონს მიუახლოვდება.

ამასობაში, მთელი რიგი უმსხვილესი კომპანიები დგანან რიგში ივანოვიჩთან კონტრაქტის გასაფორმებლად. შედარებისთვის, ამერიკელი ჩოგბურთელი **სერენა უილიამსი** "ნაიკთან" ხუთწლიანი კონტრაქტის მიხედვით, 56 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. არადა სერენა არ გახლავთ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, რაც სპორტული ტანსაცმლის მსხვილ მწარმოებელს, თავისი მარკის პოპულარიზაციისთვის სხვა ჩოგბურთელის მოძებნას აიძულებს.

ანამ მოულოდნელად აზიური ბაზარიც დაიპყრო, როცა მომენტალურად მიიღო თანამშრომლობის შესახებ სარფიანი წინადადებები Li Ning-სგან, Peak-სგან და Anta-სგან. ჩინელ ახალგაზრდებში ჩოგბურთი პოპულარობით სპორტის მეორე სახეობაა. ქვეყნის სპორტის სამინისტროს შეფასებების მიხედვით, ჩინეთში დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი კვირაში მინიმუმ ორჯერ მაინც თამაშობს ჩოგბურთს, 2010 წლისთვის კი ეს რიცხვი 6 მილიონამდე გაიზრდება, რაც ანას კარგ ფინანსურ პერსპექტივებზე მეტყველებს.

■ ■ ■

ჩოგბურთელების სპონსორები და აგენტები უდიდესი ყურადღებას უთმობენ ნებისმიერ წვრილმანს. ასე მაგალითად, მაიამის ტურნირზე ელენა **იანკოვიჩის** კაბა ხუთი სანტიმეტრით დაამოკლეს – სწორედ ასეთი იყო გერმანელი დიზაინერების მოთხოვნა. რა თქმა უნდა, იანკოვიჩმა შესანიშნავად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გარეგნობას პროფესიონალი ქალი ჩოგბურთელისთვის, ამიტომაც ყოველთვის ცდილობს კორტზე გასვლისას რაც შეიძლება მომხიბვლელად გამოიყურებოდეს.

იანკოვიჩს სპონსორული ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანია "რიბოკთან" და კონტრაქტის მიხედვით, მისი კაბა არ უნდა ჰგავდეს ამავე ფირმის მომხმარებელ სხვა წარმომადგენელთა სპორტულ ფორმას. NBA-ის ვარსკვლავების მსგავსად, იანკოვიჩი საკუთარი წარმოების სპორტული ფეხსაცმლით (Jelena J) თამაშობს, რომელზეც პატარა გულია გამოსახული – ეს არის იანკოვიჩის კომპანიის სავაჭრო ნიშანი.

ჩოგბურთელის კაბების ზუსტი ასლები ძალიან სწრაფად სალდება, ხოლო მისი სპორტული ფეხსაცმელი მაღაზიებში არ იყიდება და ხშირად ის მიუწვდომელი რჩება ელენას თაყვანისმცემლებისთვის. დღემდე უცნობია იანკოვიჩსა და კომპანია "ნაიკს" შორის გაფორმებული ორწლიანი კონტრაქტის ღირებულება. არაოფიციალური ინფორმაციით, იანკოვიჩი ახალ, უფრო სარფიან კონტრაქტს გააფორმებს ჩოგნების მწარმოებელ კომპანია "პრინსთან". ვადა გაუვიდა ელენასა და საავტომობილო კომპანია "ჰიუნდაის" კონტრაქტს, ამავდროულად, ჯერ კიდევ ძალაშია სარეკლამო ხელშეკრულება წყლის მწარმოებელ Aqua Viva-სთან.

გარდა ამისა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელი ჩოგბურთელი მოდების ჩვენების ორგანიზატორთა სასურველი ობიექტია. მათ შორისაა ცნობილი დიზაინერი **რობერტო კავალი**, რომელსაც დიდი სურვილი აქვს, თავისი ტანსაცმლით შემოსოს მსოფლიოს პირველი ჩოგანი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კრივი

# ვალუევი 44 კილოთი მეტია

ეს, ციურიხში მორიგ, საკრივო ორთაბრძოლა გაიმარ- WBA-ის ვერსიით სატიტულო ბრძოლაში ამერიკელი და მძიმეწონოსნები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. შინ, აწონვის ტრადიციული ცერემონია გაიმართა. 46 ევანდერ **ჰოლიფილდის** (42-9-2, 27 KO) წონა 97.2 კიამი აღმოჩნდა. რაც შეეხება **ნიკოლაი ვალუევს** (49-1- O), ის მეტოქეზე 44 კილოთი მძიმეა - რუსი გიგანტის 41 კილოგრამს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ ბრძოლა ციურიხის Hallenstadion-ზე შედგება და გამარჯვების შემთხვევაში ჰოლიფილდი პროფესიული კრივის რეკორდს დაამყარებს - აქამდე სუპერმძიმე წონაში არავინ გამხდარა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი.

გუშინვე გახდა ცნობილი, რომ ბრძოლის შედეგის მიუხედავად, ორივე მოკრივე თანაბარ ჰონორარს მიიღებს - ვალუევისა და ჰოლიფილდის საბანკო ანგარიში თითოზე მილიონი დოლარით შეივსება.





გამოვიდა დეკემბრის ნომერი